პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—39.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ერთა ლიგის პლენუმის მე-9 სესია დანიშნულია 3 სექტემბრისათვის.
- კალვის ციხის პატიმართა საქმე.
- ლამანშში ინგლისის გემმა ჩაძირა საბერძნეთის გემი „ფაფალოსი".
- დაზიანდა დირიჟაბლი „იტალია", რომელიც ჩრდილოეთ პოლიუსზე მიფრინავს.
- ბესარაბიის და ბუკოვინის საზღვარზე ამოხეთქა ვულკანმა.
- საცდელი ფრენის დროს დაიღუპა იაპონიის უდიდესი სამგზავრო ჰაეროპლანი.

კვირა, 6 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 103 (2146)

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა მაისისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა ყრილობისათვის

ხვალ გაიხსნება ამიერ-კავკასიის პროფესიონალური კავშირების მეოთხე ყრილობა. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის პროფესიონალური კავშირების ერთმანეთთან მუშაობის პრაქტიკამ დაამტკიცა ამ გაერთიანების მიზანშეწონილობა. რამოდენიმე წლის წინად იყვნენ ისეთები, რომელნიც ალმაცერად უყურებდნენ ამ სამი რესპუბლიკის პროფესიონალური მოძრაობის გაერთიანების საკითხს. ცხოვრებამ საჭიროდ გახადა არა მარტო ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკების პროფკავშირების უბრალო შეთანხმებული მუშაობა მარტო ყრილობებზე და ყრილობებიდან ყრილობამდე ა.-კ. კავშირების ბიუროს საშუალებით, არამედ უფრო მტკიცედ დაკავშირება. ამ მიზნით ბიუროს ნაცვლად შეიქმნა ა.-კ. პროფკავშირების საბჭო. საბჭოს მუშაობამ ხელი შეუწყო სამივე რესპუბლიკის მუშათა კლასის კიდევ უფრო დაახლოვებას, შექმნა მჭიდრო კავშირი მათ შორის და შესაძლებელი გახადა მთელ რიგ პროფმოძრაობის პრაქტიკული საკითხების საერთო ძალით გადაჭრა.

ა.-კ. პროფკავშირების რიცხვობრივი ზრდა რამოდენიმე წლის განმავლობაში ფრიად საგრძნობი არის. თუ 1923 წლის ოქტომბერში ამიერ-კავკასიის კავშირთა წევრების რიცხვი არ აღემატებოდა 214 ათას, გასული 27 წლის ბოლოში ის უკვე 410 ათასზე მეტი არის. ცალკე რესპუბლიკების მიხედვით კავშირების წევრების რიცხვის ზრდა ხსენებული პერიოდის განმავლობაში ასეთია: აზერბეიჯანში იყო 109 ათასი, არის 205 ათასი; საქართველოში იყო 87 ათასი, არის 160 ათასი; სომხეთში 17 ათასის მაგიერ 44 ათასი არის.

რიცხვობრივ ზრდასთან ერთად ადგილი აქვს თვისობრივ ზრდასაც. კავშირის წევრების ყოფა-ცხოვრების საკითხებზე ზრუნვა, მათი კულტურული დონის აწევა, მასიური მუშაობა, პროფკავშირებში ფართო დემოკრატიის გატარება, ცალკე ნაციონალურ ჯგუფების სპეციფიურ ყოფა-ცხოვრების საკითხებისადმი ყურადღება, ფართო ეკონომიური მუშაობის გაშლით მუშათა მასების სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმა და სხვ.

თუ რამდენად დიდი ყურადღება ქონდა მიქცეული პროფკავშირთა წევრების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამის მაჩვენებელი არის ამიერ-კავკასიაში მუშების ხელფასის განუწყვეტელი ზრდა. მარტო ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მუშის საშუალო ხელფასი ა.-კავკასიაში უდრიდა 54 მან., ამჟამად კი ის აღემატება 70 მანეთს. ზრდის ეს ტემპი თანაბარი იყო სამივე რესპუბლიკაში.

ყრილობის წინაშე სდგას პროფესიონალურ კავშირების მუშაობის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, როგორც საორგანიზაციო, ისე სატარიფო-საეკონომიო და კულტურულ დარგში. ამ საკითხების უმრავლესობის შინაარსი შეეხება კავშირების მასიურ მუშაობის გაფართოებას და ამ მუშაობის ისეთ ფორმებში ჩამოყალიბებას, რომ შესაძლებელი გახდეს მასების აქტივობის მაქსიმალური ზრდა. მაგალითად, ზედმეტი კამპანიების და კრებების შემცირება და ამის მაგივრად დადგენილებათა განხორციელებაზე ყურადღების მიქცევა, მუშების ახალ კადრებში მუშაობა და მათში კლასიურ თვითშეგნების განვითარება; კავშირების აპარატების მაქსიმალური დაახლოვება მასასთან; ქალების და მოზარდების უფრო მეტად ჩაბმა კავშირების მუშაობაში და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ყრილობამ კავშირებში არსებულ ინჟინერულ-ტეხნიკურ სექციების მუშაობის საკითხს. აქამდი ამ სექციების მუშაობა საერთო საკავშირო მუშაობიდან განცალკევებულ ხასიათს ატარებდა. კავშირები სათანადოთ არ იყენებენ ინჟინერ-ტეხნიკურ ძალებს თავის ეკონომიურ მუშაობაში.

კერძო და საკონცესიო წარმოებებში პროფკავშირების მუშაობის პრაქტიკაც მოითხოვს მთელ რიგ კორექტივებს და ამ მუშაობის სპეციფიურ ხასიათის ალღოს აღებას. სახელმწიფო წარმოებაში კავშირების მუშაობის არსებული ფორმების შაბლონიური გადატანა კერძო და საკონცესიო წარმოებებში არ ვარგა. ამ მხრივ საჭიროა კავშირების ამ მუშაობის გადასინჯვა.

ყრილობისათვის ფრიად საყურადღებო არის აგრეთვე სოფლად დაქირავებულ შრომის მოწესრიგების საკითხები და კავშირების მუშაობა სოფლად. ამიერ-კავკასიაში მოჯამაგირეთა რიცხვი რამოდენიმე ათეულ ათასს აღემატება. ამასთანავე თვითეულ რაიონში მოჯამაგირეთა შრომის გამოყენება თავისებურ ხასიათს ატარებს. კავშირებმა თვითეული კუთხის ეს თავისებურება უნდა დაუდვან საფუძვლად თავის მუშაობას სოფლად.

კულტურულ დარგში პროფკავშირების მომავალ მუშაობას უნდა დაედვას საფუძვლად კავშირების წევრების მომზადება სოციალისტური მშენებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით უნდა მიექცეს ყურადღება სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული საკითხების განმარტებას, ფართო მასებისათვის, მათ წარმოებითი აღზრდას, სამხედრო ცოდნის შეძენას და სხვ.

საკლუბო მუშაობის შემდეგი გაღრმავება ფერხდება კლუბებისათვის სათანადო ბინების უქონლობით. კავშირებმა უნდა მიიღონ ამ მიმართულებით საჭირო ზომები. კავშირების კულტურულ მუშაობაში ფრიად საყურადღებო არის კინო და რადიო. უნდა იქნეს დასახული გზები კავშირების მუშაობის გაძლიერებისათვის ამ დარგში.

სატარიფო - საეკონომიო დარგში ყრილობის წინაშე სდგას ისეთი საკითხები, როგორც მუშების ხელფასის გეგმიანი ზრდა და მისი დაკავშირება მრეწველობის ზრდასთან, წარმოებებში შრომის ხელფასის (ნორმების და შეფასების) პრაქტიკის გამოსწორება, ხელფასის რეფორმის დათავება, როგორც წარმოებებში (ახალი სატარიფო ცხრილებით და ცნობებით), ისე დაწესებულებებში ხელფასის მოწესრიგება, ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის მომატება და სხვ., წარმოების რაციონალიზაციის საქმეში მუშათა მასის ჩაბმა საწარმოო თათბირების საშუალებით, სამეურნეო საკითხების გარჩევაში მუშათა მონაწილეობის რეგულიარული და არა შემთხვევითი მონაწილეობა, გამომგონებლობის დახმარება და მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, კავშირების მონაწილეობა სამეურნეო გეგმების შედგენაში და სხვ.

ყრილობის მუშაობას საფუძვლად უნდა დაედვას პარტიის მიერ აღებული გზა დაუნდობელ თვითკრიტიკის შესახებ. კავშირების მუშაობის ყველა დეფექტები ყრილობამ უნდა გამოამჟღავნოს. არავითარ დაფარვას და კაზიონურ თვითკმაყოფილებას ადგილი არ უნდა დაურჩეს. შეცდომები პროფესიონალური კავშირების მუშაობაში. არის მასიური მუშაობის შეცდომები. ჩვენთვის მასიური მუშაობა კი ფრიად დიდი მნიშვნელობის საკითხია.

გერმანიის პროლეტარიატმა დაიცვა წითელი ფრონტელების კავშირი

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ „დაუსაბუთებლად" ჩასთვალა შინაგან საქმეთა მინისტრის კეიდელის დადგენილება წითელი ფრონტელების კავშირის აკრძალვის შესახებ. ამგვარად, კავშირი კვლავ არსებობს, თუმცა რეაქციონერი მინისტრის პრესტიჟი საგრძნობლად დაზარალდება მას შემდეგ, რაც მან ამ საქმეში დამარცხება იწვნია.

ამ შემთხვევაში გერმანიის ბურჟუაზიამ საკმაო გამჭრიახობა გამოიჩინა; მან არ მოისურვა, რომ არჩევნების წინა ხანებში მუშათა კლასთან კონფლიქტი უკიდურესობამდე მიეყვანა და ზურგი არ გაუმაგრა თავის მინისტრს. იმ დროს, როდესაც ფაშისტურ მებრძოლ კავშირებს მთავრობა ყოველგვარ მფარველობას უწევს, თავდაცვის პროლეტარულ ორგანიზაციაზე ნაციონალისტთა პარტიის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლის კეიდელის თავდასხმა იმას ნიშნავდა, რომ რეაქციას სურდა მახვილი ჩაეცა მუშათა კლასისათვის და უმწეოდ დაეტოვებინა შეიარაღებული ფაშისტური ბანდების პირისპირ. ეს საფრთხე კარგად გაიგეს გერმანელმა მუშებმა, იმათაც კი, ვინც დაშორებულნი არიან კომუნისტურ პარტიას და წითელი ფრონტელების კავშირს. ამიტომ პროტესტი წითელი ფრონტელების კავშირის აკრძალვის წინააღმდეგ მთელი გერმანიის პროლეტარიატის საქმედ გადაიქცა.

თუ რამდენად მძლავრი იყო ეს მოძრაობა, ამას ის გარემოება გვიდასტურებს, რომ ამ შემთხვევაში წითელი ფრონტელების კავშირის დასაცავად გამოსვლა საჭიროდ სცნეს სოციალ-დემოკრატებმაც კი, რომელნიც კეიდელზე არა ნაკლების მტრობით ექცევიან ხსენებულ კავშირს, რომლებმაც არა ერთხელ დაშალეს მისი ადგილობრივი ორგანიზაციები იქ, სადაც პოლიციის სოციალ - დემოკრატ უფროსებს სამისოდ საკმაო უფლება გააჩნდათ. თუმცა ისიც მართალია, რომ ეს „დაცვა" ძალიან წააგავდა კავშირის დაშლის დროებით გადადებას. სოციალ-დემოკრატებს ეშინოდათ, რომ წითელ ფრონტელების კავშირის დაშლა მუშების სიმპატიას კომპარტიისაკენ გადახრიდა და არჩევნების დროს სოციალ - დემოკრატების საზიანოდ მას არა ერთ ზედმეტ ასეულ ათას ხმას შემატებდა. უეჭველია, ასეთივე მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ლეიპციგის უზენაესი სასამართლო, როდესაც მინისტრი კეიდელის დადგენილების წინააღმდეგ თავისი განაჩენი გამოიტანა.

გერმანიის მუშათა კლასმა დაიცვა თავისი ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაცია. რასაკვირველია. წითელი ფრონტელების კავშირმა თავისი არსებობის განგრძობა მოახერხა არა გერმანიის ცალკე სახელმწიფოების მთავრობათა პროტესტებისა და არა სოციალ - დემოკრატიული გაზეთების წერილების მეოხებით. კავშირი გადაარჩინა სოლიდარობის მძლავრმა მოძრაობამ, რომელიც მოედო გერმანიის პროლეტარიატს; უეჭველია, წითელი ფრონტელების კავშირს შეუძლია გულდამშვიდებით შეჰყუროს თავის მომავალს მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ეს მოძრაობა არ შენელდება და მუშათა კლასი მუდამ მზად იქნება დაიცვას თავისი უფლებანი და თავისი ორგანიზაციები. არჩევნების შემდეგ, როდესაც საჭირო აღარ იქნება პროლეტარიატის თანაგრძნობის ძიება და როდესაც საპარლამენტო კომბინაციების დრო დადგება. სოციალ - დემოკრატია დიდის სიამოვნებით უღალატებს წითელ ფრონტელებს და მათი კავშირის დაშლის შესახებ ყოველგვარ წინადადებას მხარს დაუჭერს. რეიხსტაგის მეთვალყურე კომისიის სოციალ დემოკრატ წევრებს თავისი მიზნები ჰქონდათ, როდესაც წინადადება შეჰქონდათ, რომ კომისიას პრინციპიალურად არ დაეგმო წითელი ფრონტელების კავშირის დაშლა, არამედ იგი „უდროოდ" ჩაეთვალა; ამ „უდროობას" ყოველთვის იგრძნობენ სოციალ-დემოკრატებიც და ბურჟუაზიული პარტიებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის პროლეტარიატი მუდამ მზად იქნება დაიცვას თავისი კლასობრივი მებრძოლი ორგანიზაცია ისევე, როგორც მან ეს მოახერხა უკანასკნელ ხანებში.

„პრავდა"-ს პოლიტმიმოხილვიდან—5 მაისი.

ნანკინის ჯარების და იაპონელების შეტაკება ცზინანში

ბრძოლის დროს მოკლულია 800 ჩინელი და 134 იაპონელი

სამხრეთელები განაგრძობენ წინსვლას ტეჩჟოუსაკენ

მდგომარეობა ჩინეთში

დიდი შეტაკება

შანხაი, 4 მაისი. 3 მაისს სამხრეთელების და იაპონიის ჯარების ნაწილებს შორის მოხდა დიდი შეტაკება.

გომინის საგენტოს ცნობით, შეტაკება მოხდა იმასთან დაკავშირებით, რომ იაპონიის ჯარებმა დაპატიმრეს სამხრეთის ჯარების პროპაგანდისტულ ჯგუფის რამოდენიმე წევრი, რომლებიც ცდილობდენ ქალაქის ზოგიერთ ქუჩებზე ბარიკადების მოწყობას. ინციდენტთან დაკავშირებით ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ხუან-ხუმ კვლავ მოითხოვა იაპონიის ჯარების გაწვევა.

იაპონიის სამხედრო სამინისტრო აქვეყნებს შემდეგს: 3 მაისს დილის 10 საათზე, სამხრეთის ჯარებმა, რომლებიც ალბათ, ანხორციელებდნენ წინასწარ შემუშავებულ გეგმას, იერიში მიიტანეს ქალაქის იმ ნაწილზე, რომელიც ეჭირა იაპონიის ჯარებს და აიძულეს, უკანასკნელნი თავი დაეცვათ. იაპონიის ჯარებმა დაჰკარგეს 34 კაცი (მოკლული). შეტაკების დროს მოკლულ იქნა 100 იაპონელი რეზიდენტი. ქალაქის იმ რაიონებში, რომლებიც იაპონიის ჯარებს არ ჰქონდათ დაკავებული, გაძარცვეს იაპონელების და უცხოელების სახლები. (ადს).

მეორე „ნანკინის ინციდენტი"

პეკინი, 4 მაისი. ცნობებმა ცზინანის ამბების შესახებ დიდი მღელვარება გამოიწვია იაპონელთა ადგილობრივ კოლონიაში. იაპონიის რეზიდენტებს ეშინიათ იმის, რომ ამბები არ გადაიქცეს მეორე „ნანკინის ინციდენტათ".

იაპონიის საექსპედიციო ჯარების უფროსი ფუკუდა სამხრეთის ჯარებს ბრალს სდებს იმაში, რომ ისინი წინასწარ შემუშავებული გეგმით მოქმედებდენ.

ტოხოს საგენტოს ცნობით, კვანტუნში დაბანაკებულ იაპონიის ჯარების შტაბს მოუვიდა ბრძანება დაუყოვნებლივ გაგზავნოს დამხმარე რაზმი ცზინანში. საგენტო იუწყება, რომ იაპონიის მთავრობამ, რომელსაც ეშინია ომის ასპარეზად არ გადაიქცეს მანჯურია, დაადგინა არ დაუშვას ჯარების შეჭრა სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის ფარგლებში და უზრუნველყოს ამრიგათ იაპონიის რეზიდენტთა სიცოცხლის და ქონების დაცვა.

ფრანგულ წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ცზინანში სამხრეთ ჯარებსა და იაპონიის ჯარებს შორის მომხდარ ბრძოლის დროს მოკლულია მრავალი იაპონელი და სხვა უცხოელი მოქალაქე. (ადს).

მღელვარება ინგლისის ჯარისკაცებს შორის ჰონკონგში

ლონდონი, 4 მაისი. ინგლისის ჯარისკაცებს შორის ჰონკონგში ძლიერდება უკმაყოფილება. ჯარისკაცები სისტემატიურად ამსხვრევენ ფანჯრების მინებს ყაზარმებში იმ იმედით, რომ მათ დაითხოვენ და გააგზავნიან ინგლისში. ეს ფაქტი აღნიშნულია ჰონკონგის სამხედრო ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ზარალის ანაზღაურება

ვაშინგტონი, 4 მაისი. ამერიკის ელჩმა ჩინეთში მერრეიმ აცნობა თავის მთავრობას, რომ ნანკინის მთავრობამ ამერიკელ მოქალაქეთა იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მათ მიუვიდათ ნანკინის ინციდენტის დროს, ჯერ-ჯერობით გადიხადა 50.000 დოლარი. (ადს).

იაპონიის გემები ჩინეთის წყლებში

ტოკიო, 4 მაისი. ცინდაოში გაიგზავნა იაპონიის ფლოტის ყველაზე დიდი ნაღმოსანი „ტოკივა", რომელიც სასებოში იდგა. ცინდაოში მაზურუდან გასულ ოთხ კონტრნაღმოსანს და ცინდაოში მდგომ ნაღმოსნებს უბრძანეს გაემართონ შანხაისაკენ სამხრეთ ჩინეთში მოსალოდნელ მღელვარების გამო. შანხაისაკენ გაემართებიან აგრეთვე სამი კონტრნაღმოსანი, რომლებიც ამჟამად ცინდაოში არიან. (ადს).

„მდგომარეობა საშიშია"

ვაშინგტონი, 4 მაისი. საგარეო საქმეთა სამინისტროში ფიქრობენ, რომ ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა საშიშია და მოითხოვენ ყველა ამერიკელების სასწრაფო ევაკუაციას ჩინეთიდან.

შეტაკებები გრძელდება

ტოკიო, 4 მაისი. სიმბუნ რენგოს საგენტო იუწყება: „შანდუნში მყოფ იაპონელთა ჯარების სარდალმა განაცხადა, რომ სამხრეთელების ძალადობა ცზინანში, როგორც ჩანს ადრევე იყო მომზადებული, ვინაიდან ძარცვა ერთსა და იმავე დროს დაიწყო სხვადასხვა ადგილებში. ქალაქში შემოსულებს ყველას ურიგებდნენ ხელის ყუმბარებს, რკინის გზა კი წინდაწინვე იყო გადაჭრილი. სამხრეთელების სარდლობა ყურადღებას არ აქცევს შეთანხმებას იაპონელებთან, სამხრეთელები შედიან იაპონიის ტერიტორიაზე, რის გამოც შეტაკებები გრძელდება. (ადს).

სამხრეთელების სამხედრო ოპერაციები

პეკინი, 5 მაისი. გაზეთი „შანხაი მერკური" იუწყება, რომ ცზინანში მომხდარ ბრძოლის დროს ჩინეთის ჯარებს მოუკლეს 800 კაცი.

იაპონიის ჯარებმა განაიარაღეს სამხრეთელების 1.000 ჯარისკაცი.

გაზეთის სიტყვებით, იაპონიის ჯარები, რომლებიც ცინდაოში იმყოფებოდნენ, გაიგზავნენ ცზინანში.

ტოხოს საგენტოს ცნობით, ცზინანის დაკავების შემდეგ სამხრეთელები განაგრძობენ მტრის ძალების ენერგიულ დევნას. ჩრდილოეთელების ძირითადი ძალები უკან იხევენ ტეჩჟოუს მიმართულებით (110 კილომეტრის მანძილზე ცზინანის ჩრდილოეთით) ჩრდილოეთელების მოწინავე ხაზი გადის ხანტიან-ტეჩჟოუს შორის. საგენტოს აზრით, ჩრდილოეთელებს აღარ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა და ტეჩჟოუ ალბათ უახლოეს ხანში გადავა სამხრეთელების ხელში.

„შუნ-ბაო"-ს ცნობით, ცზინანის დაკავების შემდეგ სამხრეთელებმა განაიარაღეს ჩრდილოელების ჯარების ერთი როტა, რომელიც შედგებოდა თეთრგვარდიელებისაგან. (ადს).

ნანკინის მთავრობის მოთხოვნილება

ტოკიო, 4 მაისი. სიმბუნ რენგოს საგენტოს ცნობით, ცინდაოში შანხაიდან ჩავიდა ნანკინის მთავრობის წარმომადგენელი და მოითხოვა ქალაქის ჩაბარება სამხრეთელებისათვის, ვინაიდან მას დაპატიმრებით დაემუქრნენ, ის ნაპირზე არ გადმოვიდა და გაემგზავრა ცზინანში. (ადს).

ჩრდილოელების მოქმედების ახალი გეგმა

პეკინი, 4 მაისი. ტოვეინის საგენტოს ცნობით, ჩრდილოელების არმიის შტაბმა შეცვალა პირველი გეგმა და გადაწყვიტა განაგრძოს შეტევა ჩენ-ჩჟოუს მიმართულებით, იმ იმედით, რომ ფინ-იუი-სიანი ვერ შესძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს ჩრდილოეთელებს იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ გაილაშქრა ხუნანის გენერალმა ფან-ჩუ-ნმა.

სესხი ნანკინის მთავრობას

პეკინი, 4 მაისი. როგორც ტოხოს საგენტო იუწყება, ჩინეთის ბანკები ნანკინის მთავრობას აძლევენ 30 მილ. დოლარის სესხს, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება გადასახადებით თამბაქოსა და მარილზე. (ადს).

ტიანძინის ვაჭრების თხოვნა

პეკინი, 4 მაისი. ტიანცზინის ვაჭრებმა პეკინის მთავრობას მიმართეს თხოვნით ფუფუნების საგნებზე გადასახადის გაუქმების შესახებ. სამაგიეროდ ვაჭრები თანახმა არიან გადაიხადონ ყოველთვიურად 100.000 დოლარი. (ადს).

შეთანხმება მიღწეულია

პეკინი, 4 მაისი. სიმბუნ რენგოს საგენტოს ცნობით, ცზინანში იაპონიის ჯარებსა და სამხრეთელების წარმომადგენლებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის ძალით სამხრეთელებს გაჰყავთ ჯარები იაპონელების მიერ დაკავებულ რაიონებიდან. (ადს).

ბირკენხედის ანტისაბჭოთა მოლაპარაკებანი

ბერლინი, 4 მაისი. „კელნიშე ცეიტუნგ" იუწყება, რომ სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბირკენხედი ბერლინში ყოფნის დროს მართლაც აწარმოებდა „ანტირუსულ მოლაპარაკებას" კიულმანთან და ზოგიერთ სხვა პირებთან, რომლებსაც ეხლა აღარ უჭირავთ ოფიციალური თანამდებობანი.

„კელნიშე ცეიტუნგ" აღნიშნავს, რომ მაინცში ერთ-ერთ გაზეთის თანამშრომელთან საუბარში შტრეზემანმა განაცხადა, რომ მასთან მოლაპარაკების დროს ბირკენხედს არ წამოუყენებია არავითარი წინადადება ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების დადების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც გაზეთი აღნიშნავს, ეს სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ ბირკენხედმა ასეთი გეგმა წამოაყენა გერმანიის სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან საუბარში. (ადს).

„სურს თუ არა პუანკარეს შეთანხმება"

ბერლინი, 4 მაისი. „ფორვერტს" თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს შიფის წერილს სათაურით „სურს თუ არა პუანკარეს შეთანხმება". ეყრდნობა რა პუანკარესთან ხანგრძლივ საუბარს, შიფი ამ კითხვაზე უპასუხებს დადებითად და აცხადებს, რომ პუანკარეს არა მარტო გულწრფელად სურს საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ის მომხრეა აგრეთვე გერმანიასთან შეთანხმების.

შიფი გამოსთქვამს რწმენას, რომ შესაძლებელია გერმანიის მემარჯვენე-ბურჟუაზიული მთავრობის დაახლოვება პუანკარეს მთავრობასთან ურთიერთ გაგების ნიადაგზე. (ადს).

რა დაჯდა ინტერვენცია

ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 4 მაისი. სენატის მოთხოვნილების საპასუხოთ საზღვაო საქმეების კომისიის თავმჯდომარემ გეილმა განაცხადა, რომ ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებს ინტერვენცია ნიკარაგუასა და ჩინეთში დაუჯდათ 4 მილიონ 783.000 დოლარი, ნიკარაგუაში ამერიკის ჯარს მოუკლეს 21 ჯარისკაცი და დაუჭრეს 45. (ადს).

საბჭოთა პავილიონი

კელნის გამოფენაზე

ბერლინი, 4 მაისი. საბჭოთა პავილიონში „პრესსა"-ს კელნის საერთაშორისო გამოფენაზე მუშაობა გაჩაღებულია. ამჟამად სწარმოებს პავილიონის მოწყობა შიგნით, მოსკოვში დამზადებულ ექსპონატების ორი მესამედი უკვე მიღებულია კელნში, დანარჩენ ნაწილს მოელიან ამ დღეებში. საბჭოთა კავშირის მონაწილეობა გამოფენაში დიდ ინტერესს იწვევს. საბჭოთა წარმომადგენლობისადმი დამოკიდებულება გამოფენის ხელმძღვანელების მხრით მეტად თავაზიანია. გამოფენა გაიხსნება 12 მაისს. (ადს).

მუშათა გაფიცვა

ლატვიაში

რიგა, 4 მაისი. 23 აპრილიდან დაწყებული, გაფიცულია რიგის ფეხსაცმელების 146 საწარმოს 2.000 მუშა. მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის 50 პროცენტით გადიდებას. აუცილებელ საჭიროების საგნები, ომის წინდროინდელ ფასებთან შედარებით ლატვიაში გაძვირდა 70 პროცენტით, ხოლო სამუშაო ხელფასი გაიზარდა 10 პროცენტით. (ადს).

საბერძნეთის გემის

დაღუპვა

ბერლინი, 4 მაისი. ბრიტანეთის გემმა „ბავკიუს"-მა ჩაძირა საბერძნეთის გემი „ფაფალოს"-ი ლამანშში სენ ალბანის კონცხიდან 30 მილის დაშორებით. უკანასკნელი ცნობებით, ცოტა ხნის შემდეგ ჩაიძირა ხომალდი „ბავკიუს"-იც, რომელმაც გადაარჩინა „ფაფალოს"-ის 11 მეზღვაური. ხომალდზე მყოფნი გადარჩენ.

პორტლანდსა და პორტსმუტიდან კატასტროფის ადგილისაკენ გაეშურენ სამხედრო ხომალდები. (ადს).

ნობილეს გადაფრენა

ჩრდილოეთ პოლიუსზე

„იტალია" უმნიშვნელოდ დაზიანდა

ოსლო, 4 მაისი. დირიჟაბლ „იტალიას" უმნიშვნელოდ დაუზიანდა წინა ნაწილი. პირველად შპიცბერგენზე გადაფრენა დანიშნული იყო 4 მაისს, მაგრამ მეტეოროლოგიური სადგური იუწყება, რომ ნორვეგიასა და შპიცბერგენს შორის ამჟამად ცვალებადი ატმოსფერული პირობებია. ფიქრობენ, რომ დირიჟაბლი ვადში დარჩება უფრო მეტ ხანს, ვინემ ეს პირველად იყო განზრახული. (ადს).

ლოკაუტი

ბერლინი, 4 მაისი. რეინის სანაოსნო კომპანიების მუშა-მოსამსახურეებმა უარყვეს კომპანიების წარმომადგენელთა წინადადება სამუშაო ხელფასის 13 პროც. შემცირების შესახებ. სანაოსნო კომპანიებმა გამოაცხადეს ლოკაუტი, რის გამო ნაოსნობა რეინზე შეწყდა. (ადს).

პროგრესიული მოხელეების დათხოვნა

რიგა, 4 მაისი. ოპოზიციამ სეიმში შეიტანა შეკითხვა პროგრესიული მოხელეების მასიური დათხოვნის შესახებ. პრემიერ იურაშევსკის სიტყვით, სამსახურიდან დათხოვა გამოწვეულია „უწყებების რეორგანიზაციის აუცილებლობით წინასწარ დასახულ გეგმების თანახმად". გაზეთი „სოციალ-დემოკრატს" აცხადებს, რომ პროგრესიული მოხელეების დათხოვნა ხდება ბერგის რეაქციონური ჯგუფის მოთხოვნილებით, რომელიც წარმოადგენს მემარჯვენე მთავრობის შედგენის დროს მიღწეულ შეთანხმების ერთ-ერთ პუნქტს. გაზეთის სიტყვით, ბერგის ჯგუფი მოითხოვს აგრეთვე მემარცხენე პროფკავშირების ათი ორგანის დახურვას, კრებების თავისუფლების შეზღუდვას, სოციალ-დემოკრატ მუშათა საპორტო კავშირის დაშლას და სავადმყოფო კასების რეორგანიზაციას. (ადს).

კალვის ციხის პატიმართა საქმე

პარიზი, 4 მაისი. მარსელში გარჩეულ იქნა კალვის (კორსიკა) ციხის პატიმართა საქმე, რომელთაც ბრალად ედება მონაწილეობის მიღება ციხეში მომხდარ ბუნტში. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბუნტი წარმოიშვა ცუდი კვებისა და ციხის ადმინისტრაციის ცუდ მოპყრობის ნიადაგზე. მღელვარების ჩაქრობის შემდეგ მღელვარების მონაწილეებს დაუწყეს ცემა და წამება, ბრალდების მოწმე ოფიცრები ამტკიცებენ, რომ თითქოს ბუნტი მოწყობილი იყო კომუნისტური პროპაგადის გავლენით, რომელსაც მიზნად ჰქონდა ტულონის ციხეში აჯანყებული მეზღვაურთათვის მხარის დაჭერა. (ადს).

პარიზი, 4 მაისი. სამხედრო სასამართლომ, რომელიც არჩევდა კალვიის (კორსიკა) დისციპლინარულ ბატალიონში მომხდარ ამბოხების საქმეს, 15 ბრალდებულს მიუსაჯა დაპატიმრება 4 თვიდან 5 წლამდე. (ადს).

ახალი დანიშვნები

მოსკოვი, 5 მაისი. საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებით ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი ამხ. კორკი განთავისუფლებულია თანამდებობიდან და დანიშნულია სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო დავალებათა აღმასრულებლად.

წითელი არმიის შტაბის უფროსი ამხ. ტუხაჩევსკი განთავისუფლებულია თანამდებობიდან და დანიშნულია ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად.

მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი ამხ. შაპოშნიკოვი განთავისუფლებულია თანამდებობიდან და დანიშნულია წითელი არმიის შტაბის უფროსად. (ადს).

შაქრის ქარხნის ადმინისტრატორების ყრილობა

მოსკოვი, 5 მაისი. შაქრის ტრესტის ქარხნების ადმინისტრატორების ყრილობაზე შაქრის მრეწველობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა შაქრის ტრესტის გამგეობის თავმჯდომარემ ადამოვიჩმა. დაახასიათა რა შაქრის მრეწველობის საერთო მდგომარეობა, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შაქრის მრეწველობის ბალანსმა 1928 წლის 1 იანვრისათვის თითქმის მილიარდ მან. მიაღწია. საერთოდ შაქრის მრეწველობის მიღწევები საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლსაც. დასახა რა პრაქტიკული ღონისძიებები ჩამოთვლილ ნაკლის თავიდან ასაცილებლად, მომხსენებელმა განაცხადა, რომ წელს შაქრის მრეწველობა სავსებით დააკმაყოფილებს შინაური ბაზრის მოთხოვნილებას და აგრეთვე შესაძლებელი იქნება შაქრის საზღვარგარეთ გატანაც. (ადს).

პელტიე-დუაზის გაფრენა

მოსკოვი, 5 მაისი. მიღებულია ცნობები, რომ პარიზიდან ტოკიოში გადაფრენას აპირებს ფრანგი მფრინავი პელტიე-დუაზი. ის მიფრინავს ტოკიოში სამხრეთის მარშრუტით (საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადაუვლელად). მაგრამ უკან დაბრუნებისას მანჯურიაზე და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადმოვლით დაეშვება ომსკში. საბჭოთა საავიაციო ხელისუფლებამ განკარგულება გასცა, რომ ომსკში მომზადებულ იქნას საწვავი მასალა საფრანგეთის თვითმფრინავისათვის და დუაზს აღმოუჩინონ ტეხნიკური დახმარება.

ღირსეული სასჯელი

ხარკოვი, 5 მაისი. დონუგოლის გამგეობამ წინადადება მისცა შჩერბინოვსკის მაღაროების სამმართველოს დაუყოვნებლივ მოხსნას თანამდებობიდან მაღარო „არტემ"-ის გამგის თანაშემწე გრეკოვი, რომლის განკარგულებითაც დაპატიმრებულ იქნა მუშა-ქალი, რომელმაც წარადგინა კანონიერი მოთხოვნილება სპეცტანსაცმლის მიცემის შესახებ. გამგეობა აღნიშნავს დადგენილებაში, რომ ხელმძღვანელი ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი ფხიზლად და ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს მუშებს, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატებოდეს მათ კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. (ადს).

ამერიკა არჩევნების წინ

საარჩევნო მანევრი

ვაშინგტონი, 4 მაისი. პალატამ დემოკრატების, აგრარული ფრთის და რესპუბლიკანური პარტ. ბლოკის ხმებით მიიღო კანონპროექტი ფერმერებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომელსაც წინედ კულიჯმა ვეტო დაადო. კანონპროექტი სენატს გადაეცა. თუ კანონპროექტი დამტკიცებულ იქნა სენატის მიერ, ფიქრობენ, რომ კულიჯი კვლავ დაადებს ვეტოს. კანონპროექტის მიღება პალატის მიერ განხილულ უნდა იქნეს როგორც პოლიტიკური მანევრი, რომელიც კულიჯს და ვაჭრობის მინისტრ გუვერს მძიმე მდგომარეობაში აყენებს საარჩევნო კამპანიის წინ, და რომელიც აიძულებს მათ ამომრჩეველთა წინაშე გამოვიდენ ფერმერთა მოთხოვნილებების წინააღმდეგ.

სმიტის შანსები იზრდება

ნიუ-იორკი, 4 მაისი. გამარჯვება, რომელიც სმიტმა მოიპოვა სადელეგატო კონფერენციაზე კალიფორნიაში, მნიშვნელოვანად ადიდებს მის შანსებს პრეზიდენტის არჩევნებში. სმიტი არჩევნებში გამოვა, როგორც დემოკრატიული პარტიის კანდიდატი.

რესპუბლიკანელთა კანდიდატებიდან იზრდება გუვერის შანსები.

კულიჯის პოზიცია წინანდებურათ ორაზროვანი რჩება. ის უარყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ აპირებს თავისი კანდიდატურის წამოყენებას, მაგრამ ამავე დროს არ აცხადებს, რომ კატეგორიულად ამბობს უარს ამაზე.

ვიკინგის კავშირის განყოფილებების დაშლა

ბერლინი, 4 მაისი. ცნობილმა ფაშისტმა კაპიტან **ერხარდტმა** დაშალა ვიკინგის კავშირის განყოფილებები იმ მოტივით, რომ კავშირს, როგორც საერთოდ შეიარაღებულ კავშირების მთელ მოძრაობას არავითარი პოლიტიკური მომავალი არა აქვს. ერხარდტს განზრახული აქვს შემდეგში ბრძოლა აწარმოოს წმინდა პოლიტიკური მეთოდებით. მემარცხენე პრესა ცნობას კავშირის დაშლის შესახებ უნდობლობით უყურებს. (ადს).

კომინტერნის პასუხი

გერმანიის ოპოზიციონერებს

მოსკოვი, 5 მაისი. მასლოვის, რუტ ფიშერის და ურბანსის ორგანომ „კომუნიზმის დროშამ" 13 აპრილს გამოაქვეყნა კომინტერნისა და გერმანიის კომპარტიის ც. კ.-სადმი მიმართული „ღია ბარათი", რომელიც, ვითომდა, ნაკარნახევია ეგრეთწოდებული „ლენინური კავშირის" სურვილით, რომ ეს კავშირი მიღებულ იქნას კომინტერნში ან აღიარებულ იქნას თანამგრძნობ ორგანიზაციად. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ეს განცხადება წარმოადგენს დემაგოგიურ მანევრს, რომლის წყალობითაც მასლოვი, რუტ ფიშერი, ურბანსი, და კომპანია ცდილობენ გამოიყენონ მათი პოლიტიკის უკმაყოფილო და მათგან მოტყუებული მუშები თავისი კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკისა და საქმიანობის სასარგებლოდ. ამ განცხადებაში სიტყვაც არ არის დაძრული მასლოვ-ურბანსის ჯგუფის კონტრ-რევოლიუციონური და გამთიშველი მუშაობის დასაგმობად. ეს ცოტაა: იქ გარკვევით არის აღნიშნული, რომ ხსენებული ჯგუფი არ ემორჩილება კომინტერნის კონგრესების რეზოლიუციებს. იმავე განცხადებაში გამოყენებულია პოლიტიკური შანტაჟის მეთოდები, მაგალითად, მუქარა იმის შესახებ, რომ საკუთარ კანდიდატებს წამოაყენებენ რეიხსტაგის არჩევნებში, რამაც უკვე ზოგიერთი ტროცკისტის პროტესტიც კი გამოიწვია, მაგალითად, რადეკისა.

იმ დროს, როდესაც გერმანიის ბურჟუაზიული ელემენტების ყველა ძალები—ტევტონელებიდან დაწყებული სოციალ-დემოკრატებამდე — კომპარტიის წინააღმდეგ გამოდიან და როდესაც ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობა მზად არის წითელი ფრონტელების კავშირი დაშალოს, დამოუკიდებელი პარტიის შექმნა და დადგენილება საკუთარი კანდიდატების წამოყენების შესახებ, წარმოადგენს ხელახალ ბოროტად განზრახულ ღალატს მასლოვ-ფიშერ-ურბანსის კავშირის ლიდერების მხრით, იმ რენეგატების ჯგუფების, მხრით, რომლებმაც თავისი რევოლიუციონური საქმიანობა უსირცხვილოდ ამოაფარეს ლენინის სახელს. მაგრამ, რადგანაც მასლოვ-ფიშერ-ურბანსის კავშირის ბელადებმა ცრუ ინფორმაციით რამდენიმე მუშა შეცდომაში შეიყვანეს, ამიტომ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი აცხადებს: 6 თვის გამოცდისა და საქმით შემოწმების შემდეგ, ხელახლა მიღებულ იქნან გერმანიის კომპარტიის და კომინტერნის შემადგენლობაში მასლოვ-ფიშერ-ურბანსის კავშირის ყველა წევრები, რომლებიც დაუყოვნებლივ დაჰგმობენ მასლოვ-ფიშერ-ურბანსის ჯგუფის მოქმედებას, როგორც ანტიპროლეტარულ და კონტრ-რევოლიუციონურ საქმიანობას, დაუყოვნებლივ გამოვლენ კავშირის შემადგენლობიდან და გულახდილად იკისრებენ ვალდებულებას, რომ დაემორჩილებიან გერმანიის კომპარტიის ყველა დადგენილებას და კომინტერნის ხელმძღვანელი ინსტანციების ყველა გადაწყვეტილებას. (ადს).

ამანულა-ხანი მოსკოვში

კრემლში

მოსკოვი, 5 მაისი. 4 მაისს დილით ფადიშაჰმა და მისმა მეუღლემ ამალის თანხლებით დაათვალიერეს კრემლი. კრემლში ფადიშაჰს შეხვდენ ამხ. კალინინი, ენუქიძე და კარახანი. სტუმრებმა დაათვალიერეს „ორუჟეინაია პალატა" და კრემლის დიდი სასახლე. კრემლის დათვალიერების შემდეგ ფადიშაჰმა ინახულა საკავშირო ცაკის გაერთიანებული სამხედრო სკოლა. მოედანზე ფადიშაჰს აჩვენეს სკოლის ცხენოსანთა ესკადრონის სამწყობრო მეცადინეობა და პუტილოვის ქარხნის 2 ტრაქტორის მუშაობა, რომლებიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ აჩუქა ფადიშაჰს.

ლენინის ინსტიტუტში

ფადიშაჰმა ამხ. კარახანის და ამალის თანხლებით ინახულა ლენინის ინსტიტუტი, სადაც მას შეხვდა ინსტიტუტის დირექტორი ამხ. სტეპანოვ-სკვორცოვი, იგი მიესალმა ფადიშაჰს, როგორც იმ მეგობრული სახელმწიფოს მეთაურს, რომელმაც იმპერიალისტების წინააღმდეგ მძიმე ბრძოლაში მოიპოვა თავისი დამოუკიდებლობა. შემდეგ სტეპანოვ-სკვორცოვმა ფადიშაჰს უჩვენა ინსტიტუტის ყველა განყოფილებანი, ლენინის ტვინის პრეპარატი, რომლითაც ფადიშაჰი განსაკუთრებით დაინტერესდა, და ლაბორატორიები.

ფადიშაჰმა 4 მაისს დღისით დაათვალიერა მოსკოვის გლეხის სახლი.

ფადიშაჰმა მიიღო ავღანელთა კოლონია მოსკოვში.

დარბაზობა ამხ. კალინინთან

საღამოს დარბაზობაზე ამხ. კალინინთან დაესწრო ფადიშაჰი, მისი მეუღლე და ოჯახის წევრები და ამხ. ენუქიძე, რუძუტაკი, ჩიჩერინი, ვოროშილოვი, მიქოიანი, ლიტვინოვი, კარახანი, ლუნაჩარსკი, კრესტინსკი, კოლონტაი, და სხ., და აგრეთვე უცხოეთის ელჩები.

ბანკეტის დროს ამხ. კალინინმა ფადიშაჰს მიმართა სიტყვით, რომელშიაც საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით და პირადად მიესალმა ფადიშაჰს საბჭოთა კავშირის დედაქალაქში.

„თქვენი სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში,—სთქვა ამხ. კალინინმა,—იქნება ახალი ფაქტორი ნამდვილი მეგობრობის და გულწრფელი ურთიერთობის გამოხატვისათვის, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებს შორის დამყარდა მათი თავისუფალი არსებობის განთიადზე. ჩვენ კმაყოფილებით ვიგონებთ, რომ საბჭოთა მთავრობა იყო პირველი ქვეყანა, რომელიც სიხარულით მიესალმა ავღანისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ამასთან ერთად მე სიამოვნებით ვესალმები თქვენი სახით იმ ქვეყანას, რომელმაც ინტერვენციის დროს პირველმა დაამყარა ოფიციალური ურთიერთობა საბჭოთა მთავრობასთან.

ჩვენი ქვეყნები,—სთქვა შემდეგ ამხ. კალინინმა,—ამჟამად იმყოფებიან ეკონომიური და პოლიტიკური აყვავებისა და განმტკიცების გზაზე. საწარმოო და კულტურულ ძალთა განვითარება ქმნის წინასწარ პირობებს. ჩვენი თანამშრომლობის შემდეგში გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, რაშიაც ჩვენ ვხედავთ ჩვენი ხალხების კეთილდღეობის საწინდარს და საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პირადი გაცნობა საბჭოთა კავშირთან გამოიწვევს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებას და განვითარებას".

დასასრულ, ამხ. კალინინი მიესალმა ორივე სახელმწიფოს შეურყეველ მეგობრობას, ხალხთა ძმობას და მათ თავისუფალ და დამოუკიდებელ აწმყოს და მომავალს.

საპასუხო სიტყვაში ფადიშაჰმა დედოფლისა და თავისი სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას მეგობრული შეხვედრისათვის.

„გულწრფელი მეგობრობა, რომელმაც დააკავშირა ჩვენი სახელმწიფოები უდიდესი განსაცდელის წლებში,—სთქვა ფადიშაჰმა,—იყო იმავე დროს საუკეთესო ბაზა გულწრფელი ურთიერთობისათვის ორივე ქვეყნის შორის. მე მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა გინახულოთ თქვენი დიდი ქვეყნის დედა-ქალაქში და პირადათ გამოვსთქვა ის გულწრფელი გრძნობები, რომლებსაც განვიცდი. მე კმაყოფილებას გამოვსთქვამ იმის გამო, რომ დღეს შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნების კეთილდღეობის განვითარებასა და განმტკიცებასთან ერთად წარსული წლების განმავლობაში გაღრმავდა ჩვენი მეგობრობა, რომელიც ჩვენი ხალხების კეთილდღეობისა და საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საწინდარს წარმოადგენს.

ეხლა, როცა ჩვენი ურთიერთობა ემყარება ისეთ მტკიცე საძირკველს, როგორიც არის 1921 წლის მეგობრობის ხელშეკრულება, და აგრეთვე 1926 წ. პაგმანის ხელშეკრულება ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის შესახებ, და როცა სწარმოებს მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, ჩვენ სიხარულით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი სახელმწიფოების პოლიტიკური აქტი,—სახელმწიფოების, რომლებმაც პირველმა იცნეს ერთმანეთი, სავსებით შეეფერებოდა ორივე ქვეყნის ინტერესებს და ამ ხნის განმავლობაში მიღწეული შედეგები სავსებით შეეფერება იმ გულწრფელობას, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ურთიერთობას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი პირადი გაცნობა თქვენთან კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც ამ ორი ქვეყნის შორის დამყარდა".

დარბაზობა ამხ. ჩიჩერინთან

4 მაისს საღამოთი ამხ. ჩიჩერინთან გაიმართა დარბაზობა ავღანისტანის ფადიშაჰის მოსკოვში ყოფნის გამო. დარბაზობას დაესწრენ საბჭოთა კავშირის მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსი, ფადიშაჰის ამალა და სხვ. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„პრავდა" ამიერ-კავკასიის დელეგატების შესახებ პროლეტმწერალთა ყრილობაზე

მოსკოვი, 5 მაისი. მოსკოვის გაზეთები ეხება პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობას. „პრავდა"-ს დღევანდელ ნომერშიც მოთავსებულია წერილი ამავე საკითხზე.

„პრავდა" პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობის ერთ-ერთ მეტად დამახასიათებელ მომენტად სთვლის საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის დელეგატების აქტიურ გამოსვლებს ყრილობაზე.

გაზეთის სიტყვით ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ კავკასიაში ადგილი აქვს სტიქიურ კულტურულ ზრდას. კულტურულ წინსვლის შედეგებს ვამჩნევთ ჩვენ სხვათა შორის იქედანაც, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდათ გაიზარდა სიტყვა-კაზმული და სხვა სახის ლიტერატურა ეროვნულ ენებზე.

ამხ. ე. იაროსლავსკი საბჭოთა მხატვარის ამოცანის შესახებ

მოსკოვი, 5 მაისი. მოსკოვში ამჟამად მიმდინარეობს რევოლიუციონური რუსეთის მხატვართა ასოციაციის ყრილობა, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ე. იაროსლავსკი.

მომხსენებელმა გააშუქა საკავშირო კომუნისტური პარტიის პოლიტიკა სამხატვრო მუშაობის დარგში. თავის მოხსენებაში ამხ. ე. იაროსლავსკიმ ხაზგასმით გაატარა ის აზრი, რომ საზოგადოთ ხელოვნების და მასთან ერთად მხატვრობის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს სამსახური მშრომელი მასებისათვის, მუშებისა და გლეხების ესთეტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება—ამაღლებისათვის.

ხელოვნება უნდა შეიჭრას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მან უნდა გაამშვენიეროს და გაამშინაარსიანოს იგი. მუშებსა და გლეხებს სურთ თავიანთ ყოფა-ცხოვრების ახალ საფუძვლებზე გარდაქმნა, მათ სურთ უფრო სუფთად, უფრო ლამაზათ მოაწყონ საკუთარი ბინა. აქ მოღვაწეობის თვალუწვდენელი ასპარეზია ხელოვნების მუშაკთათვის საზოგადოთ და კერძოთ საბჭოთა მხატვრობისათვის.

კომკავშირელი პროპაგანდისტები

მოსკოვი, 5 მაისი. 6 მაისს მოსკოვიდან სევასტოპოლში მატარებლით მიემგზავრება მოსკოვის ორგანიზაციის კომკავშირელთა ერთი ჯგუფი. კომკავშირლებს დავალება აქვთ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებიდან აწარმოონ პროპაგანდა საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და ქიმიზაციის სასარგებლოდ.

სევასტოპოლიდან კომკავშირელები ფეხით წამოვლენ თბილისში, საიდანაც ფეხითვე გაემგზავრებიან შუა აზიისაკენ. კომკავშირლებს გადაწყვეტილი აქვთ გაიარონ ფეხით 8.000 კილომეტრი.

ქიმიის ინსტიტუტი

მოსკოვი, 5 მაისი. პროფესიონალურ განათლების მთავარი სამმართველო ღებულობს მთელ რიგ ზომებს საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში ქიმიის ცოდნის გავრცელებისათვის.

ამ მიზნით გადაწყვეტილია გაძლიერებულ იქნას ქიმიის სწავლება ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში.

ამასთან ერთად ქალაქ ვოზნესენსკში უკვე მოხდა ქიმიის ინსტიტუტის შენობის საძირკვლის ჩაყრა. ასეთივე ინსტიტუტები აგებული იქნება მოსკოვში და ყაზანში.

ეროვნული

უკანასკნელი ცნობები

ვარშავაში მომხდარ თავდასხმის გამო

პოლონეთის ოფიციალური ცნობა

ვარშავა, 5 მაისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა ვარშავაში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელ ამხ. ლიზარევზე თავდასხმის შესახებ. ცნობაში ნათქვამია:

„სავაჭრო წარმომადგენელი ლიზარევი დაჭრილია ავტომობილის ფანჯრის შუშის ნამსხვრევებისაგან მარცხენა იდაყვზე და მარჯვენა ხელის თითებზე. სავაჭრო წარმომადგენელი დაუყოვნებლივ გაეშურა სასწრაფო დახმარების ექიმთან, რომლის აზრითაც მას მსუბუქი ჭრილობები აქვს. დაპატიმრებულმა ვოიცეხოვსკიმ პოლიციაში დაკითხვისას განაცხადა, რომ იგი მოქმედებდა ვისმეხთან შეთანხმების გარეშე. თავდამსხმელს მისი საქციელი მიაჩნია, როგორც პროტესტი რუსეთში გამეფებულ კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

ვოიცეხოვსკი სცხოვრობდა მილანუვკაში და პოლონეთში ჩამოვიდა არალეგალურად 1921 წელს. მას ჰქონდა მოწმობა პოლონეთში ცხოვრების უფლების შესახებ, როგორც ემიგრანტს“.

პატეკი ამხ. სტომონიაკოვთან

მოსკოვი, 5 მაისი. 5 მაისს პოლონეთის ელჩმა პატეკმა ინახულა გარეშე საქმეთა კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. სტომონიაკოვი და თავის მწუხარება გამოსთქვა საბჭოთა მთავრობის წინაშე იმის გამო, რომ ვარ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელ ამხ. ლიზარევზე. პატეკმა განუცხადა ამხ. სტომონიაკოვს, რომ პოლონეთის მთავრობამ მიიღო ყველა აუცილებელი ზომები აღნიშნულ შემთხვევების სასტიკი გამოძიებისათვის და დამნაშავის შესაფერისად დასჯისათვის.

ვარშავის პრესის აზრი

ვარშავა, 5 მაისი. მიუხედავად იმ დიდი სენსაციისა, რომელიც გამოიწვია გუშინ ლიზარევზე თავდასხმამ, ვარშავის არც ერთ გაზეთს არ გამოუშვია საგანგებო ნომერი, რაც ჩვეულებრივად ხდება ყოველგვარ მსგავს შემთხვევებში. მხოლოდ დღევანდელი დილის გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს გუშინდელი ამბების შესახებ.

ოფიციოზური „ეპოქა“ ათავსებს პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს მხოლოდ ერთ ცნობას შემდეგი სათაურით: „რუსი ემიგრანტის დასაგმობი საქციელი“. პილსუდსკის ორგანო „გლოს პრავდი“ თავის ინფორმაციას უკეთებს სარედაქციო შენიშვნას, რომელშიაც ნათქვამია:

„იმ რუსი კონტრ-რევოლიუციონერების შეთქმულებები, რომლებმაც პოლონეთი ამოირჩიეს ისეთ ქვეყნად, სადაც მათ სურთ ანგარიშების გასწორება პოლონეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაში მყოფ მეზობელ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან—აღმოკვეთილ უნდა იქნეს კანონის მთელი სისასტიკით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს თავდასხმა მხოლოდ შემთხვევითი შურისძიების აქტია და ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რომ პოლონეთი გაიწმინდოს იმ საერთაშორისო სენიდან, რომელსაც წარმოადგენენ რუსეთის თეთრი ტერორის ემისარები“.

თანაგრძნობის გამოცხადება უცხოეთის მისიებისაგან

ვარშავა, 5 მაისი. დღეს სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გამოცხადდა საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელი, რომელმაც თანაგრძნობა განუცხადა სრულუფლებიან წარმომადგენელს და მიულოცა მას ლიზარევის გადარჩენა.

საბჭოთა საელჩოს ესტუმრა აგრეთვე იტალიის საელჩოს წარმომადგენელი, რომელმაც თავისი თანაგრძნობა განუცხადა ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელს.

გერმანიის ელჩის თანაგრძნობა

ვარშავა, 5 მაისი. დღეს საბჭოთა კავშირის საელჩოში გამოცხადდა გერმანიის ელჩი პოლონეთში რაუშერი, რომელმაც ამხ. ბოგომოლოვს განუცხადა თავისი თანაგრძნობა და სიხარული იმის გამო, რომ ლიზარევი უვნებლად გადაურჩა საფრთხეს.

ბერლინის პრესის გამოძახილი

ბერლინი, 5 მაისი. უკეთებს რა კომენტარიებს ამხ. ლიზარევზე თავდასხმას ვარშავაში, „ფოსიშე ცაიტუნგი“ სწერს:

„სამწუხაროთ ანგარიშში უნდა გაუწიოთ იმას, რომ ეს თავდასხმა ბევრი რომ არა ვთქვათ, გამოიწვევს პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის ახალ, მძიმე გართულებას, რადგან ეს მეორე თავდასხმაა ერთი წლის განმავლობაში და მოსკოვის მთავრობა, ალბათ, წამოაყენებს მოთხოვნილებას, რათა მიღებულ იქნას უფრო გადამწყვეტი ზომები ემიგრანტების წინააღმდეგ.

შეუმოწმებელი ცნობები

ვარშავა, 5 მაისი. დღევანდელი საღამოს გაზეთებს ეტყობათ ცდა შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვოიცეხოვსკი არის „ან მანიაკი, ან სულით ავათმყოფი“.

„აბეცე“ იტყობინება, რომ ჯერ კიდევ გუშინ პოლიციამ დაბეჭდა რუსი ემიგრანტების ორგანიზაცია მარშალკოვის ქუჩაზე, სადაც ლამობდა დამალვას ვოიცეხოვსკი თავდასხმის მოხდენის შემდეგ. დღეს ამ შენობაში მოახდინეს ჩხრეკა. ამავე გაზეთის ცნობით დღეს ლამის ორ საათზე პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა აგრეთვე პოდვალნაიას ქუჩაზე, რუსი ემიგრანტების კომიტეტის შენობაში. პოლიციამ დაბეჭდა ყუთები და შკაფები, რომლებშიაც მოთავსებულია კორესპონდენციები. პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა აგრეთვე ზოგიერთ ემიგრანტების ბინებზე.

გაზეთების ცნობით დაპატიმრებულია ახალგაზრდათა ემიგრანტული კავშირის თავმჯდომარე—მაკშეევი. არც ერთი ეს ცნობა ჯერ შემოწმებული არაა.

„კურიერ ჩერვონნი“ იტყობინება, რომ დღემდე კიდევ არ მოხერხდა იმის გამორკვევა, თუ საიდან ღებულობდა ვოიცეხოვსკი თანხებს თავისი უდარდელი ცხოვრებისათვის. „არის ეჭვი,—სწერს გაზეთი,— რომ ვოიცეხოვსკის კავშირი ჰქონდა ემიგრანტულ ჯგუფებთან პარიზში, სადაც იგი გაემგზავრა გასულ წელს“.

დანარჩენი გაზეთები კმაყოფილდებიან მხოლოდ დეპეშათა სააგენტოს ცნობების გამოქვეყნებით, ან თავისი ინფორმაციით, სადაც ახალი არაფერია ნათქვამი. (ადს).

ლეიტენანტ ნეინცერის კანდიდატურა

ბერლინი, 4 მაისი. გიტლერის ფაშისტურმა პარტიამ ბავარიის ლანდტაგში წამოაყენა ლეიტენანტ ნეინცერის კანდიდატურა. ნეინცერი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მთელ რიგ იმ ფაშისტების საიდუმლო მკვლელობაში, რომელთაც უღალატეს პარტიას. (ადს).

ძირს იმპერიალიზმი

ნიუ-იორკი, 4 მაისი. ტამპიკოში შეერთებულ შტატების საკონსულოს შენობის წინ გაიმართა დემონსტრაცია. დემონსტრანტები ჰყვიროდენ: „ძირს იმპერიალიზმი, გაუმარჯოს სანდინოს“. (ადს).

ნაციონალურ პოლიტიკის იარალი

ლონდონი, 4 მაისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ მოიწონა ამერიკის პროექტი ხელშეკრულებისა ომის, როგორც ნაციონალურ პოლიტიკის იარალის, უარყოფის შესახებ. ფრაქცია დაჟინებით ურჩევს ინგლისის მთავრობას დაუყოვნებლივ მიიღოს ეს წინადადება. (ადს).

აეროპლანის დაღუპვა.

ლონდონი, 4 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, საცდელი ფრენის დროს დაიღუპა იაპონიის უდიდესი სამგზავრო აეროპლანი. მოკლულია ყველა 7 მგზავრი. (ადს).

პირველ მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის

პარიზი, 4 მაისი. პირველ მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის დატუსაღებულ მუშებს მიუსაჯეს დაპატიმრება 8 დღიდან—ერთ თვემდე. (ადს).

ერთა ლიგის პლენუმის მე-9 სესია

პარიზი, 4 მაისი. ერთა ლიგის პლენუმის მე-9 სესია დანიშნულია 3 სექტემბრისათვის. (ადს).

ვულკანი

ვენა, 4 მაისი. ბესარაბიისა და ბუკოვინის საზღვარზე, იგნიცის მახლობლად ამოხეთქა ვულკანმა, რომელიც ფერფლის უდიდეს მასას ისვრის. ვულკანის გამოკვლევის ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან ფერფლმა შეუ-

საქართველოს პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმი

გუშინ საღამოს შესდგა საქართველოს პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმი. პლენუმმა დღის წესრიგიდან მოხსნა მოხსენებები პროფინტერნის მეოთხე კონგრესისა და უმუშევართა აღწერის შედეგების შესახებ. ეს საკითხები გადატანილია პროფსაბჭოს გაფართოებულ მორიგ პლენუმებზე, რომელიც ამ დღეებში შესდგება. ამგვარად დღის წესრიგში დარჩა შემდეგი საკითხები: 1) საურთიერთო დამხმარე სალაროების მდგომარეობა, 2) მოხსენება შრომის გმირების წამოყენების შესახებ და 3) დასასვენებელ სახლებში კავშირების შორის ადგილების განაწილება.

რა აფერხებს საურთიერთო დამხმარე სალა-

რა აფერხებს საურთიერთო დამხმარე სალაროების მუშაობას

მომხსენებელი ამხ. ანთიძე

მომხსენებელი მიმოიხილავს უკეთებს ურთიერთ-დამხმარე სალაროების უკანასკნელი გამოკვლევის შედეგებს და ამბობს, რომ დამხმარე სალაროების მთავარ ნაკლს რეორგანიზაციამდე წარმოადგენდა წევრების სალაროებში მექანიკური ჩაბმა: კავშირის ყველა წევრს ვალდებულად ხდიდენ ყოფილიყო საურთიერთო დამხმარე სალაროს წევრიც, რაც ნებაყოფლობის პრინციპის სრული უარყოფაა. გარდა ამისა იშვიათად სწარმოებდა სალაროს წესდების საერთო კრებებზე განხილვა, დამტკიცება და საამისო წინასწარი მუშაობა. რეორგანიზაციის ჩატარების შემდეგ მდგომარეობა შესამჩნევად გამოსწორდა: შემცირდა მექანიკური ჩაბმა სალაროებში, გაუმჯობესებდა საწევრო ანაბარების აკრეფა და წაღებულ სესხის თავის დროზე გადახდის საქმე. მაგრამ მდგომარეობა არ შეიძლება მაინც დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს: ჯერ კიდევ ზოგიერთი წევრები სალაროს სთვლიან ისეთ დაწესებულებად, საიდანაც სესხის გატანა შეიძლება, დაბრუნება კი თითქოს სავალდებულო არ არის, სესხის დაფარვას 3—4 თვის ნაცვლად თვეობით და წლობით აგვიანდება, რის გამოც სესხის ბრუნვა მეტად განსაზღვრული და შემცირებულია; შედარებით მეტ-ჯამაგირიან მუშა-მოსამსახურეებს—სალაროს წევრებს სესხი იშვიათად ეძლევათ, რის გამოც ბევრი წევრობას თავს ანებებს. სალაროდან გასვლის შემდეგ გასულ წევრებს შეტანილი ანაბარები არ უბრუნდებათ, რაც ეწინააღმდეგება ნებაყოფლობის პრინციპს; ხშირია აგრეთვე სალაროების მიერ გაუსტუმრებელ ვალების ჩამოწერა. წევრთა საერთო კრებები ან მათთვის ანგარიშის წარდგენა ძალიან ძვირად ხდება. სუსტია აგრეთვე პროფკავშირების ხელმძღვანელობა სალაროების მუშაობაზე. ყველა ამ მიზეზების გამო მრავალი საურთიერთო დამხმარე სალაროს მუშაობა მოისუსტებს.

შემდგომი მუშაობისათვის მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია სრ. საკავ. პროფკავშ. ცენტრ. საბჭოს დადგენილების თანახმად გაძლიერდეს მუშაობა საკუთარი თანხების დასაგროვებლად. ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებისაგან საურთიერთო დამხმარე სალაროების მიერ სესხის მიღება წევრთა შორის გასანაწილებლად უნდა შეწყდეს, რადგან იგი არა სასურველ განწყობას აძლევს დამხმარე სალაროების მუშაობას: დამხმარე სალაროების საჭიროებისათვის კრედიტის გამცემ დაწესებულებებს უკვე ემჩნევათ ტენდენცია შემოიღონ თავის კონტროლი დამხმარე სალაროებზე და აიძულონ სალაროები სესხი გასცენ მხოლოდ კრედიტუნარიანობის მქონე წევრებზე. ამავე მოსაზრებით მომხსენებელს მიზანშეწონილად მიაჩნია დამხმარე სალაროებმა ხელი აიღონ დაწესებულება-წარმოებათა ადმინისტრაციისაგან სესხის გამოთხოვაზე. მთავარი წყარო სალაროებისა უნდა იქნეს საწევრო ანაბარები, რომელთა შეკრებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

აუცილებელია გატარდეს სრული ნებაყოფლობის პრინციპი წევრობის საკითხში: არავითარ ძალდატანებას—საწევრო ანაბარების მექანიკურ დაჭერას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სესხი უნდა მიეცეს ყველას საწევრო ანაბარების რაოდენობისა და საჭიროების მიხედვით; სალაროდან გასვლის დროს გასულ წევრს უნდა დაუბრუნდეს შეტანილი თანხა, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს წევრების მიერ გატანილი სესხის თავის დროზე დაფარვას: ამ მიზნით დამხმარე სალაროებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ საქ. ცაკის მიერ გამოცემული კანონი გამოუსწორებელ მოვალეების მიმართ უდავო ძიების უფლების შესახებ.

შემდეგ მომხსენებელი სალაროების თვითმოქმედების გასაცხოველებლად საჭიროდ სთვლის წევრთა საერთო კრებების ხშირ მოწვევას, როგორც დაწესებულების, ისე რაიონის ფარგლებში, საურთიერთო სალაროების უფრო მეტ ცენტრალიზაციას და სხვა.

დასასრულ, მომხსენებელი დამხმარე სალაროების საკუთარი თანხების გადიდების, მათი ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცების მიზნით საჭიროთ სთვლის შემოღებული იქნეს სარგებელი გაცემულ სესხზე 12 პროცენტის რაოდენობით წლიურად.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ორატორებს საჭიროდ მიაჩნიათ გამარტივდეს ან დამხმარე სალაროების ანგარიშწარმოების ფორმა, შემოღებულ იქნეს წესდების საერთო კრებებზე განხილვა, დაწესდეს სარგებელი გაცემულ სესხზე და სალაროდან გასულ წევრებისათვის ანაბარების უკან დაბრუნება საორგანიზაციო ხარჯების გამოკლებით და სხვა.

მოხსენების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიხედვით პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ს.პ.კ. ცენტრ. საბჭოს მესამე პლენუმის დადგენილებანი ურთიერთ-დამხმარე სალაროების მუშაობის შესახებ.

შრომის გმირები

მომხსენებელი ამხ. ხვედელიძე

საკავშირო ცაკის 1927 წლის დადგენილების თანახმად,—ამბობს მომხსენებელი,—პროფესიონალურ ორგანიზაციებს ენიჭებათ უფლება ხანგრძლივი სტაჟის და განსაკუთრებული დამსახურების მიხედვით მუშა-მოსამსახურეთა წრეებიდან წამოაყენონ შრომის გმირები, რომელნიც, იმ შემთხვევაში, თუ სამსახურს თავს დაანებებენ, მიიღებენ ფაქტიური ხელფასის სამ მეოთხედს და რომელთაც მიეცემათ სხვადასხვა შეღავათები. საქართველოს პროფკავშირები უკვე შეუდგენ ამ კანონის განხორციელებას. შრომის გმირობაზე უკვე წამოყენებულია 100 კაცი. პროფსაბჭომ გამოჰყო კომისია, რომელსაც მიანდო ამ სიის გადასინჯვა. კომისიამ მოასწრო 80 შუამდგომლობის განხილვა. აქედან შრომის გმირობის ღირსად სცნო მხოლოდ 9 კაცი. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა 9-დან დასტოვა მხოლოდ 5 კაცი, რომელთა შორის შრომის გმირობის უფლება ცნობილია უდავოთ მხოლოდ სამი კაცისათვის პლენუმმა უნდა დაამტკიცოს პრეზიდიუმის დადგენილება ამ სამი კაცის შესახებ. ესენი არიან:

ილია ჯინჭარაული,—დურგალი, კომ. მეურნეობის მუშათა კავშირის მიერ წამოყენებული, 38 წლის შრომის სტაჟი აქვს რამოდენიმე გამოგონება და გაუმჯობესება ტრამვაის მეურნეობაში.

მატატ პეტროსიანი,—წამოყენებულია კომუნ. მეურნ. და ხელოვნების მუშაკთა კავშირების მიერ,—შრომის 42 წლის სტაჟი: წყალსადენის ყოფილი ხელოსანი—აქვს რამოდენიმე გამოგონება და გაუმჯობესება წყალსადენის დარგში, არის პროლეტ. მწერალი.

ხურგო მამალაძე,—მასწავლებელი 40 წლის სტაჟით,—საზოგადო მოღვაწე,—მრავალი სკოლის კოოპერატივების, საკრედიტო ამხანაგობათა მომწყობი, წამოყენებულია განათლების კავშირის მიერ.

პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა წამოყენებული პირები შრომის გმირებად.

საბჭ. კავშირის თავდაცვისათვის

ბანაკად გასვლის წინ

დასრულდა წითელ არმიელთა საზამთრო სწავლება, მოკლე ხანში წითელი ჯარის ნაწილები გავლენ ბანაკად, რომ ველად განამტკიცონ და გააღრმაონ ის ცოდნა, რომელიც შეიძინეს წითელ არმიელებმა ზამთრის განმავლობაში.

საზამთრო სწავლებას ჰქონდა თეორიული ხასიათი, წითელ არმიელები ეცნობოდნენ საბრძოლო საშუალებებს, ამა თუ იმ სამხედრო საგანს. ველად, ბანაკად ყოფნის დროს, ყველა ეს საგნები გამოყენებული იქნება საქმეზე, პრაქტიკაზე, რაც საშუალებას მისცემს წითელ არმიელებს უფრო დაწვრილებით გაიცნონ სამხედრო მეცნიერება და შეითვისონ ის ცოდნა, რომელიც აუცილებლად საჭიროა ყოველი მებრძოლისათვის ომის დროს.

საზამთრო სწავლებამ წითელი არმიელებისათვის არ ჩაიარა მუქთად. ეს უფრო ითქმის იმ არმიელების შესახებ, რომლებიც გაწვეულ იქნენ წითელი ჯარის რიგებში გასული წლის შემოდგომაზე. ახალწვეულებმა ღირსეულად შეასრულეს მათზე დაკისრებული ამოცანა, დაძლიეს ყოველი სიძნელე და საბანაკო პირობებს ისინი ხვდებიან სავსებით მომზადებული.

ბანაკად გასვლის წინ ნაწილებში ჩატარებულმა ტაქტიკურ მეცადინეობამ და ნაწილობრივმა ღამის ლაშქრობამ დაამტკიცა, რომ ახალწვეულებს კარგათ აქვთ შეთვისებული საზამთრო პროგრამის ყველა საფეხურები, შეგნებული აქვთ დისციპლინის უაღრესი მნიშვნელობა და ჩინებულად იყენებენ ზამთარში შეძენილ თეორიულ ცოდნას, ყველა ეს უნდა ჩაითვალოს ყაზარმის დიდ მიღწევად.

№ ქართ. მსრ. ლეგიონის სამხკორ ი. ზ—ლი უწერება: „ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩვენში ახლახმა ჩაატარა მეცადინეობა ღამით. ამოცანა, რომელიც მოცემული იყო მეთაურობის მიერ შეასრულეს უნაკლოდ. ახალწვეულები ბეჯითად ასრულებდნენ ყოველივე დავალებას, მათ მიერ არ ჰქონია ადგილი დისციპლინის დარღვევას და ბრძანების შეუსრულებლობას“.

საზამთრო სწავლების დასრულების შემდეგ, ყაზარმა შეუდგა მზადებას ბანაკად გასვლისათვის. ადგილებიდან მოსული ცნობების თანახმად, ჯარის ნაწილებში სამზადისი მიმდინარეობს გაცხოველებით.

წითელი ყაზარმის მთელ შემადგენლობას ნათლად აქვს შეგნებული ის გარემოება, რომ ბანაკად მიდიან არა დასასვენებლად და დროს გასატარებლად, არამედ სამუშაოდ, რომ ბანაკად მათ მოელით უფრო რთული სამუშაოს შესრულება, ვიდრე ზამთარში ყაზარმაში ყოფნის დროს.

პარტიული და კომკავშირის უჯრედებს აღგენენ საზაფხულო სამუშაო გეგმას. კრებებზე კეთდება მოხსენებები საზაფხულო მუშაობის შესახებ. წითელ არმიელნი ეხებიან ამ მუშაობის ყოველ მხარეს და ცდილობენ ნათლად გაერკვიონ მომავალი ცხოვრების ყოველივე წვრილმანში.

წითელ არმიელებს ბანაკად ბევრი რამე აქვთ გასაკეთებელი. სამხედრო მეცადინეობის გარდა, წითელ არმიელებმა უნდა გააბან მჭიდრო კავშირი ადგილობრივ გლეხობასთან და სოფლად უნდა აწარმოონ კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა. ამის გარდა ზაფხული მათ მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს გლეხობის გასამხედროებისათვის.

აი, ამ რთული მუშაობისათვის ემზადება ყაზარმა დღეს, ბანაკად გასვლის წინ.

ის გაცხოველებითი მუშაობა ბანაკებისათვის, რომელიც სწარმოებს ყაზარმაში, მოწმობს მას, რომ წითელი ყაზარმა წარმატებით შეასრულებს საზაფხულო პერიოდის ამოცანას.

ბანაკად წითელი არმიელები უფრო გათვითცნობიერდებიან, შეიძენენ პრაქტიკულ ცოდნას და აღიჭურვებიან ამ გამოცდილებით, რომელიც საჭიროა ნამდვილ მებრძოლისათვის.

მხედარი.

ნაკლი უნდა გამოსწორდეს

(წერილი ქუთაისიდან)

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ჩატარდა ქუთაისის მუშკოოპის, პედაგოგიური ტეხნიკუმის და საქსოვი ქარხნის გამოკვლევა, იმის გამოსარკვევად, თუ როგორ არის დაყენებული აღნიშნულ ორგანიზაციებში მუშების, მოსამსახურეების და მოსწავლე ახალგაზრდობის გასამხედროების საქმე.

გამოირკვა, რომ არც ერთ აღნიშნულ დაწესებულებაში გასამხედროების საქმე არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. მუშკოოპის კომუჯრედის სხდომებზე არც ერთხელ არ ყოფილა დასმული გასამხედროების საკითხი. არ არის გაბმული კავშირი სამხედრო ნაწილთან, არ ექცევა არავითარი ყურადღება სამხედრო ლიტერატურის გავრცელებას.

ასეთივე მდგომარეობაა პედაგოგიურ ტეხნიკუმშიც. ტეხნიკუმი არ იცნობს მასზე მიმაგრებულ სამხედრო ნაწილს. მოსწავლენი არ კითხულობენ სამხედრო ლიტერატურას, სასწავლებელს არა აქვს გამოწერილი გაზეთი „წითელი არმიელი“.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა საქსოვ ქარხანაში, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ გასამხედროება ამ ქარხანაში მიმდინარეობს უსისტემოთ, რაც დიდი ვნებს საქმეს. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაცია ქარხანაში მუშაობს დამაკმაყოფილებლად. მის მიერ ჩატარებულია რამოდენიმე მეცადინეობა და შეჯიბრი სროლაში.

კომისიამ, რომელიც აწარმოვა ზემოხსენებულ ორგანიზაციების გამოკვლევა, მისცა მათ პრაქტიკული წინადადებები გასამხედროების საქმის გაუმჯობესების ირგვლივ.

კომისიამ საჭიროდ სცნო, რათა შემდეგში მიექცეს უაღრესი ყურადღება სამხედრო ლიტერატურის გავრცელებას და სამხედრო ნაწილებთან მჭიდრო კავშირის გაბმას. ეს კავშირი გამოყენებულ უნდა იქნეს, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული სამხედრო საქმიანობისათვის. სამხედრო ნაწილების დახმარებით უნდა ეწყობოდეს შეჯიბრი სროლაში, სამხედრო ხასიათის მეცადინეობა და მოხსენებები, დისპუტები და სხვა.

საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ აღნიშნულ ორგანიზაციების პარტ და კომკავშირის უჯრედებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა გასამხედროების საქმისამი, რისთვისაც პარტიელებმა და კომკავშირელებმა უნდა ჩაებან აქტიურ მუშაობაში და ამით მაგალითი მისცენ დანარჩენ ამხანაგებს.

ყველა ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებით გასამხედროების საქმე დადგება სწორ ნიადაგზე და აღნიშნული ნაკლი გამოსწორებულ იქნება მოკლე დროში.

ს. ბეგია.

სამხედრო ქრონიკა

სამთვიანი სამოსწავლო შეკრება

15 მაისიდან № ქართ. მსრ. დივიზიის ნაწილებში დაიწყება 1905 წელში დაბადებული ახალგაზრდების სამთვიანი სამოსწავლო შეკრება. თანახმად ბრძანებისა აღნიშნულ დივიზიისადმი, სამოსწავლო შეკრებიდან არ იქნება განთავისუფლებული არც ერთი ახალგაზრდა, მიწერილი ამა თუ იმ ნაწილზე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

„ადგილებიდან მოსული ცნობების თანახმად, 1-ლ მაისისათვის წითელი ჯარის ყველა ნაწილებში დამთავრდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ამ ჟამად ყაზარმაში არ მოიპოვება არც ერთი უცოდინარი წითელი არმიელი.

საზღვაო წვევამდე მზადება

15 მაისიდან იწყება სამხედრო-საზღვაო წვევამდე მზადება, რომელზედაც გაწვეულ იქნებიან 1906 წელში დაბადებული წვევამდელები. მზადებას ჩაატარებენ მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის მეთაურნი.

საბანაკო სამზადისი

მოკლე ხანში წითელი არმიის ნაწილები გავლენ ბანაკად. ამჟამად მიმდინარეობს ბანაკების შეკეთება ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ გუნდების მიერ.

წითელ ყაზარმაში სისტემატიურად სწარმოებს საუბრები საზაფხულო მუშაობის ირგვლივ.

პარტიული ცხოვრება

სააგიტ.-საპროპ. და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებათა გაერთიანება

მოსკოვი, 5 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ აუცილებლად სცნო საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების გაერთიანება ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან. გაერთიანებული განყოფილების გამგედ დაინიშნა ამხ. კრინიცკი. (ადს)

საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრ. საკანდ. შემადგენლობის შემოწმება

იმ მიზნით, რათა გაუმჯობესებულ იქნას პარტიის საკანდიდატო შემადგენლობა და დაცულ იქნას საკანდიდატო სტაჟის პარტიის წესდებით გათვალისწინებული ნორმები, საჭიროდ ჩაითვალა საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმება.

ამ შემოწმების პრაქტიკულად გატარების დროს ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევენ ადგილობრივ პარტორგანიზაციებს იხელმძღვანელონ შემდეგი დებულებებით:

1. შემოწმებული უნდა იქნას საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების მთელი საკანდიდატო შემადგენლობა.

2. საბჭოთა უჯრედების საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმება ტარდება 1928 წლის აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში.

3. უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმების დასაწყის ვადათ დაწესდეს 1928 წლის 1 ოქტომბერი.

4. დასახულ ვადების ფარგლებში ადგილობრივ პარტორგანიზაციების მიერ საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმების რიგს და დროს აწესებს ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია პარტორგანიზაციებთან შეთანხმებით.

5. საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების საკანდიდატო შემადგენლობის შესამოწმებლად სდგება საგუბერნიო კომისიები საგუბერნიო საკონტროლო კომისიის სამი წევრისაგან. მაზრებში შემოწმების ჩატარება ევალება სამაზრო პარტიულ სამეულებს საგუბერნიო საკონტროლო კომისიის რწმუნებულის თავმჯდომარეობით.

ცალკე უჯრედების შემოწმების ჩატარების დროს კომისიების დასახმარებლად საგუბერნიო საკონტროლო კომისიები გამოჰყოფენ აქტიურ ამხანაგების ჯგუფს. ამ ჯგუფების შედგენა სასურველია საკონტროლო ორგანოების წევრებისაგან.

6. საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმების დროს სავალდებულო პირობად უნდა წარმოადგენდეს ყოველმხრივი გაცნობა იმ პირების, რომლებსაც ეხება შემოწმება (სოციალური მდგომარეობა, პარტიული და საზოგადოებრივი მუშაობის შესრულება, პარტიული და იდეოლოგიური სიმტკიცე და სხ.), რისთვისაც კომისიები უნდა გაეცნონ უჯრედების ბიუროების მიერ კანდიდატის დახასიათებას, და აგრეთვე კომისიამ პირადი საუბარი უნდა აწარმოოს თვითეულ შესამოწმებელ ამხანაგთან.

რათა გამორკვეულ იქნას ვადის გადაცილების ნამდვილი მიზეზები, შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ კანდიდატებს, რომლებსაც გადაცილებული აქვთ საკანდიდატო სტაჟი.

7. შესამოწმებელ უჯრედების საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმების ჩამტარებელ კომისიებს ეძლევა უფლება:

ა) გამოიტანონ დადგენილებები პარტიიდამ გამორიცხვის და სხვა სახის სასჯელის შესახებ;

ბ) განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიტანონ დადგენილება საკანდიდატო სტაჟის გაგრძელების შესახებ;

გ) აღძრან პარტიულ კომიტეტების წინაშე საკითხი საკანდიდატო სტაჟის ვადაგადაცილებულთა პარტიის წევრებად გადარიცხვის შესახებ.

8. კომისიის ყველა დადგენილებებს ამტკიცებენ სათანადო საგუბერნიო საკონტროლო კომისიები, დადგენილებები აგრეთვე შეთანხმებული უნდა იქნეს საგუბერნიო კომიტეტებთან.

9. კომისიების მუშაობის დაწვრილებით წესს, აპელიაციების შეტანის და შემოწმების მასალის წარდგენის წესს და ვადას აწესებს ცენტრალური საკონტროლო კომისია განსაკუთრებული ინსტრუქციით.

რაიკომი ანგარიშს აბარებს

(ქალაქის რაიკომის პლენუმზე)

„ჩვენი რაიონის სამეურნეო ორგანოებში — იწყებს საანგარიშო მოხსენებას რაიკომის მდივანი ამხ. მორჩილაძე, — პირველი ადგილი უჭირავს პოლიგრაფიულ ტრესტს. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ეს მრეწველობა განიცდის კრიზისს, რაც ერთი მხრივ ქაღალდის სიძვირით და მეორე მხრივ კი — სხვადასხვა დაწესებულების მიერ დავალიანებათა გადაუხდელობით არის გამოწვეული.

დაკვეთების შემცირებამ დასვა მუშების შემცირების საკითხი, მაგრამ რაიკომმა ეს არ დაუშვა და მუშების შეკვეცის ნაცვლად პოლიგრაფ მრეწველობა გადაყვანილ იქნა შემოკლებულ სამუშაო კვირაზე.

სხვა წარმოებებიდან აღსანიშნავ აგურის ქარხნებს, სადაც არ ჩატარებულა რაციონალიზაცია და არც სამეურნეო ხარჯების შემცირება.

ხელფასი საანგარიშო პერიოდში საშუალოდ გაიზარდა 12 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება, პოლიგრაფიული მრეწველობის გარდა — 7 პროცენტით.

მიღებული იყო ზომები ადგ. სამმართველო ხარჯების 20 პროც. შემცირებლად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ დაწესებულებებში (მაგ. აღმასკომი) 7 პროცენტის შემცირებაც ძლივს იქნა მიღწეული.

ჩვენი სახელმწიფო აპარატის სოციალური შემადგენლობა, მიუხედავად იმისა, რომ მის მოწესრიგებას რაიკომი უდიდესი ყურადღებით ეპყრობოდა, ბოლო დროს გაუარესდა. ამის შედეგია, ბიუროკრატიზმის არსებობა საბჭოთა დაწესებულებებში.

კომუჯრედები თანდათან უფრო უახლოვდებიან წარმოება - დაწესებულებათა ცხოვრებას და მეტ მონაწილეობას ღებულობენ მასში. ეს გარემოება უნდა ვიფიქროთ, საგრძნობლად გააძლიერებს ბიუროკრატიზმთან, უყაირათობასთან ბრძოლასა და პარტიულ ხელმძღვანელობას ამ ბრძოლის საქმეში.

იმართება კამათი.

— პოლიგრაფმრეწველობის კრიზისის დასაძლევად საჭიროა ყველა სტამბების ერთ ტრესტში გაერთიანება, ეს მოსპობს არა ჯანსაღ კონკურენციას, რომელსაც ეხლა აქვს ადგილი.

უნდა ჩატარდეს სტამბების საკანტორო პერსონალის შემოკლება. საჭიროა აგრეთვე ძველი მანქანების გამოცვლა — ამბობს ამხ. ქაბაშვილი.

— რაიკომმა უნდა მიიღოს ზომები დაწინაურებულ მუშების პირობების გასაუმჯობესებლად (სიხაშვილი).

— პარტიის წევრს, რომელიც ადმინისტრაციის წინააღმდეგ გამოვა უჯრედში, ხშირად სდევნის ადმინისტრაცია, ასეთ უმსგავსობას გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

რაიკომი მეტი ყურადღებით უნდა მოეპყრას უჯრედებისაგან წამოჭრილ საკითხებს და არ მიჩქმალოს იგი, როგორც ეს აქამდე ხდებოდა (გრეკია).

— ჩვენდა სამწუხაროდ დაწინაურებული მუშები, ქარხნის დირექტორები, ზედმეტად სთვლიან მუშებთან საუბარს და მათგან ცოდნის შეძენას. თვითონ კი ხშირად წარმოების შესახებ არაფერი გაეგებათ. საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშების ხმას და მათ გამოცდილებას (დავითაშვილი).

ამხ. მორჩილაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმი ღებულობს რეზოლიუციას და იხურება.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

რა გვიჩვენა 1-ლ მაისის დღესასწაულმა. — დამარცხება თუ გამარჯვება? — წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლა ვერ გაბედეს. — ეგვიპტე-ინგლისის იმპერიალიზმის უღელ ქვეშ. — ბელა კუნის დაპატიმრების გარშემო.—არა ცალიერი სიტყვა, არამედ ფაქტები.—მორიგი თავდასხმა საბჭოთა წარმომადგენლობაზე პოლონეთში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში წელს ჩატარებულ პირველ მაისის დღესასწაულმა ცხადყო რევოლიუციონურ მოძრაობისა და მის ხელმძღვანელ კომპარტიის გავლენის ზრდა. მიუხედავად ბურჟუაზიული მთავრობების მიერ მიღებულ რეპრესიული ზომებისა, მუშათა მასებმა შესძლეს გაფიცვების მოწყობა დიდი მასშტაბით, ქუჩებში დარაზმულად გამოსვლა და თავისი ნებისყოფის გამოაშკარავება. საპირველმაისო დემონსტრაციებმა ბურჟუაზიას „გაახსენეს“, რომ მისი ბატონობა არც ისე მკვიდრია და რომ პროლეტარიატს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბრძოლის გაძლიერება თავისი კლასობრივი მიზნების მისაღწევად.

პირველმა მაისმა ამავე დროს ზედმეტჯერ ახადა ფარდა რეფორმისტების გამცემლობას და გვიჩვენა, თუ ძალთა რანაირი შეფარდება არსებობს სოციალისტებს და კომუნისტებს შორის. კომპარტიები ყველგან ცდილობენ მაისის დღესასწაული ჩაეტარებიათ მუშათა მთლიანი ფრონტის ნიშან ქვეშ. მაგრამ მენშევიკურმა ზედაფენებმა ყოველი ღონე იხმარეს პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის ჩასაშლელად. ხოლო სადაც ისინი მუშათა მასების ზეგავლენით, იძულებული შეიქნენ დათანხმებულიყვნენ კომუნისტებთან ერთად დემონსტრაციების ერთად ჩატარებაზე, ყველგან აშკარა იყო კომპარტიის ჰეგემონია. რეფორმისტული ლოზუნგები იკარგებოდა კომპარტიის რევოლიუციონურ დროშების ზღვაში. სადაც კი გამოსვლები სოციალ - დემოკრატებსა და კომუნისტების მიერ ცალ-ცალკე იქნა მოწყობილი, პირველების სასკანდალო დამარცხება ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნა.

რეფორმისტ დემონსტრანტების შეთხელებული რიგები საბრალოდ გამოიყურებოდენ კომუნისტურ დემონსტრანტებთან შედარებით,რომლებშიც უთვალავი მასები იღებდენ მონაწილეობას.

გასაგებია, რომ ამ გარემოებამ სოციალისტებს სულიერი წონასწორობა საბოლოოდ დაუკარგა და ისინი თავის საშიშ მოწინააღმდეგეების — კომუნისტების წინააღმდეგ აამხედრა. ის, რაც დატრიალდა ვარშავაში, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია. პეპეესოველების მიერ მოწვეულმა მიტინგებმა მასები ვერ მიიზიდეს. ამასთან მათ ორატორებს მუშები სიტყვას აწყვეტინებდენ ყვირილით: „მკვლელებო, გამცემლებო“. პეპეესოველებმა მართლაც დაამტკიცეს, რომ ისინი მუშების მკვლელები და გამცემლები არიან. მათი რაზმები დაესიენ კომუნისტების მიერ მოწყობილ მრავალრიცხოვან დემონსტრაციებს და დაუშინეს რევოლვერები. პეპეესოველებთან ერთად მუშების წინააღმდეგ მოქმედობდა პოლიცია. მოკლულ იქნა 6 მუშა, დაჭრილი აღმოჩნდა 50 მეტი, ხოლო დაშავებული—400 კაცი. ამგვარად მაისის დღესასწაული, რომელიც ბურჟუაზიის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, პეპეესოველებმა რევოლიუციონურ მუშების ხოცვა-ჟლეტის დღედ გადააქციეს.

დეპეშა აღნიშნავს, რომ პოლიციას იმდენი მონაწილეობა არ მიუღია დემონსტრაციების გაფანტვაში, რადგან მის საქმეს წარმატებით ასრულებდენ პეპეესოველები. პირველი შემთხვევა არ არის. რომ პოლონელი სოციალისტები და სხვა ქვეყნების რეფორმისტები პოლიციელების როლში გამოდიან, როცა საქმე მუშების დევნას და აწიოკებას ეხება. ეს მოწმობს, რომ მუშათა მასებში მათ ნიადაგი ეცლებათ და რომ პროლეტარიატი სულ უფრო იყრის თავს კომპარტიის დროშის ქვეშ. პირველი მაისის დღესასწაულმა ეს ერთხელ კიდევ ნათელი გახადა.

⁂

საფრანგეთის მთავრობამ განსაკუთრებული გამაფრთხილებელი ზომები მიიღო პირველ მაისის დღესასწაულისათვის. პარიზის პოლიცია საკმარისად არ მიიჩნიეს. დედა-ქალაქის გარნიზონს, რომელიც შიგადაშიგ „კომუნისტური ბაცილითაა მოშხამული“, არც ისე ენდობიან. ამიტომ აუცილებლად სცნეს პროვინციიდან სამხედრო ნაწილების სპეციალურად გამოწვევა „წესრიგის დასაცავად“.

თუმცა პირველ მაისს რევოლიუციონური აჯანყება სრულებით არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზია საერთოთ ძალზე დამფრთხალია კომუნისტური გავლენის ზრდით. ეს ზრდა ნათლად გამოჩნდა ეხლახან ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში. ბურჟუაზიულ პრესის ნაწილი ამაოდ ცდილობს თავი დაიმშვიდოს იმაზე მითითებით, რომ კომუნისტებმა ეხლა დეპუტატების გაცილებით ნაკლები რიცხვი გაიყვანეს პალატაში, ვინემ 1924 წ. ეს ფაქტი ვერ გააქარწყლებს კომუნისტების უდიდეს გამარჯვებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ 1.100.000 ხმა შეაგროვეს,—200.000 მეტი 1924 წ. შედარებით. მარტო სენის დეპარტამენტში (პარიზის ჩათვლით, სადაც კომუნისტებმა შეაგროვეს 115.000 ხმა) მათ ხმა მისცა 252 ათას კაცმა, ე. ი. ამომრჩეველთა თითქმის ერთმა მეოთხედმა. სოციალისტები კი პარიზის და სხვა სამრეწველო ცენტრებში სასტიკად დამარცხდენ, რამდენადაც საქმე ეხება მიღებულ ხმების რაოდენობას. ამიტომაც ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები საფუძვლიანად გამოსთქვამენ შიშს; მარტო პარიზში, სხვა რაიონები რო არ მივიღოთ მხედველობაში, 115.000 მოქალაქე აშკარად უჭერს მხარს სოციალურ რევოლიუციას და საჭიროა კომუნისტურ საფრთხესთან გადაჭრილი ბრძოლის წარმოება, — მორთეს მათ განგაში.

მიუხედავად ასეთი გამარჯვებისა, კომუნისტებმა პარლამენტში მხოლოდ 14 დეპუტატი გაიყვანეს, მაშინ როცა შეგროვილ ხმების მიხედვით მათ უნდა მიეღოთ 70-მდე მანდატი. ეს აიხსნება ერთი მხრით მახინჯი საარჩევნო სისტემით, რომელიც უმთავრესად მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ, და მეორე მხრით მთლიანი ფრონტით, რომელიც კომუნისტებთან ბრძოლაში განახორციელეს ყველა ბურჟუაზიულ პარტიებმა და სოციალისტებმა. ასეთ პირობებში 14 წარმომადგენლის გაყვანაც კომუნისტებისათვის დიდი წარმატებაა. ეს 14 კაცი საკმარისია, რომ პარლამენტიდან გაისმას ბურჟუაზიულ მთავრობის და სოციალისტების მამხილებელი სიტყვა.

ბურჟუაზია აერთიანებს თავის ძალებს, რომ მუშათა ხარჯზე გაატაროს კაპიტალისტური რაციონალიზაცია. გააძლიეროს მილიტარისტული ტვირთი და მასებიდან ამოქაჩოს ყველაფერი შესაძლებელი ფრანკის განსამტკიცებლად და უამრავი შინაური თუ საგარეო ვალების დასაფარავად. სოციალისტები სავსებით მის მხარეზე არიან. ამავე დროს რევოლიუციონური პროლეტარიატიც ახდენს თავის ძალების მობილიზაციას, რომ კაპიტალის მთლიანი ფრონტით შემოტევას დაუპირდაპიროს თავისი ერთიანი ფრონტი. არჩევნებმა გვიჩვენა, რომ კომპარტია ამ ამოცანას წარმატებით ასრულებს.

⁂

როგორც ვიცით, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ფაშისტ კეიდელმა წამოაყენა წინადადება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლის შესახებ. ბურჟუაზიულ - რეაქციონურმა პრესამ, რა თქმა უნდა, ბანი მისცა კეიდელს; ის ობივატელურ მოსახლეობის დასაშინებლად ათასგვარ „საშინელ“ ჭორებს ავრცელებდა წითელ ფრონტელთა შესახებ და მოითხოვდა მათი კავშირის აკრძალვას.

მაგრამ ბურჟუაზიამ ამ ხანად ვერ შესძლო თავის ზრახვების განხორციელება. გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა მთავრობები არ დაეთანხმენ კეიდელს და მისი წინადადება გაასაჩივრეს ლეიპციგის უზენაეს სასამართლოში. უკანასკნელმა „საფუძვლიანად სცნო, რომ გერმანიის ცალკე სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს წითელ ფრონტელების კავშირის აკრძალვაზე, რადგან ასეთი აკრძალვისათვის კანონიერი საფუძველი არ არსებობს“-ო.

არა გვგონია, აღმოჩნდეს ისეთი გულუბრყვილო ვინმე, რომელმაც იფიქროს, რომ ბურჟუაზიულმა სასამართლომ თითქო მიუდგომლობა გამოიჩინა, ან და ხსენებულ სახელმწიფოთა მთავრობები, როცა მათ წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლის წინააღმდეგ აიმაღლეს ხმა, ვითომ ამ რევოლიუციონურ ორგანიზაციის ინტერესებიდან გამოდიოდენ. არაფერი ამის მსგავსი.

წით. ფრონტელთა მიმართ კაპიტალისტურ სახელმწიფოების ასეთ „ლოიალურ“ დამოკიდებულების ერთი მთავარი მიზეზთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ კეიდელის წინადადებაში მათ დაინახეს თავის შინაურ საქმეებში სრულიად გერმანიის მთავრობის ჩარევა, თავის უფლებების დარღვევა. თუ საჭიროა წითელ ფრონტელების კავშირის გაუქმება, ეს თვითეულ სახელმწიფოს მთავრობას თვითონ კარგად შეუძლია ცენტრალური ხელისუფლების განკარგულების გარეშე. ამგვარად, კეიდელის წინადადება დაკავშირებულ იქნა გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა და გერმანიის რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხთან. აქედან — ლეიპციგის უზენაესი სასამართლო, რომელიც ჩვეულებრივ არჩევს ამ ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებულ სადაო საკითხებს, იძულებული შეიქნა კეიდელის წინადადება აღეარებინა კანონიერ საფუძველს მოკლებულად. ეს მით უფრო, რომ ამით ბურჟუაზიულმა სასამართლომ მოხერხებულად გაითამაშა „მიუდგომელი მსაჯულის“ როლი ისეთ საკითხში, რომელიც უშუალოდ მშრომელთა მილიონებს ეხება. მაგრამ აშკარაა, რომ ასეთი გზით ბურჟუაზიულ-კლასიური სასამართლო თავის გაბახებულ პრესტიჟს ვერ აღადგენს მასსების თვალში, რომელნიც თავის ზურგზე განიცდიან, რომ ეს სასამართლო მათი დამონების ერთ ერთი იარაღია.

გერმანიის სახელმწიფოების და ლეიპციგის სასამართლოს ზევით ხსენებულ პოზიციის მეორე მთავარი მიზეზი გერმანიის პროლეტარიატის სიძლიერეში მდგომარეობს. კეიდელის წინადადებამ ფეხზე დააყენა მთელი გერმანიის მუშათა კლასი და მის მხრივ მრისხანე მასიური საპროტესტო დემონსტრაციები გამოიწვია. გერმანიის ბურჟუაზია შედრკა იმის მოლოდინში, რომ წითელ ფრონტელთა კავშირის გაუქმება დიდ მღელვარებას წარმოშობდა და ხელს შეუწყობდა რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერებას, კერძოდ, არჩევნებში მასსების გადასვლას კომპარტიის მხარეზე.

ეს უეჭველად საგრძნობი გამარჯვებაა მუშათა კლასის, წითელ ფრონტელთა კავშირის და კომპარტიის, რომელიც მას მეთაურობს. მაგრამ საფრთხე წითელ ფრონტელებისათვის, ისე, როგორც საერთოთ ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებისათვის, რა თქმა უნდა, კვლავ არსებობს. ბურჟუაზიული რეაქცია კბილებს ილესავს წითელ ფრონტელთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც თავის რიგებში ასეულ ათასობით ითვლის მოწინავე მუშებს და რომელიც მედგრად ებრძვის ჰინდენბურგის ბატონობას, კაპიტალისტურ რეჟიმს და მედგრად დგას საბჭოთა კავშირის დაცვის სადარაჯოზე. მხოლოდ მასსების შემდგომი დარაზმვით შესძლებს კომპარტია კაპიტალის შემოტევის აღკვეთას.

⁂

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა ისევ გამწვავებულია. ამ ერთი თვის წინედ ეგვიპტის მთავრობამ და პარლამენტმა უარყვეს ლონდონის მიერ შემუშავებული „მეგობრული“ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით უნდა დაკანონებულიყო ინგლისის სრული ბატონობა ეგვიპტეზე. ამის საპასუხოდ კონსერვატორების მთავრობა დაემუქრა ეგვიპტეს „სათანადო ზომების“ მიღებით „თავის უფლებების“ დასაცავად.

დღეს მან განახორციელა ერთ-ერთი ასეთი ზომა. ნახას-ფაშას კაბინეტმა შეიმუშავა კანონი საზოგადო კრებების შესახებ. კანონი ჰგულისხმობს ასეთი კრებების თავისუფლად დაშვებას და ზღუდავს პოლიციის კონტროლს და ჩარევას ამ კრებების მოწვევა-მიმდინარეობის საქმეში.

ასეთი უბრალო ღონისძიების გატარება თითქო უნდა შეეძლოს ყოველ, მცირეოდენად მაინც დამოუკიდებელ ქვეყნის მთავრობას, ეგვიპტე კი დამოუკიდებელ სახელმწიფოდაა აღიარებული თვით ინგლისის 1922 წ. დეკლარაციით. მაგრამ ამ დამოუკიდებლობის ფასი კარგად სჩანს, სხვათაშორის იქიდანაც რომ ლონდონის მთავრობამ ულტიმატუმით მიმართა ეგვიპტეს, სამი დღის განმავლობაში უარყოს ხსენებული კანონი და თავის მოთხოვნას ზურგი გაუმაგრა დამატებითი ფლოტის გაგზავნით ეგვიპტისაკენ. საქმე ის არის, რომ ინგლისელ იმპერიალისტებს ეშინიათ: ეგვიპტეში კრებების თავისუფლების დაშვება ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობის პოლიტიკურ აქტივობის ზრდას და ანტი-ბრიტანულ მოძრაობის გაძლიერებასო.

ლონდონიდან „გააფრთხილეს“ ეგვიპტე, რომ „როცა ინგლისის მთავრობა რომელიმე ქვეყნის მთავრობას ულტიმატუმს უგზავნის, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მიერ მიღებულია გადაწყვეტილებაო“. (ხიკსი), „ინგლისი არავითარ მთავრობის დროს არ დასთანხმდება ასეთ კანონმდებლობაზე“-ო. (ბირკენხედი). ეგვიპტის მთავრობა იძულებული შეიქნა ხსენებულ კანონ-პროექტის განხილვა პარლამენტში გადაედო ნოემბრამდე. მაგრამ ლონდონელ ყაჩაღებს ესეც არ აკმაყოფილებს და ისინი მოითხოვენ მის სამუდამოდ უკუგდებას.

მუშათა პარტია მხარს უჭერს კონსერვატორების ამ ყაჩაღურ პოლიტიკას. ის მხოლოდ საჭიროდ სთვლის სადაო საკითხების „შეთანხმებით“ მოგვარებას, ე. ი. ინგლისის იმპერიალისტური პროგრამის განხორციელებას დიპლომატიური ზეგავლენის გზით. მაგრამ ვინაიდან ნებაყოფლობით ეგვიპტის ხალხს არ სურს მონობის უღელში გაბას, ცხადია, ამისათვის ლონდონს დრედნოუტების ამეტყველება დასჭირდება და მაკდონალდიც, თუ ის ძალაუფლების სათავეში მოექცა, ისე მიმართავს ამ „დამაჯერებელ“ საშუალებას, როგორც კონსერვატორები.

ასეთი გზით დროებით შეიძლება ეგვიპტის გატეხა, მაგრამ განმანთავისუფლებელ მოძრაობის სრულიად აღმოფხვრა კი, რა თქმა უნდა, მოუხერხებელია. ეს მოძრაობა, რომელიც ეგვიპტესთან ერთად მოედო მთელ დაჩაგრულ აღმოსავლეთს, და ინგლისის კაპიტალის კრიზისი საბოლოო ანგარიშით აუცილებლად გამოიწვევენ ბრიტანეთის დრომოჭმული იმპერიის დამხობას.

⁂

ჰუნგრეთის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკის თავმჯდომარის, ცნობილ კომუნისტის ბელა კუნის დაპატიმრება დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს. იგი დაჭერილ იქნა ვენაში. ამასთან დაკავშირებით ფეხზე დადგა უნგრეთის და ავსტრიის პოლიცია. დაიწყეს განგაში რევოლიუციონურ აჯანყების მზადების შესახებ. გააძლიერეს რეპრესიები კომუნისტურ და მემარცხენე მუშურ ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ამასთან ჰუნგრეთის მთავრობამ მოსთხოვა ავსტრიას ბელა კუნის გაცემა. პოლიტიკური „დამნაშავის“ გაცემას არ ითვალისწინებს ბურჟუაზიულ ქვეყნების კონსტიტუციაც, მაგრამ როცა საქმე რევოლიუციონერს ეხება, ყველაფერი შესაძლებლად მიაჩნიათ. და არ იქნება გასაკვირი, რომ ფაშისტ ზეიპელის მთავრობამ მეორე ფაშისტ ხორტის მოთხოვნა დააკმაყოფილოს. ყოველ შემთხვევაში, „თავშეფარების უფლებისათვის“ გვერდის ავლის მიზნით, ჰუნგრეთის მთავრობა ბელა კუნს უყენებს სისხლის სამართლის ბრალდებას, თითქო მას რაღაც მკვლელობა ჩაედინოს ჰუნგრეთში. რა თქმა უნდა, ეს სიცრუეა, თუ სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებად არ ჩავთვალეთ ჰუნგრეთის ყოფილი საბჭოთა ხელისუფლების ზომები ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამავე დროს, როგორც ჩვეულებრივად ხდება ასეთ შემთხვევებში, დაიწყო კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ვენის ქუჩურმა გაზეთებმა გაავრცელეს პროვოკაციული ჭორი, თითქო ბელა კუნი რამოდენიმე დღის განმავლობაში იმალებოდა ვენის საბჭოთა წარმომადგენლობაში. ჩვენმა წარმომადგენლობამ ეს ხმა, როგორც სრულიად უსაფუძვლო და ბოროტი განზრახვით შეთითხნილი, გადაჭრით უარყო.

უეჭველია, რომ იმპერიალისტები ყოველნაირად მოინდომებენ ბელა კუნის დაპატიმრების გამოყენებას საბჭოთა კავშირთან ბრძოლის გასაძლიერებლად. მაგრამ არა გვგონია ამან მათ რაიმე საგრძნობი შედეგები მოუტანოს, ვინაიდან აშკარაა, რომ საბჭოთა მთავრობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ბელა კუნის მოგზაურობას და მის მოღვაწეობასთან. ამის დამტკიცება ადვილად შეიძლება.

⁂

შტრეზემანმა განაცხადა, რომ ბირკენხედს გერმანიაში თავის მოგზაურობის დროს თითქო არავითარი ისეთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რომლის მიზანი ყოფილიყოს ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების მიღწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ რომ ინგლისის მინისტრი სწორედ ამ მიზნით იყო ბერლინში ჩასული, ეს გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, ამას ბურჟუაზიული პრესაც ვერ უარყოფს.

თვით გერმანიის მთავრობის უკანასკნელი დროის ზოგიერთი მტრული აქტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (სავაჭრო მოლაპარაკების შეწყვეტა, შახტის კონტრ-რევოლიუციის გამო ატეხილი განგაში და სხვ.) ნაკლებ დამაჯერებელ ძალას აძლევს შტრეზემანის განცხადებას და ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა სცადონ ანტისაბჭოთა ბლოკში გერმანიის ჩაბმა.

ასეთი ცდები კი გრძელდება. ბირკენხედის შემდეგ ბერლინი თავის ჩამოსვლით „გააბედნიერა“ დეტერდინგმა. როგორც „იუნაიტედ პრეს“ იუწყება, ის უკან იხევს ამერიკულ სანავთო ტრესტთან ბრძოლაში. მხოლოდ ის მისგან მოითხოვს, რომ საბჭოთა ორგანიზაციებმა, რომლებიც ნავთით ვაჭრობენ არ გაავრცელონ თავისი მოღვაწეობა ინგლისში (თითქოს ეს „სტანდარტ ოილ“ზე იყოს დამოკიდებული). შემდეგ დეტერდინგს „არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ ამერიკულმა სანავთო კომპანიამ საბჭოთა ნავთი ინგლისში გაყიდოს“, მაგრამ იმ პირობით, რომ „როიალ დეტჩ“-ს საშუალება მიეცეს 50 პროცენტით მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა ნავთის სავაჭრო ოპერაციებში, რომლებსაც „სტანდარტ ოილ“ აწარმოებს. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დეტერდინგი ახლა ხელს იღებს თავის „მაღალ მორალზე“ და ურიგდება „ნაქურდალი საბჭოთა ნავთით ვაჭრობას“, თუ ხელი მიუწვდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ დეტერდინგი მოითხოვს, რომ ამ ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას 5 პროცენტით გაადიდოს საბჭოთა ნავთის ყოფ. მეპატრონეთა პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. ჩვენ არ გვგონია, რომ „სტანდარტ ოილ“ ასეთ პირობებზე დათანხმდეს. საინტერესო აქ ჩვენთვის ის არის, რომ დეტერდინგი აღიარებს თავის დამარცხებას ამერიკულ ტრესტთან ბრძოლაში და ალბად ლამობს ამ დამარცხების ანაზღაურებას გერმანიის ჩაბმით ანტისაბჭოთა ბლოკში.

არა ნაკლებ საგულისხმოა, რომ, ამ დღეებში ბერლინს ეწვია აგრეთვე საფრანგეთის ბანკის დირექტორი მორო, რომელმაც „სახელი გაითქვა“ ამერიკაში გაგზავნილი საბჭოთა ოქროს მითვისების ცდით. თუ მხედველობაში მივიღებთ ერთ მხრივ იმ გარემოებას, რომ უცხოეთში ჩვენი ოქროს ოპერაციებს ნაწილობრივ ვახდენთ გერმანულ ბანკების საშუალებით, ხოლო მეორე მხრივ ცნობას, რომ საფრანგეთის ბანკს გადაწყვეტილი აქვს შემდეგშიც განაცხადოს თავისი პრეტენზიები საზღვარ-გარეთ გადაგზავნილ საბჭოთა ოქროზე.

ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ მოროს ჩასვლა ბერლინში გარკვეულ მიზანს ისახავს, სახელდობრ—გერმანულ ბანკების საშუალებით საბჭოთა კავშირის მიმართ მტაცებლური ზრახვების განხორციელებას.

ყველა ამ ფაქტების შემდეგ შტრეზემანის ხსენებული განცხადება ვერ ახდენს ჯეროვან შთაბეჭდილებას. არა ცარიელი სიტყვები, არამედ ისეთი ფაქტები, რომელნიც მართლა დაადასტურებენ, რომ გერმანიის მთავრობა წინააღმდეგია ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის და მომხრეა საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების,—აი რაა საჭირო. განმარტება არ უნდა, რომ თვით გერმანიის სამეურნეო და საერთაშორისო ინტერესების თვალსაზრისით აუცილებელია, რათა ბერლინის მთავრობამ ამ მხრივ შესაფერი ნაბიჯები გადადგას.

⁂

გამორკვეულია, რომ ბირკენხედს ბერლინში მოლაპარაკება ჰქონდა არა მარტო გერმანიის დიპლომატებთან, არამედ პოლონეთის გენერალურ შტაბის წარმომადგენლებთანაც. ლიკვიდაცია პოლონეთ - ლიტვის დავისა, რომელიც სხვათაშორის, ხელს უბორკავს ვარშაველ იმპერიალისტებს თავის ანტი-საბჭოთა მოქმედებაში, და პოლონეთის გამოყენება ჩვენს წინააღმდეგ—ასეთი იყო მოლაპარაკების შინაარსი და მიზანი.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა ნაყოფი გამოიღო ამ მოლაპარაკებამ, მაგრამ რომ ინგლისის იმპერიალიზმის ანტი-საბჭოთა მუშაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით ამოძრავდენ ბნელი ძალები, რომელთა ამოცანაა პოლონეთ საბჭოთა ურთიერთობის გართულება,—ეს უდავო ფაქტია. ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა თავდასხმა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელზე, ამხ. ლიზარევზე, რის შესახებ გუშინდელმა დეპეშამ გვაუწყა. როგორც ეტყობა, განზრახული ყოფილა თავდასხმის მოწყობა ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენელზე, ამხ. ბოგომოლოვზე, მხოლოდ თავდამსხმელს, თეთრგვარდიელ ვოიცეხოვსკის ამხ. ბოგომოლოვის მაგიერ, შეცდომით უსროლია ამხ. ლიზარევისათვის.

ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს ამხ. ვოიკოვის ისტორიის განმეორების ცდასთან (თავდასხმა უშედეგო იყო), ისტორიის, რომელმაც თავის დროზე უკიდურესობამდე გაამწვავა პოლონეთ-საბჭოთა დამოკიდებულება და კინაღამ აშკარა განხეთქილება გამოიწვია, მიუხედავად საბჭოთა კავშირის მოთხოვნის შემდეგ პოლონეთის მთავრობის მხრით არა ერთი დაპირებისა, რომ ის თავის ტერიტორიაზე მოსპობდა თეთრგვარდიელების ანტისაბჭოთა მოქმედებას, ჩვენ მოწმენი ვხდებით ისეთი პროვოკაციული გამოსვლისა, როგორიცაა ვიღაც ვოიცეხოვსკის ტერორისტული აქტი.

ეს ერთხელ კიდევ აყენებს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხს. არ არის საკმარისი მთავრობის მხრით მწუხარების გამოთქმა ამ ფაქტის გამო. საჭიროა ჩვენს წარმომადგენლებზე მორიგი თავდასხმა ყოველ მხრივ იქნეს გამოძიებული და დამნაშავე და მისი სულის ჩამდგმელნი სასტიკად იქნენ დასჯილნი. აუცილებელია ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთილ იქნეს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების მოქმედება და შეიქმნას ისეთი ფსიქოლოგიური ატმოსფერა, როცა ბანდიტური გამოსვლები საბჭოთა კავშირისა და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ შეუძლებელი გახდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ფუჭია პოლონეთის მესვეურთა ხშირი ლაპარაკი სამშვიდობო განზრახვებზე, რომლებსაც ისინი ვითომ ატარებენ საბჭოთა კავშირის მიმართ.

ვ. კ—ლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

თვითკრიტიკა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები

(ამხ. ს. გეგეჭკორის წერილის გამო)

მუშგლეხინის პირველ ფურცელში მოთავსებული იყო ამხ. ს. გეგეჭკორის ცნობა იმის შესახებ, რომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი შესდგომია სახალხო მამულებისა და ტრესტების მდგომარეობის გამოკვლევას. მიწად ,- მოქმედების სახალხო კომისარიატისაგან მიღებულ ცნობის თანახმად გამოკვლევას მიზნათ აქვს გამოიტანოს სააშკარაოზე თავისი ქვემდებარე მეურნეობების ყოველგვარი ნაკლი, დეფექტები, შეცდომები, საქმის უყაირათოთ წარმოება, ლანაშაულობრივი ხასიათის საქმიანობა და პასუხისმგებელ მუშაკების ცოდნა-გამოცდილება ამა თუ იმ დარგში და აღმოჩენილ დეფექტების გამოსწორების მიზნით შესაფერი ღონისძიებების შემუშავება.

რომ ჩვენს სამეურნეო დაწესებულებებში და მასთან მიწად - მოქმედების დარგშიაც არის მუშაობის ნაკლი, რომ ხშირათ საქმე ფუჭდება და ამას დროზე ვერ ვტყობილობთ, და თავის დროზე ვერ ვასწორებთ, ამას მტკიცება არ უნდა. და რომ ეს აღარ მოხდეს, აუცილებელია თვით დაწესებულებათა მუშაკები და ხელმძღვანელი პირები გაიმსჭვალონ თვითკრიტიკის შეგნებით, თვითონვე შეამოწმონ დროზე თავისი ორგანოების მუშაობა ამა თუ იმ დარგში და შეებრძოლონ იქ არსებულ უთადარიგობას. ამიტომ მიწადმოქმედების კომისარიატის წამოწყება, თუ—კი ის მტკიცედ გაატარებს დასახულ მიზანს და შეეცდება ისეთი შედეგების მიღებას, რომლებიც ყოველ მხრივ გააუმჯობესებენ ამ კომისარიატის საერთო მუშაობას, ჩვენ მიგვაჩნია სასარგებლოთ და მიზანშეწონილათ.

ვიმეორებთ: ჩვენ იმიტომ ვსწერთ ზემოხსენებულ ფაქტის შესახებ, რომ თუ გვინდა კეთილსინდისიერათ და გულწრფელათ გავატაროთ პარტიის დირექტივები და ლოზუნგები თვითკრიტიკისა და კრიტიკის შესახებ, უნდა ავამოძრავდეთ ყველა, უნდა ამოძრავდენ თვითონ დაწესებულებები და მისი ხელმძღვანელები.

ჩვენ ჩვენის მხრით ურჩევთ მიწადმოქმედების კომისარიატს განზრახულ დაწყებულ მუშაობაში ჩააბას მუშები. გლეხები და შესაფერი საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომ მუშაობამ მეტი სარგებლობა მოიტანოს.

ა. დოლიძე.

მუშა-ხელი აღმშენებლობისათვის

(დღევანდელი პრაქტიკა და მისი გამოსწორების გზები)

აღმშენებლობის სიძვირის ერთ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს კვალიფიციურ აღმშენებელ მუშათა სიმცირე. მუშა -ხელის სიმცირის გამო სხვადასხვა აღმშენებელ სამეურნეო ორგანოებს შორის ხდება ქიშპობა. თვითეული მათგანი ცდილობს იშოვოს სათანადო კვალიფიკაციის მუშების საკმაო რიცხვი. სახელმწიფო სააღმშენებლო ორგანოები იმასაც არ ერიდებიან, რომ ერთი მეორეს მუშები თავიანთ სამუშაოზე „გადაიბირონ". სააღმშენებლო კვალიფიციურ მუშების მოწვევა ხდება დაშორებულ რაიონებიდანაც (ჩრდილოეთ კავკასიიდან და რუსეთის სხვა გუბერნიებიდან), რაც სააღმშენებლო ხარჯებს ადიდებს.

ერთგვარი მონოპოლია აქვს მინიჭებული კვალიფიციურ აღმშენებელ მუშების იმ რიცხვს, რომელიც ჩვენში მოიპოვება. მოთხოვნილება მათზე დიდი არის, მიწოდება კი მცირე. ამის შედეგათ აღმშენებელთა მუშების ხელფასი სხვა მუშების ხელფასთან შედარებით დიდია— სამჯერ-ოთხჯერ უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ წარმოებაში ჩაბმულ მუშის ხელფასი.

აღმშენებელთა მუშების ხელფასის კოლექტიურ ხელშეკრულებით მოწესრიგება თითქმის შეუძლებელი ხდება. თუმცა კავშირსა და სამეურნეო ორგანოებს შორის სააღმშენებლო სეზონის დაწყების წინ იდება კოლექტიური ხელშეკრულება, მაგრამ მათ ხელფასის ნაწილში არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ფაქტიურათ ხელფასის რაოდენობის განსაზღვრაში მთავარ როლს თამაშობს აღმშენებელ მუშათა ბაზარი. თუ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციის მუშახელი მცირე არის, მათი ხელფასი კოლექტიურ ხელშეკრულების გარეშე წესდება. თვითეული სააღმშენებლო ორგანო ცდილობს მეტი მისცეს, რომ სათანადო კვალიფიკაციის მუშები იშოვნოს.

გასულ სეზონში იყო შემთხვევები, როცა მიუხედავათ მხარეთა შეთანხმებით დაწესებულ ხელფასისა, მუშები ვადის გასვლამდე მოითხოვდენ ხელფასის დიდ მომატებას. ზოგან სამუშაოსაც სტოვებდენ და სხვაგან გადადიოდენ.არც ერთ საწარმოო დარგში ამას ადგილი არა აქვს, გარდა სააღმშენებლო დარგისა.

რა ზომები არის მიღებული, რომ მომზადებული იქნეს კვალიფიციური აღმშენებელი მუშები? მიმდინარე წლამდე არავითარი მომზადება არ სწარმოებდა. თბილისში არის გახსნილი მხოლოდ, ერთი სააღმშენებლო ორწლიანი სასწავლებელი, მაგრამ იქ ძლიერ ცოტა რიცხვი მზადდება.

სრულებით არ იყო გამოყენებული შეგირდობის პრაქტიკა. ყველა საწარმოო დარგებში მოზარდების განსაზღვრული პროცენტი ჩაბმული არის წარმოებაში და მათგან მზადდება კვალიფიციური მუშები. სააღმშენებლო დარგში შეგირდობა ძლიერ სუსტათ არის გამოყენებული. ამას ხელს უშლის მუშაობის ის სისტემა, რომელსაც ადგილი აქვს თითქმის ყველა სააღმშენებლო სამუშაოზე. უმეტეს ნაწილათ მუშაობა ისე სწარმოებს, რომ მუშა წვრილ მოიჯარადრის როლში გამოდის. ერთი მუშა ან მუშების ცალკე ჯგუფი იღებს განსაზღვრულ სამუშაოს განსაზღვრულ ფასებში. მათ უფლება აქვს თვითონ დაიქირავონ დამხმარე მუშები და ზოგიერთ შემთხვევებში მასალებიც თვით უნდა შეიძინონ. მუშაობის ეს სისტემა ხელს უშლის არა მარტო შეგირდობას, არამედ ის მუშას აქცევს წვრილ მოიჯარადრეთ.

გასულ წლის დასასრულში საქ. პროფკავშირების საბჭოს ინიციატივით მოწყობილი იქნა მოკლე ვადიანი კურსები აღმშენებელ მუშების იმ კვალიფიკაციათა მოსამზადებლად, რომელნიც მცირეთ იყვნენ შრომის ბაზარზე. კურსები დაამთავრა რამოდენიმე ასეულმა უმუშევარმა. მათ მომზადებაში დაიხარჯა განსაზღვრული თანხა,მაგრამ მიუხედავათ ამისა არც ერთი მათგანი სააღმშენებლო ორგანოებმა სამუშაოთ არ აიყვანეს. უმუშევრებათ იყვენ კურსებზე გაგზავნამდე და უმუშევრადვე დარჩენ კურსების გათავების შემდეგაც.

არის თუ არა მოთხოვნილება ისეთ კვალიფიკაციის მუშებზე, რომელნიც გამოშვებული იყვნენ კურსებიდან? მოთხოვნილება დიდი არის.მაგალითათ თბილისის მაუდის სააღმშენებლო სამუშაოზე ერთი თვის წინათ საჭირო იყო ბეტონის მუშები. ადმინისტრაცია თხოულა შრომის ორგანოებს ზედმეტი მუშაობის ნებართვას. ამავე დროს კი შრომის ბირჟაზე ბეტონის გამკეთებელი (კურსებ დამთავრებული) მუშები ბლომათ იყვნენ. ამის გამო შრომის ორგანოებმა ნება არ დართეს ზედმეტი მუშაობის და წინადადება მისცეს, უმუშევრები აეყვანათ. მიუხედავათ ამისა მაუდის ქარხნის აღმშენებლობის ადმინისტრაციამ არც ერთი უმუშევარი შრომის ბირჟიდან არ აიყვანა.

შეიძლება კურსდამთავრებულები თავის კვალიფიკაციის გამოუსადეგი იყვნენ? როგორიც ამ საქმის სპეციალისტები ამტკიცებენ,ისინი თავის კვალიფიკაციით არ ჩამოუვარდებიან სხვა მუშებს.

ჩვენ სამეურნეო ორგანოებს და მათ შორის სააღმშენებლო ორგანოებსაც უგეგმო მუშაობის დიდი ზიანი ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ. წარმოების ნორმალური მსვლელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვალიფიციურ მუშების მომზადების საკითხს. ეს საკითხი უნდა იჭრებოდეს არა სტიქიურათ და შემთხვევით, არამედ წინდაწინ უნდა იქნეს გათვალისწინებული. კერძოთ სააღმშენებლო დარგში დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს მუშა ძალის მომარაგების არსებული პრაქტიკა. სააღმშენებლო ორგანოებმა უნდა წინდახედულობა გამოიჩინონ და ხელი შეუწყონ აღმშენებელთა მუშა ძალის მომზადებას. ეს აღმშენებლობას საგრძნობათ გააიაფებს.

ლ.

ერთი უმუშევარის თავგადასავალი

გ. სარაჯევი მსახურობდა განათლების სახალხო კომისარიატში უფროსი ბუხჰალტერის თანამდებობაზე. წარსული წლის ზაფხულში სარაჯევი წავიდა მორიგ შვებულებაში. განათლების სახალხო კომისარიატის საფინანსო განყოფილებას რატომღაც სწორედ მაშინ მოუნდა ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირება, როცა სარაჯევი შვებულებაში იყო. საფინანსო განყოფილებას, სწორეთ უფროსი ბუხჰალტერი სარაჯევის სამსახურიდან დათხოვნით უნდა გაეტარებია ეს აუცილებელი ღონისძიება.

ჩვენ არ შევდივართ იმის განხილვაში, თუ რამდენად სამართლიანი იქნებოდა ასეთი მოპყრობა სარაჯევისადმი. ეს უკეთ იციან განსახკომის საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელებმა. ამიტომ არც იმის წინააღმდეგ გვაქვს რაიმე, რომ შვებულებიდან დაბრუნებისას უფროს ბუხჰალტერ სარაჯევს სიურპრიზათ ახარეს მისი სამსახურიდან დათხოვა ხარჯების 20 პროცენტით შემცირების გამო და სათანადო მოწმობაც მისცეს ხელში. მაგრამ, როგორ მოხდა, რომ მეორე დღესვე სარაჯევის თანამდებობაზე მიიღეს სხვა? ნუ თუ 20 პროცენტიანი შემცირება სასეზონო დირექტივა იყო? როცა განცვიფრებულმა სარაჯევმა ამის შესახებ პროტესტი განაცხადა. მას ხელში მიაჩეჩეს მეორე მოწმობა, იმის შესახებ, რომ უფროსი ბუხჰალტერი სარაჯევი თანამდებობიდან მოხსნილია საქმის უცოდინარობის გამო. ეს იყო წარსული წლის სექტემბერში.

საქმე გადავიდა სასამართლოში და დღემდე ის, როგორც ოფიციალურად იტყვიან, განხილვის პროცესშია. მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც გ. სარაჯევის მეორე ასეთივე საკონფლიქტო საქმეს მოუვიდა. უფროს ბუხჰალტერის თანამდებობის ასრულების დროს სარაჯევი იყო ქართული მუშფაკის მოლარე. განსახკომიდან დათხოვნის შემდეგ ის იძულებული იყო განცხადება მიეცა მუშფაკიდან წასვლის შესახებაც. მუშფაკის დეკანმა განცხადება დააკმაყოფილა, ოღონდ სთხოვა სარაჯევს, ემუშავნა კიდევ 15 დღე დავთრების საბოლოოთ მოსაწესრიგებლად და ამასთან ერთად წინადადება მისცა მას საგანგებო გასამრჯელოს დაპირებით შეედგინა მუშფაკის წლიური ანგარიში. ყველაფერი ეს პირნათლად შეასრულა სარაჯევმა. მაგრამ ასევე პირნათლად ვერ გაუსწორეს მას ანგარიში. სარაჯევს სულ ერგებოდა 272 მანეთი, აქედან მან მიიღო მხოლოდ 72 მანეთი. დანარჩენი 200 მანეთის საქმე გადავიდა სასამართლოში.

აქედან იწყება სარაჯევის ახალი ტანჯვა - წამება. საქმე დაინიშნა განსახილველად მიმდინარე წლის იანვარში, მაგრამ გადადვეს 3 მარტისათვის. 3 მარტს სასამართლოში სარაჯევის გარდა არავინ გამოცხადდა. მომჩივანმა იცადა დილიდან 2 ნახ. საათამდე. მოპასუხე არსად ჩანდა. მაშინ სასამართლოს თავმჯდომარე გაბაშვილმა წინადადება მისცა სარაჯევს, მოეძებნა მუშფაკის დეკანი, რომელიც გაბაშვილმა სასამართლოს შენობაში დაინახა. თუმცა ასეთი წინადადება მომჩივანის მიმართ სასამართლოს მხრივ უხერხული იყო, მაგრამ ზომები მიიღეს და დეკანი ვერსად აღმოაჩინეს. საქმე გადაიდო 15 მარტისათვის. 15 მარტს, როგორც იქნა, სასამართლოს წილად ხვდა ბედნიერება ეხილა დეკანის საკუთარი სახე და მოეთხოვა მისთვის პასუხი. დეკანმა განაცხადა, რომ სარაჯევს ვალი უნდა გაუსწოროს არა მუშფაკმა, არამედ განსახკომმა. საქმე კვლავ გადაიდო 13 აპრილისათვის. მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარემ ავადმყოფობის მიზეზით ითხოვა, რათა საქმე გადადებულიყო 20 აპრილისათვის. ასედაც მოხდა.

20 აპრილს სასამართლოში გარდა სარაჯევისა არავინ გამოცხადდა. სახალხო მსაჯულმა სთხოვა სარაჯევს თანხმობა, რათა საქმე გადაედოთ, რადგან მისი სიტყვით სასამართლოს თავმჯდომარე ავადაა და მისი მოადგილეც არ არის. საქმე ისევ გადაიდო 3 მაისისათვის. სამ მაისს სასამართლოში გამოცხადდა განსახკომის წარმომადგენელი, მაგრამ არ მოვიდა მუშფაკის დეკანი. განსახკომის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სარაჯევს ანგარიში უნდა გაუსწოროს მუშფაკმა და არა განსახკომმა.

ამდენი დაცინვისა და დამცირების შემდეგ, რომელიც დაუშვა სარაჯევის მიმართ განსახკომისა და მუშფაკის წარმომადგენლებმა, მოთმინება დაკარგულ მომჩივანმა. თვითონ განუცხადა სასამართლოს, რომ ის უარს ამბობს კუთვნილ ხელფასზე, რათა თავი დააღწიოს ამდენ წამებას.

ამნაირათ 7 თვეა უსამსახუროთ დადის „20 პროცენტიან" შემცირების გამო დათხოვნილი სარაჯევი, ხუთი თვეა 5 სულის პატრონი კაცი უნაყოფოთ დასდევს მის ნამუშევარ 200 მანეთს. სანამდი უნდა გაგრძელდეს უმუშევარ სარაჯევის ასეთი აბუჩად აგდება? რამდენად დასაშვებია ჩვენს პირობებში, რომ ასე უდანაშაულოთ ეწირებოდეს უსულო ფორმალიზმს შრომის დაცვის კანონები? ამაზე, ალბათ, დამნაშავეთ, საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ჯეროვან პასუხს გასცემს.

დ. გ.

აქა ამბავი სარკისა

ყო და არის თბილისში სხვა მრავალ სარკეთა შორის ერთი სარკე. ყო და აღარ არის ამ სარკის ნამდვილი პატრონი, ე.-ი. პატრონი არის, მაგრამ მისი აღმოჩენა არ მოხერხდა. არც ისეა საქმე, რომ სარკე უპატრონოთ, უთვისტომოთ იყვეს მიგდებული, არავინ ინტერესს მის არსებობისადმი. ასეთ პირობებში, მართლაც ძნელია პატრონის აღმოჩენა. განსაცვიფრებელი აქ ისაა, რომ საკითხი ეხება ორ ადამიანს, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერთმანეთს სარკის გულისთვის, რომელთა შორის ეძებენ ნამდვილ პატრონს 1919 წლიდან დღემდე, და ის ვერ აღმოუჩენიათ.

ჩვენს დროში რომ სოლომონ ბრძენები ყოფილიყვნენ, საკითხი ალბათ, მარტივად გადაწყდებოდა, აიღებდა კაცი ხმალს, დაუპირებდა სარკეს შუაზე გაპობას და შეიძლება ნამდვილი პატრონი ორ მოდავეს შორის მალე გამოჩენილიყო. რადგან ზღაპრული სოლომონები არსად არიან, საქმე გადასაწყვეტად გადაეცა სასამართლოს. ხმალის მაგივრად ამუშავდა კალამი, მრავალი ბოთლი მელანი დაიწურა, მრავალი ფურცელი ქაღალდი დაიხარჯა, ბევრი სასარგებლო საათები დაიკარგა, მაგრამ სარკის პრობლემა ჯერაც გადაუწყვეტელია.

ვინმე მოქ. ოსეცკის ქალი უჩივის მოქ. ნინო ბერგს 1919 წლიდან სარკის ამ საბუთით რომ სარკე ოსეცკის ქალმა ათხოვა ბერგს და უკანასკნელი მას უკან არ უბრუნებს. ნინო ბერგი ამტკიცებს, რომ სარკე მას აჩუქა სხვა ნივთებთან ერთად ქალმა პარიზში მყოფ ძმამ, რომელსაც ეს სარკე ნაყიდი აქვს ოსეცკის ქალისაგან.

1924 წელს საქმე ირჩევა თბილისის პირველ უბნის სახალხო სასამართლოში. სასამართლოს დადგენილებით ოსეცკის ქალს უარი ეთქვა საჩივარზე. საქმე გადადის საოლქო სასამართლოში, რომელიც აბათილებს I უბნის სახალხო სასამართლოს დადგენილებას და საქმეს ხელმეორედ გასარჩევად უგზავნის მეოთხე უბნის სასამართლოს. აქ საქმე რამდენჯერმე გადაიდო. შემდეგ, როგორც იქნა გაირჩა და გადაწყდა, სარკე ჩამოერთვას ბერგის ქალს და გადაეცეს მაძიებელს. განაჩენი გადაეცა აღმასრულებელს და ნანატრი სარკე მილიციის საშუალებით ერთი ვიავაგლახით დაიბრუნა ოსეცკის ქალმა.

მაგრამ ბერგის ქალი საქმეს ასე ადვილად ვერ შეურიგდება. ჯერ ერთი, აქ საქმე „პრინციპში", მერე კიდევ, რაც უნდა იყოს სარკე ტუალეტის საკითხია. განა ასე ადვილათ შეიძლება აქ დათმობაზე წასვლა? ის საჩქაროთ სწერს განცხადებას ოლქის სასამართლოში და მოითხოვს საკითხის ხელახლა განხილვას. ოლქის სასამართლომ შეიწყნარა ბერგის ქალის თხოვნა. საქმე გამოითხოვა, გაარჩია, განაჩენი კვლავ გააბათილა და საქმე გასარჩევად გადასცა მესამე უბნის სახალხო სასამართლოს. ეს უკვე ხდება 1925 წელში. მესამე უბნის სასამართლო მიდის იმ დასკვნამდე, რომ ოსეცკის ქალის ძიება მოკლებულია საფუძველს, ამიტომ მას სარკე უკანვე უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს ბერგის ქალს, თან სასამართლოს ხარჯები დაეკისროს ოსეცკის ქალს.

თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ საქმე ამით გათავდა. არა, ფიქრი ერთია, საქმის გაკეთება მეორე. და გრძელდება ისევ სადაო სარკის საკითხი. საქმე გადადის ისევ საოლქო სასამართლოში, რომელიც ხელახლა აბათილებს განაჩენს და გასარჩევად უგზავნის მეორე უბნის სასამართლოს. უკვე დადგა 1927 წელი. მეორე უბნის სასამართლო ადგენს, საქმის საბოლოოდ გამორკვევისათვის დაიცადოს, სანამ ბერგის ქალი წარმოადგენს პარიზში მყოფ მის ძმისაგან მოწერილ წერილს სარკის საკითხის შესახებ.

დადგა 1928 წელი და ამ წლის მეხუთე თვეც. სარკის პრობლემა დღესაც გადაუწყვეტელია. სულ ასიოდე მანეთი თუ ეღირება სადაო ნივთი. დრო. ქაღალდი და ენერგია კი მასზე დაიხარჯა ოთხჯერ ას მანეთზე მეტი. საკითხი ჯერ-ჯერობით იმავე მდგომარეობაშია, როგორც ამ თერთმეტი წლის წინათ იყო და როდის გადაწყდება ის, არავინ უწყის დროა ამ გაუგონარ ვოდევილს ბოლო მოეღოს. დროა სარკეში ჩავახედოთ ყველა ისინი, ვინც ხელს უწყობს ამ საქმის გაჭიანურებას, რომ გული გაიხარონ თავიანთ ბიუროკრატიულ სახეზე ცქერით.

ბეს.

„ყოფნა არ ყოფნა"

„ყოფნა—არ—ყოფნა, საკითხავი, აი რა არის!" ასე ამბობს შექსპირის ცნობილი გმირი ჰამლეტი, თავის მონოლოგში. დანიის პრინცი ჰამლეტი თავს იმტვრევდა ცხოვრების აზრის, ადამიანის არსებობის მიზნის გასაგებად, ამაში იყო მისი ტრაგედია, ჩვენი დროის ჰამლეტებისათვის ეს პრობლემა უკვე გადაჭრილია და გადაჭრილია სრულიად მარტივად. „ყოფნა — არყოფნის" საკითხი უკვე აღარ დგას, მაგალითად, ქუთაისის სამაზრო სამფინგანის თანამშრომელ ჰამლეტ ყორყოლიანის წინაშე. ყოფნა' რომ ღირს ამ ქვეყნად და განიერი ცხოვრებაც სასარგებლოა, ეს სადაო უკვე აღარ არის მისთვის. სადაო მხოლოდ ისაა, თუ საიდან უნდა გამოიძებნოს, ასე ვთქვათ, ობიექტიური პირობები მისათვის, რომ ჩვეულებრივ საბჭოთა თანამშრომელმა შესძლოს არა მარტო განიერი ცხოვრება, არამედ შინა ოჯახური „კაპიტალისტური" დაგროვება.

ჰამლეტმა ეს პრობლემაც ადვილათ გადასწყვიტა. მართალია, ღონისძიებები, რომელიც გამოძებნა ქუთაისელ ჰამლეტმა ასეთი მიზნის განხორციელებისათვის, სრულიად არ ეხამება მის პოეტურ, შექსპირულ სახელს, მაგრამ ჩვენი დროის ჰამლეტი პრაქტიკოსი კაცია. ყველაფერი, რაც კი მის ჯიბას არგებს, ლამაზი და მშვენიერია. ასეთია მისი კრიტერიუმი სილამაზის დარგში და არა მარტო სილამაზის, არამედ ყოველდღიურ საქმიანობის ყველა საკითხებში.

ჩვენი დროის ჰამლეტს ქუთაისის სამფინგანიდან ბედიც კარზე მოუვიდა. კაცი დაოჯახდა, ცხოვრების თანამგზავრი გაიჩინა და მერე როგორი, ისეთი, რომელმაც საკუთარ თავის გარდა ჰამლეტ ყორყოლიანი მზითვითაც გაბედნიერა, ნაღდი, ფულადი მზითვით.

ზოგიერთი უზრუნველი ცხოვრების მოყვარული სიძე, მზითვად აღებულ ფულებს ორიოდ კვირაში გამოუყვანდა წირვას. ქუთაისელი ჰამლეტი, კი ჭკუიანი თავის ბიჭია. მან მეტად სარფიანი საშუალება გამოძებნა, ნამზითევ ფულების შესანახად. ის ადგა და გახსნა ოჯახური შემნახველ - გამსესხებელი საკრედიტო ამხანაგობა. ბუხჰალტერიაც თავისებური შემოიღო, პროცენტებიც თავისი დააწესა და თამასუქების შედგენის წესიც.

ასესხა ნიკო ბუაჩიძეს 1000 მანეთი ყოველთვიური 6 პროცენტის სარგებელით, ე. ი. თვეში მარტო სარგებელი 60 მანეთი, წელიწადში კი 720 მანეთი. თამასუქიც შეადგინა წინდაწინვე 1720 მანეთის გასესხების შესახებ. გაჭირვებული კაცი მზათ არის წავიდეს ყოველგვარ პირობაზე. ჰამლეტიც ამით სარგებლობს. გამსესხებლის სახელით თამასუქს ხელს აწერს ჰამლეტის მეუღლე და სესხის ამღები ნიკო ბუაჩიძე. საიდანაც არ უნდა მიუდგე საქმეს, ჰამლეტი იხვივით მშრალათ ამოძვრება წყალიდან. მას არც ფული გაუსესხებია (თამასუქზე ხელს აწერს ცოლი) და არც ყოველთვიური ექვსი პროცენტი აუღია. (თამასუქი წინდაწინვე შედგენილია 1.720 მანეთის თანხაზე).

ნიკო ბუაჩიძისაგან ჰამლეტ ყორყოლიანმა უკვე მიიღო 1.500 მანეთი, მაგრამ ის ამას არ სჯერდება. 1000 მანეთზე ხუთასი მანეთი სარგებელი მისთვის ცოტაა, ამიტომ საქმე გადააქვს სასამართლოში და ითხოვს მევალესაგან დანარჩენ სარგებელს 220 მანეთს თავის სარგებლით.

ცხოვრობს ამნაირად ჩვენი დროის ჰამლეტი, როგორც „ღვთისმშობლის" კალთის ქვეშ. აქეთ საბჭოთა სამსახური, იქით პროცენტები პროცენტებზე, ცოლის მზითვიდან. თან მევალეებს ემუქრება, კრინტი არსად დასძრათ, თორემ, სულ ერთია, მაინც არსად არაფერი გაგივათო.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, რატომ აღარ დგას ქუთაისელ ჰამლეტის წინაშე თავსამტვრევი საკითხი „ყოფნა — არყოფნის" შესახებ. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ კორესპონდენციის შემდეგ ქუთაისის აღმასკომში და პროფკავშირთა ხელმძღვანელ მუშაკების წინაშე დაისმება საკითხი ტიპიურ მევახშე ყორყოლიანის საბჭოთა დაწესებულებაში და პროფკავშირთა წევრების შორის „ყოფნა-არყოფნის" შესახებ. ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ისევე ადვილი იქნება ჰამლეტ ყორყოლიანის მიმართ, როგორც ეს თვით ყორყოლიანმა გადასწყვიტა თავის თავის მიმართ.

ისარი.

ხაზინადარის მოღვაწეობა

არის № 29 სახლი პლეხანოვის გამზირზე. 1925 წლიდან აქ არსებობდა საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა № 173, რომელსაც, როგორც ჩვეულებრივად, თავისი გამგეობაც ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ მდგმურები აუტანელ ტანჯვას განიცდიდენ გამგეობისაგან, ამ უკანასკნელ დრომდე არავინ მოისურვა გამგეობის შეწუხება და იობის მოთმინებით გადაჰქონდათ ყოველივე.

მაგრამ აღმოჩნდა მათ შორის „სულმოკლე" კაცი, რომელსაც აევსო მოთმინების ფიალა და ამხილა გამგეობის საქმენი საგმირონი.

გამოკვლევით დაგროვილი მასალები აშკარათ ხდიან, რომ საბინაო ამხანაგობის საქმეებს განაგებდა არა გამგეობა, არამედ მისი ხაზინადარი ვინმე ფხეიძე. ამ უკანასკნელმა, ნახა რა „სოფელი უპატრონო", თავისებურად მოაწყო საბინაო ამხანაგობის საქმე. ის ავიწროებდა მდგმურებს, ამხანაგობის წევრებს და თვითონ იუმჯობესებდა საბინაო პირობებს. განთავისუფლებულ ბინებში ასახლებდა არა უბინაობით შევიწროებულ ამხანაგობის წევრებს, არამედ თავის ნათესავ-მეგობრებს. ბინების შეკეთება ხდებოდა გამგეობისა და საერთო კრების დასტურის გარეშე და ამხანაგობის ფულები იხარჯებოდა უყაირათოდ და მიზანშეუწონლად.

როგორც საერთო საქმის წარმოება, ისე ფინანსიური ანგარიშთ-წარმოება, რომელიც მთლიანად ხაზინადარ ფხეიძის ხელში იყო მოქცეული, საშინელ აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხაზინადარი ფხეიძე ფულების გაცემას აწარმოებდა გამგეობის დაუკითხავად. საკვირველი ის არის, რომ ასეთ პირობებში ფხეიძემ მოახერხა მხოლოდ 259 მანეთის გაფლანგვა და არა მეტის. მაშინ, როდესაც გამგეობა უმოქმედობას იჩენდა და სარევიზიო კომისია კი მისი არჩევის შემდეგ არავის უხილავს

საბინაო ამხანაგობების გაერთიანებასთან დაკავშირებით ძველი გამგეობა უკვე არქივს ჩაბარდა. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მ. გ. ინსპექცია ამ მასალების მიხედვით, რომელიც მის განკარგულებაშია, შესაფერ ადგილს მიუჩენს ამხანაგობის ძველ გამგეობასა და სარევიზიო კომისიას საქმის ასე „ყაირათიანად" გაძღოლისათვის.

ზამი.

გულმოდგინე პროტექციონისტი

ყურის აწევა ზოგიერთისათვის მარგებელია და იმიტომ კარგა ღონივრად აუწია ყური ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ ერთ პასუხისმგებელ პირს—პარტიის წევრს. შეიძლება ამიერიდან მან აღარ იხმაროს სამსახურში ისეთი „მეთოდები" რომლებსაც აქამდე ხმარობდა.

ეს პირია საკავშირო სამანქანო-ტექნიკურ ტრესტის თბილისის კანტორის მმართველი გრიგოლ გეგეჭკორი. ზედმიწევნით სცოდნია გეგეჭკორს ჩვენი არარსებულ კანონების და წესების აღსრულება. იგი იძახის: „არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც მიკრძალავდეს არა პროფკავშირის წევრის სამსახურში მიღებას"... გეგეჭკორი ფართოდ იყენებს თავის ასეთ დევიზს და სამსახურში იწვევს არა კავშირის წევრებს, პირადი ნაცნობობით და ამასთანავე ერთად ისეთ ხალხს, რომელთაც ადგილი არ უნდა ჰქონდეთ საბჭოთა სამსახურში.

გარდა ამისა გეგეჭკორი სასტიკ ბრძოლას უცხადებს იმ პირებს, რომლებიც ხმას ამოიღებენ მის დაწესებულებაში გამეფებულ პროტექციონიზმის წინააღმდეგ. ებრძვის ამ ნიადაგზე პროფორგანიზაციებსაც. მისთვის „ქაღალდის ნაგლეჯია" პროფორგანიზაციის დადგენილება.

გაიგო თუ არა გეგეჭკორმა, რომ მისი დაწესებულების პატარა თანამშრომელმა პარტიის წევრმა ამხ. ბარამიძემ უამბო მ. გ. ინსპექციაში, ვისაც ჯერ არს, კანტორაში გამეფებულ პროტექციონიზმის შესახებ, მიზანში ამოიღო იგი. დააბრალა ფულის გაფლანგვა, თავის მოვალეობისადმი დაუდევრობა, უვარგისობა და ვინ იცის კიდევ რა. ხელდახელ მოაწყო კანტორის თანამშრომელთა საერთო კრება, შეცდომაში მოიყვანა მოსამსახურენი და გამოიტანა ამხ. ბარამიძის წინააღმდეგ მიმართული დადგენილება. დაბოლოს სამსახურიდანაც მოხსნა ის.

ასეთი ფიცხი ადამიანია გეგეჭკორი, მაგრამ ამიერიდან შენელდება მისი სიფიცხე. ყველა ზემოხსენებულ „მოღვაწეობისათვის" ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ სათანადო ზომები მიიღო გეგეჭკორის პროტექციონულ მადის აღსაკვეთად.

ვინმე.

„ვაჭარიზაცია" იყალთოს კოოპერატივში

(კახეთი, თელავის მაზრა)

იყალთოს კოოპერატივს ბედი არ სწყალობს. რაც დღე გადის, ის კიბოსავით უკან იხევს. წარსულ საანგარიშო წელი ზარალით დაამთავრა, კოოპერატივს ვალათ დაედო 2.500 მანეთი. უკანასკნელი საკვარტალო პერიოდიც ასევე ზარალით დასრულდა.

ამას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ საქმეს გამოსწორების ნიშნები ქონდეს. უბედურება ისაა, რომ, თუ მუშაობაში დიდი გარდატეხა არ მოხდა, იყალთოს კოოპერატივი ადრე თუ გვიან დაიღუპება. სხვანაირად წარმოუდგენელია. ყოველწლიურ ზარალს ანაზღაურება უნდა, საიდან, რა საშუალებით, ვის ხარჯზე?

ვაჭართა „კოოპერატივი"

ამაზე პასუხს ვერ გასცემენ ამ კოოპერატივის დღევანდელი მესვეურები. მათ ეს მაინცა და მაინც შეიძლება არც კი აინტერესებდეს. ან კი როგორ უნდა აინტერესებდეს ყოფილ ვაჭრებს კოოპერატივების გახარება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავის ბოსტანში შეუშვა მოსავლელათ და დავალება მისცე, მოაშენე, გაზარდე და უპატრონეო. იყალთოს კოოპერატივში კი სწორეთ ასეთი მდგომარეობაა. ჩვენ ვიცით, რომ კოოპერატივებში არის იქა-აქ თითო ოროლა ყოფილი ვაჭარი, რომელიც მუშაობს სხვების ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით. იყალთოს კოოპერატივში კი წინააღმდეგ მოხდა. აქ ადგილი აქვს ვაჭართა კოლექტივიზაციას კოოპერატივის აპარატში და ხელმძღვანელ ორგანოებში. ესენი არიან: არსენაშვილი, იმერლიშვილი და ბაჩიაშვილი. კოოპერატივისვე ფულებით ყარაჩალის მცხოვრები ვაჭრები საკომისიოდ ვაჭრობენ მსხვილი საქონლით.

ვაჭართა ამ კოლექტივში ფორმალურად გარეულია ერთი კომუნისტი, გამგეობის თავმჯდომარე ბერძენიშვილი. მეორე კომუნისტი ბოტკოველი რატომღაც ზედმეტად იცნეს კოოპერატივის გამგეობაში და „აპარატის დეკომუნიზაციის" წესით ის მოხსნილ იქნა იყალთოს კოოპერატივიდან. საზოგადოთ კოოპერატივის „ვაჭარიზაცია" სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

სარევიზიო კომისია კი ვერავითარ აქტივობას იჩენს. გამგეობის თავმჯდომარე და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე დიდი „ჩამკა—ლოჟკის" ხალხია. ასეთ პირობებში რა გასაკვირია. რომ იყალთოს კოოპერატივი ზარალით მუშაობდეს. პირიქით, გასაკვირი ისაა, რომ ის დღემდე კიდევ არსებობს.

კოოპერატიულ საქმეების გარდა გამგეობის თავმჯდომარე ბერძენიშვილს სხვა საზრუნავი საქმეებიც აქვს. ის ახალ ყაიდაზე აშენებს თავის ყოფა-ცხოვრებას. ერთი ცოლი თავისი ჰყავდა, მეორეც ვინმე იმერლიშვილს წაართვა და ამჟამად ორი ცოლი ჰყავს სახლში. ამას ჰქვია კოოპერატიული მუშაკი სოფლად.

რატოსი.

მეტი ყურადღება მუშკორთა შენიშვნებს

მუშკორთა მოძრაობა ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას, თუ ჩვენი სამეურნეო ორგანოები არ მიაქცევენ სათანადო ყურადღებას მუშკორთა შენიშვნებს და არ მიიღებენ ზომებს მუშკორების მიერ გამოქვეყნებულ ნაკლის გამოსასწორებლად. მუშკორები მარტო იმაში კი არ არიან დაინტერესებული, რომ დაბეჭდონ გაზეთში რაიმე წერილი, არამედ მათი მთავარი მიზანია გამოასწორონ წარმოების შემაფერხებელი ესა თუ ის ნაკლი.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა? მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დადგენილება არის გამოცემული იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციონ მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევის საქმეს, ჩვენი სამეურნეო ორგანოები მაინც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშკორთა შენიშვნებს. ზოგიერთი სამეურნეო ორგანო, მუშკორთა ყველა შენიშვნაზე იძლევა პასუხს, — მაგრამ ჯერ ერთი, ასეთები თითზე ჩამოსათვლელია, და მეორეც, ეს პასუხები „კაზიონურ" ხასიათს უფრო ატარებენ. მოვიყვანთ რამოდენიმე სანიმუშო მაგალითს ასეთ „კაზიონურ" პასუხისას:

გაზ. „კომუნისტი"-ს მე-10 ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით „ვისი ბრალია"? წერილი ეხებოდა სად. თბილისში მომხდარ ერთ-ერთ შემთხვევას, რომელმაც რამოდენიმე ათასი მანეთი ზარალი მიაყენა რკ. გზას.. მუშკორი აღნიშნავდა, რომ მატარებლის დამსხვრევა გამოიწვია მეისრეთა შტატის შემცირებამ. რკ. გზის სამართველომ კი დამნაშავედ უფროსი მეისრე სცნო.

ამ წერილზე რკინის გზის სამმართველოს ადმინისტრატიულმა განყოფილებამ ასეთი პასუხი იძლევა: „ადმინისტრატიული განყოფილება გაცნობებთ, რომ შენიშვნა სიმართლეა. ეს საქმე განიხილა საგზაო კომისიამ და დამნაშავედ სცნო მეისრე მალინოვი, რომელიც დაითხოვა სამსახურიდან და პასუხისგებაში მისცა".

წერილი, რომ მართალი იყო, ეს მუშკორმა თავიდანვე იცოდა, მაგრამ მუშკორი სწორედ იმაზე მიუთითებდა რკ. გზ. სამმართველოს, რომ მეისრეს იმდენი ბრალი არ მიუძღვის მატარებლის დამსხვრევაში, რამდენიც მოძრაობის დარგს, რომელმაც 20 პროცენტიანი შემცირება მეისრეების ხარჯზე გაატარა. მომავალში ასეთი კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, მუშკორი მოითხოვდა მეისრეთა ძველი შტატის აღდგენას სადგ. თბილისში. ადმინისტრატიული განყოფილება კი ამაზე არაფერს უპასუხებს.

ამავე გაზეთის ერთ - ერთ ნომერში დაბეჭდილი იყო შენიშვნა „სისხლის სამართლის დამნაშავე კვლავ სამსახურშია". რკ. გზ. ადმინისტრატიული განყოფილება ამის შესახებ გვიპასუხებს, რომ „წერილში აღნიშნული ზამბახიძე იყო ორი კვირით დაშვებული დროებით სამუშაოზე. ამჟამად ის აღარ მსახურობს"-ო. აქედან მკითხველი ისეთ დასკვნას გამოიტანს, თითქოს მუშკორმა წერილი დასწერა მას შემდეგ, როცა სისხლის სამართლის დამნაშავე, მოქ. ზამბახიძე, მოხსნილი იყო სამსახურიდან. ნამდვილად კი მუშკორის განმარტებით, ზამბახიძე სამსახურიდან მოხსნილი იქნა გაზეთში მოთავსებულ შენიშვნის გამო. ასეც რომ არ იყოს, მუშკორი საერთოდ დაუშვებლად სცნობდა სისხლის სამართლის დამნაშავეს სამსახურში მიღებას. პასუხი იმის შესახებ, რომ იგი დროებით სამუშაოზე იყო მიღებული არ არის დამაკმაყოფილებელი. ასეთია რკინის გზის ადმინისტრატიული განყოფილების პასუხების უმრავლესობა.

გარდა ამისა, აღნიშნულ დაწესებულებიდან ხშირად ვღებულობთ პასუხს ამა თუ იმ წერილზე, სადაც ადმინისტრატიული განყოფილება გვაცნობებს, რომ „წერილი მართალია და მიღებულია სათანადო ზომები ნაკლის გამოსასწორებლად". ან სწერია მარტო: „წერილი სიმართლეს შეიცავს". სხვა არაფერი. რა ზომებია მიღებული შემჩნეულ ნაკლულოვანების გამოსასწორებლად, ან რაში გამოიხატება მათ მიერ მიღებული ზომები, ან და რა შედეგი მოუტანა წარმოებას, როგორც მუშკორის შენიშვნამ, ისე ამ შენიშვნაში აღძრულ ნაკლულოვანების გამოსასწორებლად მიღებულმა ზომებმა, ამის შესახებ არაფერს სწერენ. ეს იმის, მაჩვენებელია, რომ რკ. გზ. ადმინისტრატიულ განყოფილებაში, გაზეთში მოთავსებულ შენიშვნების გამოკვლევის საქმე ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

რაც შეეხება რკ. გზ. პროფკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელები არამც თუ გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს არ უპასუხებენ, არამედ რედაქციების მიერ გადაგზავნილ გაზეთის ამონაჭერსაც უყურადღებოდ სტოვებენ. თბილისის საუბნო კომიტეტს არა ერთი მიმართვა გაუგზავნეთ გაზეთის ამონაჭრებით, რაზედაც ვთხოვდით გაეცათ სათანადო პასუხი. მაგრამ უკანასკნელს არც ერთ ჩვენ მიმართვაზე პასუხი არ გაუცია. ამის შესახებ წინადაც გვქონდა პატარა შენიშვნა მოთავსებული, მაგრამ საუბნო კომიტეტი არც ამ შენიშვნას გამოეხმაურა.

ასეთივე მდგომარეობაა ბევრ სხვა დაწესებულებებშიც: თბილისის ალმასკომის გარდა, თითქმის არც ერთი სამეურნეო ორგანო, ვალდებულად არ სთვლის თავს, გასცეს პასუხი გაზეთში მოთავსებულ, ან რედაქციის მიერ გადაგზავნილ მუშკორთა შენიშვნებს. უკანასკნელ რვა თვის განმავლობაში, „კომუნისტ"-ში გლეხკორთა შენიშვნების გარდა დაბეჭდილია მუშკორთა 940 კორესპონდენცია. მათში 70—80 პროცენტი წარმოებას ეხება. გარდა ამისა, სხვადასხვა წარმოება - დაწესებულებაში გადაგზავნილია დაახლოებით 200 შენიშვნა. პასუხი კი მივიღეთ მხოლოდ 150 შენიშვნაზე. სამეურნეო ორგანოების ასეთი უყურადღებობა გაზეთში მოთავსებულ წერილებისადმი, გარდა იმისა, რომ აფერხებს წარმოებაში არსებულ ნაკლულოვანებების გამოსწორებას, დიდ ზიანს აყენებს მუშკორთა მოძრაობის გაფართოებას. მუშკორს წერის ხალისი ეკარგება და ის თავს ანებებს კორესპონდენტობას.

დღეს, როდესაც ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ წამოაყენა ლოზუნგი მეტი ყურადღება თვითკრიტიკას, მუშკორებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და მოვალეობა ეკისრება. ამ მოვალეობას მუშკორები შეასრულებენ იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო ორგანოები ანგარიშს გაუწევენ მუშკორთა მოძრაობას, ყურადღებას მიაქცევენ მათ შენიშვნებს. გაზეთები მომავალში ეცდებიან ის დაწესებულებანი, რომელიც დუმილით უპასუხებენ პრესის საქმიან კრიტიკას, მზის სინათლეზე გამოიყვანონ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ადმინისტრატიული ხასიათის ღონისძიებიც უნდა მიიღოს ასეთ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიმართ.

ვ. ნ—ლი.

კატასტროფების შესახებ რკ.-გზებზე

(წინადადების წესით)

სანამ სადგურებზე არსებობდა უზრალო ისრები, მატარებლების მიღება-გაშვება მეტი სიფრთხილით ხდებოდა და უბედურ შემთხვევებსაც იშვიათად ქონდა ადგილი:

მისულ მატარებლის მემუხრუჯე, ხადგურის მორიგის მოთხოვნით უნდა გაყოლოდა მეისრეს და მასთან ერთად უნდა დაეთვალიერებინა ის ხაზი, და ისრები, რომელზედაც ღებულობდნენ მეზობელ სადგურიდან გამოსულ მატარებელს: ამნაირად მეისრე და მემუხრუჯე პასუხისმგებელი იყვნენ ლიანდაგის შემოწმების საქმეში: ცენტრალიზაციის შემოღების შემდეგ კი ასეთ სიფრთხილე აღარ არსებობს. ეს ძველი წესი ერთი ხელის მოსმით გაუქმდა.

ამ რამოდენიმე ხნის წინად პლეხანოვის კლუბში ჩატარდა საჩვენებელი გასამართლება. ირჩეოდა მემანქანე კვიმსაძის საქმე. საქმის შინაარსი დაახლოებით ასეთია: მემანქანე კვიმსაძემ სადგურ მცხეთაში ხაშურიდან მშვიდობიანად მოიყვანა მატარებელი № 111. მატარებელი შემოდიოდა სადგურში 3--5 ვერსის სიჩქარით საათში, რომლის დროსაც შესაძლოა გადასაბმელი ჯაჭვები დაჭიმული ყოფილიყვენ. მატარებლის შემადგენლობას, მაშასადამე შეიძლება სიგრძით ჩვეულებრივზე მეტი მანძილი ეჭირა. მცხეთაში ისრები და სემაფორებიც ცენტრალიზაციაქმნილია. და აი,თბილისიდან გამოსულ მატარებელს უღებენ სემაფორს, უმზადებენ ისრებს სადგურზე მდგარ მატარებლის მეზობელ ხაზზე. ეს ხაზი კი არ არის თავისუფალი, რადგან კვიმსაძის მატარებლის ორთქლმავალი გასცილდა საკონტროლო საჩვენებელ ბოძს და ხაზის საზღვარს და ამით მან თავის ხაზთან ერთად დაიკავა მის მეზობლად მდებარე ხაზის ნაწილიც. მემანქანე კვიმსაძე სასამართლოში ამბობდა, რომ სადგურის მორიგემ მას სთხოვა მატარებლის წინ წაწევა, რომ მეორე მატარებლისათვის გზა გაეხსნა და კვიმსაძის მატარებლის კუდიც მოთავსებულიყო საკონტროლო ბოძს შიგნით.

ამ ნიადაგზე სადგ. მცხეთაში მოხდა უბედური შემთხვევა, რასაც მოყვა 50 000 მანეთამდე ზარალი: ანალოგიური შემთხვევა მოუვიდა შარშან სადგურ ფოილოში მემანქანე ტიტვინიძეს და მცხეთა-გორის შუა მემანქანე ხაზარაძეს: საერთოთ კი ასეთ შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ამ პროცესის და საერთოთ ყოველ ასეთ შემთხვევების დროს, არავინ სცნობს თავს დამნაშავედ და ვალდებულად, რომ რაიმე ზომები მიეღო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. მორიგე ამბობს: მე მომაძახა უფროსმა მემუხრუჯემ, რომ მატარებელი მოვიდა მშვიდობით, მატარებელი ჩავიდა თავი საზღვრებში, მე მეტი არა მეკითხება, ავიღე და გზა მივეცი წინა სადგურიდან მომავალ მატარებელს, სემაფორი და ისრები გავაღე, ცენტრალიზაცია-ქმნილ ისრების საკონტროლო მაჩვენებელმა სწორად მაჩვენა, მაშასადამე— ყველაფერი რიგზეაო. უფროსი და უმცროსი მემუხრუჯენი ყოველთვის ერთსა და იმავეს იმეორებენ: „ჩვენ პასუხს ვაგებთ მატარებლის უკანა ნაწილზე, წინა ნაწილის არა გვეკითხებარა. ის მემანქანის საქმეა"-ო. მატარებლის წინა მემუხრუჯე ამბობს: „მე არ ვიყავი ვალდებული მეზრუნა მატარებლის წინა ნაწილზე"-ო. და სხვ. ფორმალურად ძველი ბრძანების გაუქმების გამო ისინი მართალნი არიან.

კატასტროფების გამომწვევი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუწყნარებელია და მასთან დანაშაულიც. ცენტრალიზაცია-ქმნილი ისრები ჩვენში ნავთის საშუალებით მოქმედობენ, საზღვარ-გარეთ კი ნავთი დიდი ხანია შეკუმშული ჰაერის დაწოლით და შემდეგ ელექტრონის აპარატებით შესცვალეს. რატომ?

იმიტომ, რომ ისრის ეს ძველი ტიპის აპარატები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ვერ გამოდგენ დამაკმაყოფილებელნი. ხშირად ისრები არასწორად მოქმედობენ. ამავე დროს გაუქმებულია ბრძანება, რომელიც ლიანდაგის შემოწმების პასუხისმგებლობას აკისრებდა რკინის გზის სათანადო აგენტებს. მემანქანეები თავს არ სცნობენ დამნაშავედ, მაგრამ მათ არავინ უჯერის, ისინი მაინც ისჯებიან. ისჯებიან ზოგჯერ აგრეთვე მოძრაობის დარგის სხვა მუშაკებიც მემანქანის თანაშემწენი კი სრულებით თავისუფალნი არიან ყოველნაირი ბრალდებებისაგან.

უბედურ შემთხვევებს ბოლო მაინც არ ელება. ზემოდ აწერილი კატასტროფები იქნება მანამდის, სანამ პასუხისმგებლობა აწევს მარტო ერთ კაცს— მემანქანეს, რომელიც მოათრევს უზარმაზარ მატარებელს, რომლის შრომაც ისედაც მძიმე და ნერვიულია. ასეთ ფიზიკურ შრომის გადამტან მემანქანეს, რომელსაც ძარღვები მუდამ დაჭიმული აქვს, რომ არავინ გასრისოს გზაში, ან მატარებელი არსად გადაჩეხოს, სადგურში მოსვლისას დახმარება ესაჭიროება. ამის ნაცვლად კი მას ნერვებს უშლიან ხშირად უსაბუთო პრეტენზიებით, რაც იწვევს მემანქანეებსა და მოძრაობის მოსამსახურეთა შორის უკმაყოფილებას. ეს უკმაყოფილება ხშირად პროფესიონალურ მტრობაში გადადის. ძარღვებ აშლილ მემანქანეს წინააღმდეგ ამხედრებულია მეორე დარგის მოსამსახურეთა ჯგუფი და უბედურ შემთხვევების გამოძიების დროს ერთი მეორეს წინააღმდეგ აძლევენ ყალბ ჩვენებებს.

ასეთ მოვლენების თავიდან ასაცილებლად და უბედურ შემთხვევების მოსასპობად, აღდგენილ უნდა იქნეს ბრძანება, რომელიც გულისხმობდა მატარებელთა მიღების დროს მატარებლების მისაღები ხაზების გულდასმით გასინჯვას.

ლ. კუპრაშვილი.

ნადი „გლარჯა"

ინვალიდთა ნადის „გლარჯა"-ს 9 წევრმა, შეიტანა მ.-გ. ინსპექციის საჩივართა ბიუროში საჩივარი გამგეობის უკანონო მოქმედების შესახებ. როგორც გამოირკვა, ნადი „გლარჯა", აერთიანებს 400-მდე წევრს, რომელთა უმრავლესობა სამხედრო ინვალიდები და თამბაქოს ტრესტის ნაწარმოებთა გამსაღებელი მეპაპიროსეებია. არ მოეწონა გამგეობას ამ ხალხის (მეპაპიროსეების) ცხვირი, განრისხა ისინი ვითარცა ცოდვილნი და წინააღმდეგ ნადის წესდებისა, გარეკა ისინი ნადის შემადგენლობიდან.

რა საჭიროა ან კი წესდება, როდესაც წესდებაც და ნადიც გამგეობის თავმჯდომარის ჯიბლაძის ხელშია და როგორც უნდა ისე ატრიალებს.

ნადის წევრებში გამგეობის თავმჯდომარის წყალობით ჩაკლული ყოფილა ყოველგვარი თვითმოქმედებისა და კრიტიკის უნარი. ვერავინ იღებდა ხმას, რადგან ეშინოდათ ნადის შემადგენლობიდან გამორიცხვისა და ხავაქრო ყუთების ჩამორთმევის, რითაც მათ მოელოდათ ლუკმა პურის დაკარგვა. ჯიბლაძემ ნადში შექმნა აუტანელი რეჟიმი, ის უშვერი სიტყვებითა და დაპატიმრების მუქარით უმასპინძლდებოდა მასთან საქმეზედ მოსულ ნადის წევრებს.

ვერ მოითმინეს ასეთი დამონება ნადის ზოგიერთმა წევრებმა და დაიწყეს საპეტიციო კამპანია, უკმაყოფილო წევრების ხელის მოწერის შეგროვება სათანადო ორგანოში წარსადგენათ. ამ საშუალებით სურდათ სხვა ნადში გადარიცხვა. ნაწილი მათგანი უკვე გადაირიცხა მუშკოოპთან არსებულ ნადში. ამას ჯიბლაძის მხრივ მოყვა უარესი რეპრესიები. იგი ზედი-ზედ ერეკებოდა „ურჩ" წევრებს ნადიდან წევრთა საერთო კრების დაუკითხავათ, მაგრამ ბოლოს მ.-გ. ინსპექციამ მიაბრძანა ნადიდან თვით ჯიბლაძე და გაანთავისუფლა ნადი არამკითხე მბრძანებლისაგან.

ბასი.

პასუხი

ამხ. ი. ბახტაძეს

თქვენგან მიღებული განცხადება მიწადმოქმედების კომისარიატის ზოგიერთ განყოფილებების მუშაობის დეფექტების შესახებ, ახსნა-განმარტების მოსაცემათ გადაცემული აქვს პირადათ ხსენებულ კომისარიატის ხელმძღვანელს. პასუხის მიღებისთანავე მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეამოწმებს მას და გააკეთებს შესაფერ დასკვნას.

ამხ. მ. სიმონგულოვს

თქვენი განცხადება განათლების სახალხო კომისარიატის ერთ-ერთ ხელმძღვანელი ამხანაგის შესახებ, რომ თქვენ ოთხჯერ მისვლის შემდეგ ვერ მოახერხეთ მასთან დალაპარაკება სკოლის აგების საქმეზე, დადასტურებულია თვით ხსენებული ამხანაგის მიერ. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზათ განსახკომის აღნიშნული მუშაკი ასახელებს სამსახურით, კრებებით და საკომისიო მუშაობით მეტის-მეტად დატვირთვას.

მსგავსი მოვლენების აღმოსაფხვრელათ მუშათა და გლეხთა ინსპექცია სულ ახლო ხანში შეიმუშავებს საერთო ხასიათის ღონისძიებებს და გამოაქვეყნებს მას.

რაც შეეხება ამ კონკრეტიულ მოვლენას, თქვენი განცხადება ხსენებული განმარტებით, გადაეცა მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიას განსახილველათ.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

გრიგოლ ვეშაპელი

დღეს მიწას მიაბარებენ გრიგოლ ვეშაპელის ნეშტს. საქართველოში ბევრისათვის ცნობილია ეს სახელი. გრიგოლ ვეშაპელს იცნობენ როგორც ნიჭიერ პუბლიცისტს, ენამახვილ ორატორს და საზოგადო მოღვაწეს. გრიგოლ ვეშაპელს იცნობდენ წარსულში 1921 წლამდე და იცნობენ საქართველოსათვის ამ ისტორიულ წლის შემდეგაც. წინად ის იბრძოდა მემარჯვენე ნაციონალისტურ ფრონტზე — ხოლო დაიღუპა ახალი საქართველოსათვის ბრძოლაში, ბრძოლაში მის ყოფილ თანამოაზრეთა და მათ დღევანდელ მოკავშირე მენშევიკების წინააღმდეგ.

ნიჭიერი, ბუნებით მოუსვენარი და აქტიური საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვეშაპელი მუდამ შეურიგებელი და მუდამ დაუნდობელი იყო თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობაში. ეს ერთნაირად საგრძნობი იყო, როგორც მენშევიკურ რეჟიმის დროს საქართველოში, ისე ემიგრაციაში, განსვენებულის სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიაც.

მენშევიკური დიქტატურის პირობებში, სადაც ფორმალურად აღიარებული იყო სიტყვისა და კრების თავისუფლება, სინამდვილეში დახშული იყო ყოველივე საზოგადოებრივი აზრი, რომელიც რამიშვილის კაბინეტიდან არ გამოდიოდა. კომუნისტურ პარტიაზე ლაპარაკიც ზედმეტია, სიტყვის თავისუფლება ფაქტიურად წართმეული ქონდათ ლეგალურ პოლიტიკურ პარტიებსაც, რომელნიც მენშევიკებს ეფიცებოდენ ერთგულებას „ეროვნული ინტერესების" საფუძველზე. „ხელები" სწყვეტდა საკითხებს არა თუ დამფუძნებელ კრების სხდომაზე, არამედ ამავე კრების კულუარებში, სადაც მენშევიკი „დერჟიმორდები" მუშტკრივით უსწორდებოდნენ იმათ, ვინც პარლამენტის ტრიბუნიდან გაბედავდა რამიშვილის სამწყსოს ბნელ საქმეებისათვის ფარდის ახდას.

დიდხანს ვერ გაუძლო მენშევიკურ დემოკრატიულ ხუხულამ ოქტომბრის ქარიშხალის ქროლვას. ჟორდანია-რამიშვილი და ძმანი მათნი იმავე ბედის ხვედრი გახდენ, რომელიც ეწვია რუსეთის ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ყველა კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ თავი შეაფარა იმპერიალისტების კალთას. ემიგრაციაში მდგომარეობა შეიცვალა. პარტიათა შორის საქართველოდანვე დაწყებულ უთანხმოებამ, უცხოეთში კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, იმ განსხვავებით, რომ აქ დავა უმთავრესად ახალი მიმართულებით სწარმოებდა. დაისვა საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის გზებისა და საშუალებების გამოძებნის შესახებ, გაჩაღდა ნერწყვმორეული ლაქლაქი მომავალ ბრძოლაში მოპოვებულ ნადავლის განაწილებაზე. მართალია, საბჭოთა ხელისუფლებას ამ დავისაგან არც სციოდა და არც სცხელოდა, მართალია რამიშვილ-კედია-გვაზავას კინკლაობაში საბჭოთა ხელისუფლება უფრო და უფრო იზრდებოდა, მაგრამ უთანხმოებას ამით ბოლო მაინც არ უჩანდა. ერთად ერთი უფლება, რომელიც დარჩენია ემიგრაციას, ესაა ლაყბობით თავის შექცევა, სხვადასხვა პროექტების შეთხზვა საბჭოთა ხელისუფლების დასამარცხებლად, პლატფორმების და პროგრამების წერა. არც ისე ადვილი საქმეა ამ პრივილეგიის დათმობა და საკუთარი ხელით თავის თავის პოლიტიკურად დასამარება.

გრიგოლ ვეშაპელის ღირსებაც სწორედ იმაშია, რომ მან პირველად ალამაღლა ხმა ემიგრაციის პოლიტიკურ კომბინაციების წინააღმდეგ, ის პირველად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთად ერთი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც არსებობს ყველა დამონებულ ეროვნებათა საბოლოო განთავისუფლებისათვის, ეს არის საბჭოთა ხელისუფლების სისტემა. სწორედ, გრიგოლ ვეშაპელს, ნატურით პირდაპირს, შორსმჭვრეტელ საზოგადოებრივ მოღვაწეს, შეეძლო დაენახა ეს და არ შეშინებოდა, ამის შესახებ ხმა მაღლა განეცხადებია. „შესაშინებელი კი", საზოგადოებრივ აზრის ტერორის იმ ატმოსფერაში, რომელიც გამეფებულია ემიგრაციაში, უთუოდ იყო. მაგრამ გრიგოლ ვეშაპელმა არა თუ პირდაპირ და შეუპოვრად განაცხადა, რომ ემიგრაციის უმრავლესობის გზა დამღუპველია ქართველი ხალხისათვის, არამედ აქედან სათანადო პრაქტიკული დასკვნაც გააკეთა. ვეშაპელმა მისთვის ჩვეული ენერგიითა და ენტუზიაზმით დაიწყო თანამოაზრეთა დარაზმვა უცხოეთში, გამოსცა თავისი ჯგუფის გაზეთი „ახალი საქართველო" და დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღა კედია-რამიშვილების წინააღმდეგ.

აყაყანდა ემიგრაციის ჭაობი. მათ გრიგოლ ვეშაპელში დაინახეს საშიშარი მოწინააღმდეგე, კაცი, რომელიც არღვევდა მთლიან ნაციონალურ (იგულისხმეთ კონტრ - რევოლიუციონურ) ფრონტს ბოლშევიკების წინააღმდეგ. ვერ გასჭრა ვეშაპელის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვერც უსირცხვილო ინსინუაციამ, ვერც დამუქრებამ, ვერც ავაზაკურ თავდასხმებმა და ფიზიკურ შეურაცყოფამ. ბოლოს მოთმინება დაკარგულ რამიშვილებმა უკანასკნელ ღონისძიებას მიმართეს. მათ ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს საშიშარი მოწინააღმდეგე. ქურდულად მოჰკლეს ვეშაპელი, რომელმაც არ მოისურვა ემიგრაციის მოღალატურ ჭაობში თავის-თავის ჩახრჩობა, რომელიც შეუპოვრად გამოვიდა ამ ჭაობიდან „ახალი საქართველოსთვის", ახალი ქვეყნისათვის ბრძოლის გზაზე.

გრიგოლ ვეშაპელის წინააღმდეგ გასროლილი ტყვია, ეს იყო მუქარა ინტელიგენციის იმ მოწინავე ნაწილის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი ბედი ქართველ მშრომელ მასების ბედს დაუკავშირა, ეს იყო გაფრთხილება იმათ მიმართ, რომელნიც მიილტვიან ემიგრაციის კონტრ - რევოლიუციონურ დამყაყებულ ბანაკიდან ახალი ცხოვრებისაკენ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაკენ მუშებისა და გლეხების საქართველოში.

კარგად ვიცით, რამდენად გაუმართლდათ მენშევიკებს ამ მკვლელობასთან დაკავშირებული იმედები. ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა და მისი საუკეთესო ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლებასთან და ეს კავშირი დღითი-დღე მტკიცდება, ემიგრაციის მოწინავე ელემენტები უკვე გაემიჯნა რამიშვილ-კედიას მოღალატურ გზას. ემიგრაციის შინაგანი გახრწნის ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

დაქირავებულ ჯალათის ტყვია, რომლის მსხვერპლიც გახდა გრიგოლ ვეშაპელი, ვერ იხსნის დაღუპვისათვის განწირულ ქართულ კონტრ - რევოლიუციას. დადგება დრო, როცა სხვა ცოდვებთან ერთად ისინი პასუხს აგებენ ვერაგულათ დაღუპულ ვეშაპელის სისხლისათვის.

ჟანი.

ვერაგულად მოკლული

დღეს ვასაფლავებთ გრიგოლ ვეშაპელს, რომელიც ვერაგულად იქნა მოკლული საფრანგეთში საქართველოს თეთრ ემიგრანტების მიერ. გახრწნისა და რღვევის გზაზე შემდგარი ემიგრაცია ფიქრობდა რევოლვერით შეეჩერებია ანტი-საბჭოთა პარტიებისგან საუკეთესო ნაწილის ჩამოშორების პროცესი.

მენშევიკების პარტიამ ამ ხერხს ჩვენშიაც მიმართა 1923 წელს. მუშების გიორგაძის და ქიქოსოშვილის მოკვლით ისინი ცდილობდენ დაეცვათ მენშევიკური პარტიის მთლიანობა.



გრიგოლ ვეშაპელი.

მაგრამ მიიღეს საწინააღმდეგო შედეგი. ამ ორი საუკეთესო მუშის მოკვლა შეიქნა ახალი სიგნალი მენშევიკური პარტიიდან მუშათა ჩამოშორების. ეს განმეორდა გრიგოლ ვეშაპელის სიკვდილის შემდეგაც.

ამ კაცის მთელი მოღვაწეობის ისტორია საქართველოში უმთავრესად ხასიათდება ყველა მიმართულების სოციალისტებთან ბრძოლით. ის უარყოფითად შეხვდა ოქტომბრის რევოლიუციას. საშინელი აღშფოთებით შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებასაც—1921 წელს. ამ წელს ის შორდება საბჭოთა საქართველოს, როგორც შეურიგებელი მტერი და სასტიკ ბრძოლას განაგრძობს ემიგრაციის რიგებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბრძოლის პროცესში ის რწმუნდება საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში, რომ ეს ხელისუფლება არის მთელი მშრომელი ხალხის ხელისუფლება და ქართველი ხალხის განვითარება, ეროვნული პოლიტიკის სწორი ხაზის გატარება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

ის რწმუნდება, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველო შედგა აღორძინების გზაზე, ეყრება მტკიცე საძირკველი ჩვენს მრეწველობას, იზრდება, დგება ინტენსიფიკაციის გზაზე ჩვენი სოფლის მეურნეობა, სწრაფი ტემპით ფართოვდება ჩვენი სახალხო მეურნეობა, მაღლდება ხალხის კულტურული დონე, სკოლებით, კლუბებით, ბიბლიოთეკა- სამკითხველოებით იფარება საბჭოთა საქართველოს ტერიტორია და ის გულწრფელად იხრის მუხლს ამ ფაქტების წინაშე. ის ებმება ამ საერთო აღმშენებლობის ფერხულში, ეცხადება ომს ძველ გზას, ძველ მიმართულებას, ებრძვის თავის ყოფილ იდეურ ამხანაგებს, მოუწოდებს მათ არ შეუშალონ ხელი საბჭოთა საქართველოს ამ დიად მუშაობაში. მათაც მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ დიად საქმეში.

გრიგოლ ვეშაპელი დაეცა ამ ბრძოლაში...

მაგრამ რევოლვერის გასროლამ ვერ შეაჩერა აღებული გეზი. ტერორისტულმა აქტმა კიდევ უფრო გააღრმავა, დააჩქარა რღვევის პროცესი ემიგრაციაში. საუკეთესო ნაწილმა ამ ემიგრაციისა რომელსაც შესწევს გამბედაობა მუხლი მოიდრიკა ფაქტების წინაშე, შეგნებულად მოდის ჩვენსკენ, ნაწილი ვარდება სასოწარკვეთილებაში, კარგავს გზას, პერსპექტივას. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა სამზარეულო დანით ყელგამოჭრილი კარლო ჩხეიძე. ხოლო ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ ფაფხურობენ, „საქართველოს მთავრობის" სახელით იკრიბებიან ლევალიეს აგარაკში, სამოცი წლის იუბილეს უმართავენ ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის გოფმეისტერობით და პოლიტიკურ ტოსტებს უძღვნიან „ძვირფას იუბილიარს" და „ქართველების მეორე სამშობლოს"— პუანკარე—ომის საფრანგეთს,— ისინი მოგვაგონებენ მხოლოდ კომედიანტებს ბალაგანურ სცენაზე...

დღეს ჩვენ ვასაფლავებთ გრიგოლ ვეშაპელს, რომლის ღვაწლს, გაბედულ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ არ დაივიწყებს საქართველოს მშრომელი ხალხი.

ა. რუხაძე.

სამოქალაქო პანაშვიდი

გრიგოლ ვეშაპელის საპატივცემლოდ გუშინ, საღამოს 7 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი. მარმარილოს ურნა, რომელშიაც მოთავსებულია განსვენებულის ფერფლი, მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით. პანაშვიდის დროს უკრავდა სიმებიანი ორკესტრი. სამოქალაქო პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

სამგლოვიარო პროცესია

გუშინ, საღამოთი, შესდგა გრ. ვეშაპელის ნეშტის დამკრძალავ კომიტეტის სხდომა, რომელმაც შეიმუშავა დაკრძალვის შემდეგი წესი:

ხელოვნების სასახლეში, დღეს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე გადახდილი იქნება უკანასკნელი სამოქალაქო პანაშვიდი, რის შემდეგაც ნეშტს სასახლიდან გამოასვენებენ დამსახურებული საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და ხელისუფლების წარმომადგენლები.

ხელოვნების სასახლის წინ სიტყვებს წარმოსთქვამენ საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სიტყვების შემდეგ ნეშტს ივ. მაჩაბელის ქუჩით წაასვენებენ თავისუფლების მოედნისაკენ. სასახლის ქუჩის, რუსთაველის პროსპექტისა, ჟორესის ქუჩის და პლეხანოვის პროსპექტის გავლით ნეშტი დასვენებულ იქნება ქართველ მოღვაწეთა პანთეონში—დიდუბეში.

საფლავზე წარმოთქმული იქნება სიტყვები როგორც სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების, ისე განსვენებულის პირადი მეგობრების მიერ.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი ქარხნის მდგომარეობა
(წერილი მუხროვანიდან)

მუხროვანის გლაუბერის მარილის ქარხნის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. წინად ქარხნის შტატი იმდენად იყო გაბერილი, რომ ქარხნის შემოსავალი ძლივს აკმაყოფილებდა ქარხანაში თავმოყრილ ეგრედ წოდებულ „სპეცების" ხელფასს. ქარხანაში უმთავრესად მუშაობდნენ გლეხები, რომლებიც გარდა იმისა, რომ ცუდ პირობებში მუშაობდნენ, არც დაზღვეულები იყვნენ. კავშირიც ვერ აქცევდა სათანადო ყურადღებას. ამიტომ პროფესიონალური მუშაობაც ძალიან მოისუსტებდა.

სპეცები მარილის დამზადებაში ერთმანეთს „ტყუებდნენ, ხოლო ყველანი კი სამთამადნო ტრესტს უხვევდნენ თვალებს. მათ შორის განუწყვეტლივ ინტრიგანობა არსებობდა. ისინი ერთმანეთს აბრალებდნენ ქარხნის ქონების მითვისებას და სხვა ბოროტმოქმედებას. ამის გამო ქარხანაში არც მასალა მზადდებოდა კარგი ხარისხის და არც თვით ქარხნის საქმიანობა იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული.

დღეს ეს მდგომარეობა შეიცვალა: ქარხანას გაცილებით პატარა შტატი ჰყავს და საქმეც უკეთესად კეთდება. ძველი სპეცების მიერ დამზადებული მარილი, რომელიც მათ აერიათ ჭუჭყიანებში, გადაამუშავა ქარხნის ახალმა, მცირე შტატმა და გამოიყვანა სამოცი ვაგონამდე პირველი და მეორე ხარისხის მარილი.

გარდა ამისა გასულ წელს „სპეცებს" ტრესტში წარდგენილი ჰქონდათ ცნობა 82 ვაგონი სუფთა მარილის დამზადების შესახებ. ნამდვილად კი აღმოჩნდა 65 ვაგონი ძალზე ჭუჭყიანი მარილი, რომლის გაწმენდა-გასუფთავება ქარხანას ძალიან ძვირი დაუჯდა.

ახალმა მცირე შტატმა, დაამზადა 1-ლი და მეორე ხარისხის კრისტალური მარილი. და 20 ვაგონი ბორჯომისათვის მერაბელიტის მარილი. წინად ფუთი მარილის გაწმენდა თითქმის 20—25 კაპეიკი ჯდებოდა. ახლად დამზადებულ მარილს კი გაწმენდა სრულიად არ სჭირდება, რამაც ტრესტს მისცა 48.000 მანეთამდე მოგება. ამასთან ერთად დღეს მარილები დახარისხებულია. ბაზარზეც დაცულია მარილის ჩვეულებრივი ფასები და მუშებსაც ხელფასი საგრძნობლად გაუდიდდათ.

გარდა ამისა მუშები ყველანი დაზღვეულები არიან და კარგ განწყობილებაშიც იმყოფებიან ადმინისტრაციასთან. მუშებისათვის მოწყობილია სასადილო, სამკითხველო და სხვა. არსებობს აგრეთვე პოლიტწრეც, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს. ერთად-ერთი ნაკლი რომელიც აქვს დღეს ქარხანას, ეს არის ის, რომ შედარებით წინანდელთან მარილი მცირე რაოდენობით მზადდება, მაგრამ ეს უმთავრესად გამოწვეულია ძველი სპეცების უგეგმო მუშაობით, რომლის გამოსწორებაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელი გახდა.

მუშა-მოსამსახურეები არ ზოგავენ ენერგიას და ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ ქარხნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შრომის ნაყოფიერების ასაწევად. ასეთია მუხროვანის გლაუბერის მარილის ქარხნის მდგომარეობა.

ი. ჩ.

მუშა და დიასახლის ქალთა შორის
(ლენინის უბანი)

25 აპრილს, ლენინის რაიონის დელეგატ. მუშა-მოსამსახურე და დიასახლის ქალთა საერთო კრებამ,მოისმინა მოხსენება შვებულებაში მიმავალ მუშა-ქალების სოფლად მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ამხ. პ. საყვარელიძემ და ბელიაევსკიმ ვრცლად გააცნეს კრებას შვებულებაში მიმავალთა მოვალეობა სოფლად და აღნიშნეს,რომ პარტ. მე-15 ყრილობის და [illegible]გენილების ცხოვრებაში გატარებას, სოფლად მუშაობისა და სასოფლო მეურნეობის განმტკიცების შესახებ, შვებულებაში მიმავალ მუშებმა და მუშა-ქალებმა ხელი უნდა შეუწყონ. მათ უნდა მოაწყონ საუბრები ღარიბ გლეხობასთან და მისცენ ახსნა-განმარტება ჩვენი ფაბრიკა-ქარხნებისა და მუშების მდგომარეობის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო ახალ გადასახადს, რომელიც შეიმუშავა საკავშირო ცაკის უკანასკნელმა სესიამ. ქალაქიდან ჩასულ მუშებიდან, გლეხები მოელიან სათანადო პასუხს ამა თუ იმ მათთვის გაუგებარ საკითხის შესახებ. ამიტომ შვებულებაში მიმავალმა მუშამ და მუშა-ქალმა, საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა და გლეხებს მისცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი.

განსაკუთრ. შვებულებაში მიმავალ ქალებს ამ მხრივ დიდი მოვალეობა აწევთ. მათ უნდა დაამყარონ მჭიდრო კავშირი გლეხ-ქალებთან და გააცნონ მათ ქალაქის მუშა-ქალთა მდგომარეობა.

მოხსენების ირგვლივ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც მუშა-ქალები აძლევენ სიტყვას პარტიასა და ხელისუფლებას, რომ მტკიცედ გაატარებენ ცხოვრებაში უმაღლეს ორგანოების დადგენილებას.

დამსწრე.

ლენინის უბნის კინო-თეატრის საზეიმო გახსნა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, მოხდა ლენინის რაიონში, პლეხანოვის სახელობის კლუბის ეზოში ახლად აშენებული კინო-თეატრის საზეიმო გახსნა.

საზეიმო სხდომა გახსნა რკინისგზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. რაზმაძემ, რომელმაც დამსწრეთ მოკლედ გააცნო თეატრის აშენების ისტორია. დასასრულს მან განაცხადა, რომ მუშათა ერთი ჯგუფის მიერ შემოტანილია წინადადება, რათა კინო-თეატრს დაერქვას ამხ. ლადო ქავთარაძის სახელი. დამსწრენი ამ განცხადებას მხურვალე ტაშის ცემით შეეგებნენ და ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულ რევოლიუციონერის ხსოვნას.

შემდეგ კინო-თეატრის აშენების შესახებ ინფორმაციული მოხსენებით გამოვიდა თეატრის სააღმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ივ. ბეჟანოვი.

— პირველად—განაცხადა მოხსენებელმა თბილისის საუბნო კომიტეტს განზრახული ჰქონდა კინო-თეატრის მიშენება კლუბთან, მაგრამ ეს მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი და გადაწყდა ცალკე შენობის აგება.

შენება დაიწყო ერთი წლის წინად. თეატრის შენებაში საუბნო კომიტეტს დიდ დახმარებას უწევდნენ საგზაო კომიტეტი და გზის გამგეობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშების ის უაღრესად დიდი ენერგიული შრომა, რომელსაც ისინი იჩენდნენ თეატრის აშენების პროცესში. ბევრი მათგანი სახელოსნოებში მუშაობის შემდეგ, სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდა ამ თეატრის შენებაზე.

თეატრის აშენებაზე დაიხარჯა იმაზე ნაკლები, რაც გათვალისწინებული იყო ხარჯთაღრიცხვით. სულ თეატრის აშენება დაჯდა 114.000 მანეთი.

დამსწრე ამხანაგებმა მხურვალე მადლობა გამოუცხადეს სააღმშენებლო კომიტეტს, შენების ხელმძღვანელ ტეხნიკურ პერსონალს და მუშებს, რომლებიც მუშაობდენ თეატრის აღმშენებლობაზე.

დასასრულ დამსწრეთ უჩვენეს კინო-სურათი „ოქტომბერი".

კ—ძე.

მუშკორთა წერილები

სახალხო ქონება ნადგურდება. 19 თებერვლის ქუჩაზე, სამრეწველო ტეხნიკუმის პირდაპირ იყო აბანო, რომელიც უყურადღებობით ნადგურდება. შენობის ოთახები, საუცხოვო ჩუქურთმებითა და ჩხატვრობით იყო მორთული. დღეს ეს ჩუქურთმები დამტვრეულია და დაზიანებულია, კარები და ფანჯრები ჩალეწილია, კედლები ჩამონგრეულია და სხვა. ეს შენობა წინად ეკუთვნოდა ცნობილ მილიონერს [illegible]. დღეს კი იგი აღმასკომის ხელშია. მაგრამ უკანასკნელი არავითარ ყურადღებას არ აქცევს შენობას. კეთილმოწყობის განყოფილებამ უნდა მიიღოს ზომები აღნიშნულ შენობის დასაცავად.

მეტეხი.

უპატრონო ბავშთა სასარგებლოდ. სამტრედიის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა გაიღონ ერთი დღის ხელფასი უპატრონო ბავშთა სასარგებლოდ. კრებამ სურვილი გამოსთქვა აგრეთვე სამტრედიაში აშენდეს უპატრონო ბავშთა თავშესაფარი.

მუშა-ქალი.

გამოიყვანეთ წყალსადენი. არტილერიის ქუჩაზე და ბალკაში, მხოლოდ ორ სახლში წყალსადენი გაყვანილი. ბალკის ქვედა ნაწილის მცხოვრებნი, იძულებული არიან მეხანძრეთა ქუჩიდან ზიდონ წყალი. განსაკუთრებით ზამთრობით უწყლობის გამო მუშა-მცხოვრებლები ძლიერ შეწუხებული არიან როგორც ელბაქიძის დაღმართზე, ისე კარიუსელის დაღმართზეც არის გაყვანილი წყალსადენი მილი. საჭიროა მხოლოდ ონკანის გაკეთება. წყალსადენის სამმართველოვ, გამოიყვანე წყალი.

ბალკელი.

უსუფთაობამ შეგვაწუხა. საბჭოს ქ. სახ. № 6-ში დიდ უსუფთაობას აქვს ადგილი. აღნიშნულ სახლში მცხოვრები მოქ. განჯაროვი, მისი მეზობლის შესავიწროებლად, განგებ ანაგვიანებს აივანს. ამის შესახებ სანიტარულ კომისიას ეცნობა თავის დროზე, მაგრამ უკანასკნელმა ყურადღებაც არ მიაქცია მცხოვრებლების განცხადებას. აღმასკომო, შენ მაინც აიძულე სანიტკომისია დაიცვას სისუფთავე.

ლ. ტ—ლი.

ვინ ჩამოხია კედლის გაზეთი? თბილისის საყუდში ძალიან ხშირად ხევენ კედლის გაზეთს. უკანასკნელად ჩამოხიეს პირველი მაისის გამოსასვლელი გაზეთი. უნდა ითქვას, რომ არც სარედაქციო კოლეგია და არც ადგილობრივი პარტიული და პროფორგანოები, არ აქცევენ ყურადღებას ამ მოვლენას. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება კედლის გაზეთის ჩამომხევლების აღმოსაჩენად და მათ პასუხისგებაში მისაცემად.

საყუდელი.

გელათის ქვის ძელაკები

1 მაისს საძირკველი ჩაეყარა გელათის ქვის ძელაკების დასამზადებელ ქარხანას.—ქარხნის აგება დაჯდება 447.200 მ.—ქარხანა ამუშავდება 1929 წელში.—1930 წლიდან ტფილისის ქუჩების მოკირწყვლა გელათის ქვის ძელაკებით—ძელაკები გატანილი იქნება მეზობელ რესპუბლიკებშიაც.

დღემდე თბილისის ქუჩები მოკირწყლულია რიყის ქვით, რასაც მრავალი უარყოფითი მხარეები აქვს.

რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩებში შეუძლებელი ხდება სანიტარული პირობების დაცვა მისი არასწორი ზედაპირის გამო, რასაც შედეგად მოსდევს მუდმივი მტვერის დაგროვება ქუჩებში.

გარდა ამისა, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩები იწვევს ზედმეტ ხმაურს, გადასაზიდ საშუალებათა ბორბლების ხშირ გაცვეთას და სხვ.

ამასთან ერთად რიყის ქვის გამძლეობა მცირეა და ითხოვს ხშირ შეკეთებას.

ამის გამო თბილისის აღმასკომმა ჯერ კიდევ გასულ წელს გადასწყვიტა შემოიღოს ქუჩების ძელაკებით მოკირწყვლა. ვინაიდან ასფალტით, ბეტონით და ხის ტორცებით ქუჩების დაგება ძვირი დაჯდება და ამავე დროს მათი გამძლეობაც მცირეა, ამიტომ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ქუჩების გელათის ქვის ძელაკებით მოკირწყვლა.

ამ მიზნით გადაწყვეტილია გელათის მახლობლად, სახელდობრ სოფ. კურსებში აგებული იქნეს ძელაკების დამამზადებელი ქარხანა.

ქარხანა ყოველწლიურად დაამზადებს 2.000.000 ცალ ძელაკს, აქედან ერთი მილიონი მოხმარდება თბილისის ქუჩების კეთილმოწყობას, ერთი მილიონი გატანილი იქნება მეზობელ რესპუბლიკებში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

ერთი ცალი ძელაკის თვითღირებულება ნავარაუდევია 18 სამმეოთხედ კაპეიკად, მინიმალურ მოგების ჩათვლით—19—20 კაპ.

ამჟამად ერთი ცალი ძელაკის ფასი, რომელსაც არტელი „საქართველოს აღმშენებლობა" აწვდის თბილისის ბაზარს, უდრის 26 ნახ. კაპ.

გარდა ძელაკებისა, კურსების ქარხანა დაამზადებს სხვადასხვა სახის სააღმშენებლო ქვებს.

ქარხნის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა მოხდა 1 მაისს. ქარხნის სავსებით მოწყობა დაჯდება 447.200 მანეთი და დამთავრდება 1929 წელში. ქარხანასთან მოეწყობა მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებელი, კლუბი და სხვა დამხმარე შენობები.

თბილისის ქუჩების გელათის ძელაკებით მოკირწყვლის შემდეგ შემოღებული იქნება ქუჩების გარეცხვა სანიტარულ პირობების დაცვის მიზნით.

ახალი კოოპერატივები

საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებული იქნა შემდეგი ახალი კოოპერატივები: თბილისის დამამზადებელი სარეწ. კოოპ. „ულტრა", თბილისის ევროპიულ ფეხსაცმელების მკერავთა კოოპ. ნადი „პროლეტარი"; ზესტაფონის პურის მცხობელთა სამრეწველო კოოპ. ნადი „თვითმშრომელი"; შორაპნის პურის მცხობელთა სარეწ. კოოპ. ნადი „გაერთიანება"; თბილისის ტყავის დამამზადებელი სარეწ. კოოპ. ნადი „დაბალები"; ზესტაფონის პურის მცხობელთა სარეწ. კოოპ. ნადი „ბეჯითი"; თბილისის ევროპიულ ფეხსაცმელების მკერავთა კოოპ. ნადი „ოქტომბერი"; თბილისის შოფერთა სარეწ. კოოპ. ამხანაგობა „ავტოკოოპი"; ოზურგეთის მაზრის სოფ. ზვანის და თედორეთის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ზვანის ჩაი"; ოზურგეთის მაზრის ბახვის თემის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „დუყი; ქუთაისის მაზრის სოფ. ბაღდათის სას. სამ. არტელი „განთიადი"; შორაპნის მაზრის სოფ. პატარა-სამების მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ინტერესი"; სოფ. ჯუმათის სას. სამ. არტელი „გულაბი"; ოზურგეთის მაზ. სოფ. მაკვანეთის სას. სამ. არტელი „წითელი სხივი"; ზუგდიდის მაზ. სოფ. შემოქმედის სას. სამ. არტელი „ოქტომბრის ვარსკვლავი"; ზუგდიდის მაზ. სოფ. ზუგდიდის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „იასონ ჯანაშია"; სიღნაღის მაზრის სოფ. ჩადუნიანის სამანქანო ამხანაგობა „სურვილი"; სოფ. გურჯაანის სას. სამ. არტელი „წითელი ვარსკვლავი"; სოფ. ანანურის სამანქანო ამხანაგობა „25 ოქტომბერი"; სოფელ ანანურის სამანქანო ამხანაგობა „ყაიბნის ველი"; საგარეჯოს სამანქანო ამხანაგობა „შალვა ელიავა"; თბილისის მაზრის სოფ. მარტყოფის სას. სამ. არტელი „ოქტომბერი"; სიღნაღის მაზრის ლენინის სამანქანო ამხანაგობა „გლეხის გზა"; ოზურგეთის მაზრის სოფ. გამოღმა ნიაბურის სას. სამ. არტელი „იმედი"; სიღნაღის მაზრის სოფ. სვიბოდნაიას მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „კრასნაია ზარია"; ახალციხის სამანქანო ამხანაგობა „ახალ-ციხე"; „სოფ. ასურეთის მესამე სამანქანო ამხანაგობა"; ოზურგეთის მაზრის სოფელ ყელის სას. სამ. არტელი „სერგო ორჯონიკიძე"; ოზურგეთის მაზრის სოფ. ბულუხაურის სას. სამ. არტელი „ეგნატე ნინოშვილი", ბორჩალოს მაზრის სოფ. ხატისოფლის სამანქანო ამხანაგობა „ფ. მახარაძე"; ახალციხის სატრიკოტაჟო კოოპ. ნადი „ქალთა შრომა": თბილისის ფეხსაცმელების მკერავთა კოოპ. ნადი „26 კომუნარი"; ოზურგეთის მაზრის სოფელ ოცხნარის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ჩაის კულტურა"; თბილისის მაზრის სოფ. ზემო ავჭალის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „გლეხის განვითარება"; ოზურგეთის მაზრის სოფელ გვაბრათის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „დაბალი ეწერი"; ოზურგეთის მაზრის სოფ. გოგიეთის სას. სამ. არტელი „ახალგაზრდა კომუნარი"; ქუთაისის მაზრის სოფ. ახალშენის სას. სამ. არტელი „კულტურა"; სიღნაღის მაზრის, სოფ. ვეჯინის სამანქანო ამხანაგობა „შრომა"; ქ. ხონის 1-ლი და მე-2-ე უბნის სამანქანო ამხანაგობა „გაუმჯობესება"; ახალქალაქის მაზრის სოფელ ყარზახის სამანქანო ამხანაგობა „რიკოვი"; თელავის მაზრის სოფ. აკურის სამანქანო ამხანაგობა „საკვეთი"; ბორჩალოს მაზრის სოფ. ფარხალის სამანქანო ამხანაგობა „მექანიზაცია"; ქუთაისის მაზრის სოფ. ოფშკვითის მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ოფშკვითის სანერგე"; ქუთაისის მაზრის სოფელ დიდი ჯიხაიშის სამანქანო ამხანაგობა „განთიადი"; თელავის მაზრის სოფ. კურდღელაურის სას. სამ. არტელი „კურდღელაური"; სიღნაღის მაზრის სოფ. მაღაროს მიწის საზ. შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „ბამბა"; თბილისის სარეწ. კოოპერატიული ნადი „აგურ-კრამიტის წარმოება"; ქუთაისის მაზრის დაბა ბაღდათის სატყეო წარმოების კოოპ. შრომის წარმოების კოოპ. შრომის ნადი „დამამზადებელი"; თბილისის მაზრის სოფელ სამშვილდის სას. სამ. არტელი „წითელი მხნელი"; ზუგდიდის მაზრის სოფელ ახალ ხორგის მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა „სამი გეგეჭკორი".

აგრონომების მომზადება

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს აგრონომთა გადასამზადებელი კურსები.

კურსები გაიხსნება ივნისში, თბილისში. კურსებზე გადამზადებული იქნება სარაიონო და სამაზრო აგრონომები, რიცხვით 30 კაცი. მათ შორის 3 აგრონომი გამოგზავნილი იქნება ავტონომიურ რესპუბლიკებიდან.

კურსებზე გარდა თეორეტიულ მეცადინეობისა იწარმოებს პრაქტიკული მუშაობა. ამ მიზნით კურსანტები პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად განსაზღვრულ დროის განმავლობაში გაიგზავნებიან სასოფლო-სამეურნეო კომუნებში—„სამთავისში" და „ლამის-ყანაში".

კურსებზე იწარმოებს შემდეგი საკითხების შესწავლა: 1) საგლეხო კოლექტიურ მეურნეობის ორგანიზაცია და საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკის საფუძვლები; 2) კოლექტიურ მეურნეობის დაარსების ისტორია და მოანგარიშეობა; 3) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, მისი სტრუქტურა და საორგანიზაციო საკითხები; 4) გლეხის მეურნეობის კოლექტივიზაცია და აგრო-დახმარება.

კურსებზე თეორეტიული მეცადინეობა იწარმოებს 10 დღის განმავლობაში.

ნაციონალური რომანტიზმიდან საბჭ. ხელისუფლებისაკენ
(გრიგოლ ვეშაპელის ხსოვნას)

ქართული ემიგრაცია საზღვარგარეთ სოციალურ-კლასიური თვალსაზრისით არ წარმოადგენდა ერთნაირ მასას.

რევოლიუციის ქარიშხალმა დაჰბერა ისე მძლავრად, რომ გადახვეტა საქართველოდან და შავ ზღვას გადააშორა არა მარტო „დემოკრატიული მთავრობა" და მასთან სულითა და ხორცით შეზრდილი, მისი ერთგული პოლიტიკური პოლიცია („საგანგებო რაზმი"), არამედ სტუდენტთა, მუშათა, ოფიცერთა და ჩვეულებრივ ობივატელთა საკმაო რაოდენობა, რომლებიც ასე თუ ისე იყვნენ დაკავშირებული ყოფილ მთავრობასთან ან—დაშინებული იმ განზრახ შეთხზული უამრავი ცილისწამებით, რომლებსაც „მთავრობა" ავრცელებდა ბოლშევიკების „სიმხეცის" შესახებ

ეს ხალხი შედარებით კომპაქტურ ჯგუფებად დანაწილდა საზღვარგარეთ; ასეთი განაწილება „მთავრობამ" და მთავრობის პარტიებმა მოახდინეს იმ იმედით, რომ უფრო ადვილი იქნებოდა გავლენის შენარჩუნება შეკავშირებულ ჯგუფებზე, ვიდრე ცალ-ცალკე დაფანტულ ხალხზე; ეს ძნელი არ იყო: ევროპის „სტუმართ მოყვარე ნაპირებთან" შეხიზნულ უბრალო ემიგრანტებს არ გააჩნდათ არც სახსარი, არც ნაცნობობა, არც თავშესაფარის მიღების შესაძლებლობა, არც ზღვის ნაპირიდან გასვლის ნებართვა და არც ევროპიული ენების ცოდნა; ყოველივე ეს მხოლოდ „მთავრობის" მონოპოლიას შეადგენდა, რომელმაც თავისი „არმია" გაანაწილა ისე, როგორც სურდა და სადაც სურდა.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის დახმარებით, რომელიც რუსეთში მოპარული ოქროდან სიამოვნებით აძლევდა სუბსიდიას ყოველგვარი სახის თეთრგვარდიელებს—„მთავრობამ" ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ მენშევიკებმ (როგორც ცნობილია ეს ერთი და იგივეა, ვინაიდან მათ ბედნიერი შესაძლებლობა ჰქონდათ არასოდეს არ გაენაწილებიათ ხელისუფლება), „მთავრობამ" თავისი თანამოაზრეების, უმთავრესად ახალგაზრდობის საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი „სტუდენტებად" მოაწყო ჩეხო-სლოვაკიის სხვადასხვა სასწავლებლებში

მეორე ცენტრი იყო გერმანია, სადაც მენშევიკებმა ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს გაგზავნეს ორასამდე ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მისაღებად; მათ შეუერთდა რამოდენიმე კაცი უკანასკნელი ემიგრაციიდან.

ყველა დანარჩენები (უმეტესი ნაწილი) „ბელადების" მეთაურობით, მათი ნათესავები, „საგანგებო რაზმით", მაღალი თანამდებობის ოფიცრობით, „ცენტრალური კომიტეტებით", „პარიტეტული ორგანოებით" და ემიგრაციის დანარჩენი „უმაღლესი წოდებით", რომელთა ხელში იყო საქართველოდან გატაცებული ქონება, მოეწყვენ მდ. სენის საუცხოვო ნაპირებზე.

როცა თვითონ მოეწყვენ, „ბელადები", შეუდგნენ თავისი ერთგული ქვეშევრდომების „მოწყობასაც". სტუდენტები და ამ [illegible] ახალგაზრდობა უცხოეთის სასწავლებლებში შეიყვანეს სხვადასხვა რეაქციონურ-კათოლიკურ ორგანიზაციების უმნიშვნელო სუბსიდიით, იმ ორგანიზაციების, რომლებსაც ზიზღით უყურებენ ევროპის ლიბერალურ წრეებშიაც კი; მუშები, უბრალო ოფიცრობა*) და სასწავლებლების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდობა გაგზავნეს ფაბრიკებსა და მაღაროებში, სადაც ისინი ზანგების შრომის პირობებში მუშაობდენ; საგანგებო რაზმელებმა, დეპუტატებმა და მინისტრებმა, რომელთაც „სუბსიდია" მიიღეს, უმთავრესად გახსნეს მაგარი სასმელებით სავაჭროები და ფრანგი წვრილი ბურჟუას მაგვარ დამშვიდებულ ცხოვრებას შეუდგენ.

მოუწყობელი ხალხი კი ხვეტებოდა უფრო ბედნიერი თანამემამულეების ხარჯზე.

„ბელადებმა", საკმაოდ გაცხარებული დავისა და მწვავე შეტაკების შემდეგ გაინაწილეს ნაძარცვი ქონება, დაინიშნეს „ღირსეული" ჯამაგირი და შეუდგენ „საქართველოს განთავისუფლებას", მით უფრო, რომ მხოლოდ ეს მუშაობა აძლევდა გარანტიას ცოტად თუ ბევრად რეგულიარულად მიეღოთ სუბსიდიები უცხოეთის მთავრობათა კონტრდაზვერვისა და შტაბებისაგან, რომლებიც აგრეთვე იყვნენ დაინტერესებულნი „ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობით", ან უფრო მარტივად რომ ვსთქვათ, ბაქოს ნავთით:

ცხადია, რომ ასეთი ობიექტიური მდგომარეობის პირობებში თავისი იდეოლოგიური სახე უნდა გამოეაშკარავებიათ ემიგრაციის ცალკე სოციალურ ფენებს.

პირველი ორი წლის განმავლობაში მთელი ეს მასა იმდენად იყო გონება დაფანტული მომხდარი ამბებით, იმდენად იმყოფებოდა „ბელადების" ჰიპნოზისა და „ბოლშევიკურ სიმხეცეთა" ტერორ ქვეშ, რომ მას ფიქრის უნარიც კი ჰქონდა დაკარგული.

მეორეს მხრით, მუდმივი ზრუნვა ლუკმა პურისათვის, რომლის მიღება, მიუხედავად მისი მოპოვებისათვის გაწეული მძიმე შრომისა, დამოკიდებული იყო „მთავრობისაგან", (რომლის პროტექციითაც ისინი მუშაობდენ),—მუშებს არ აძლევდა საშუალებას აეღოთ გარკვეული ორიენტაცია და კრიტიკულად მოპყრობოდნენ თავის ახალ მდგომარეობას.

„ბელადები" ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს თავისი „მასების" სულისკვეთებას. ყოველ ცენტრში, ცალკე ფაბრიკებშიაც კი, სადაც თავს იყრიდნენ ემიგრანტები, დანიშნული იყვნენ „საგანგებო რწმუნებულები", რომელთა ამოცანას შეადგენდა არა მარტო „ბელადებისათვის" სასურველი აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება ქართველ ემიგრანტებს შორის, არამედ საპოლიციო „ინფორმაციის" შეგროვებაც; ძველი საგანგებო რაზმელები, რომლებიც თავისი პროფესიით კარგად იყვნენ შეგუებულნი ამ მუშაობასთან, ყოფილ სოციალ-დემოკრატ პროპაგანდისტებთან ერთად შეადგენდნენ იმ საიმედო „აპარატს", რომლის მეოხებითაც ჟორდანია-რამიშვილს „ლაგამი" ჰქონდათ ამოდებული თავიანთ „მოქალაქეთათვის".

ყოველგვარი მერყეობა მკაცრად ისჯებოდა; მთავრობას ჰქონდა არა მარტო იმის საშუალება, რომ ლუკმა პური წაერთმია ემიგრანტისათვის,—ჩამოერთმია სამუშაო ან უმნიშვნელო სუბსიდია, მას ჰქონდა აგრეთვე იმის საშუალებაც, რომ გამოეყენებია თავისი კავშირი უცხოეთის პოლიციასთან და ციხეში ჩაეგდო ან სახელმწიფოდან გაეძევებია ყოველი ურჩი „როგორც ბოლშევიკი".

ქვემოდ ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ ფართოდ იყენებდა ამ „უფლებას" თეთრგვარდიელთა „მთავრობა" და გარდა ამისა როგორ მიმართავდა ფიზიკურ ძალადობას და პირდაპირ მკვლელობას.

ამგვარად, მშრომელთა ფენებიდან გამოსული ქართველი ემიგრანტების თვითგამორკვევა ძნელდებოდა მთელი რიგი, თითქოს გადაულახავი დაბრკოლებებით; გამოცდილი და ძველი პარტიული პროპაგანდისტების გავლენის ქვეშ მყოფ, გაბოროტებული საგანგებო რაზმელების ცინიკური მუქარის ტერორ ქვეშ მყოფ ქართველ ემიგრანტს—სტუდენტს ან მუშას, ოფიცერს ან ინტელიგენტს შეეძლო მხოლოდ მიეცა ხმა თავისი „ბელადებისათვის", უსიტყვოდ შეესრულებია ამ „ბელადების" ნება-სურვილი, თავისი თავი დაესახა „ერთგულ ქვეშევრდომად", „ბოლშევიკურ სიმხეცეთა მსხვერპლად":

იგი ოხვრავდა მიტოვებულ სამშობლოზე, გაფაციცებით მოელოდა ყოველ ცნობას იქედან, მაგრამ ამავე დროს ვერც თავის თავში, ვერც თავის გარეთ ვერ ხედავდა ისეთ ძალას, რომელიც შესძლებდა მის გამოგლეჯას თეთრგვარდიელ ემიგრანტების საზიზღარ ჭაობიდან და გამოუვალ ჩიხიდან გამოყვანას ფართე გზაზე მიტოვებულ სამშობლოსაკენ. მაგრამ სოციალ-დემოკრატ მუშას, რომელიც ემიგრაციაში დაუბრუნდა დაზგას, თავის ამხანაგების წრეში არ შეეძლო არ „მოეგონებია" თავისი თავი, როგორც პროლეტარი და რევოლიუციონერი; ნაციონალისტ - სტუდენტს, რომელიც ოცნებობდა თავისი რესპუბლიკის „ბრწყინვალე მომავალზე", რომელსაც რომანტიულად აერია ყველა პერსპექტივები, უნდა ეგრძნო სასტიკი სიყალბე და წინააღმდეგობა სოციალ-დემოკრატების ფრაზებსა და რეაქციონურ-კლერიკალურ სუბსიდიას შორის. არც მუქარას, არც რჩევას არ შეეძლო შეეჩერებია ობიექტიური პროცესი, რომელსაც ასაზრდოებდა ემიგრაციის სოციალური სხვადასხვაობა და მისი სხვადასხვა ჯგუფების ეკონომიური მდგომარეობა.

აქამდის დაფარულ განწყობილების გამომჟღავნებას პირველი იმპულსი მისცა იმან, რომ **საზღვარგარეთ დაიწყო სისტემატიური და ობიექტიური ინფორმაციის მიღება საბჭოთა** საქართველოს შესახებ; მისი სამეურნეო - კულტურულ ცხოვრების ინტენსიური ზრდა, ნაციონალური ცხოვრების მოწყობა, ამიერ - კავკასიის ერების მშვიდობიანი თანამშრომლობა — ყველაფერი ეს იყო ფაქტები და იმდენათ ჯიუტი ფაქტები, რომ მათ წინაშე უძლური აღმოჩნდა ის ბოროტი ცილისწამება და ჭორები, რომლებსაც წლობით ავრცელებდა თეთრგვარდიელთა პრესა.

ახალ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში მუშამ იგრძნო რაღაც მშობლიური, ხოლო ინტელიგენტ ახალგაზრდობამ უკვე მივიწყებული, მაგრამ ოდესღაც ძვირფასი იდეალი.

ყველაზე უფრო ენერგიულებმა და გაბედულებმა დაიწყეს ახალი გზების ძებნა; ეს ყველაზე უფრო ადვილი იყო **სტუდენტობის ახალ თაობისათვის**, რომელიც პოეტ ნ. მიწიშვილის (ერთ-ერთ პირველთაგანი იმათ შორის, ვინც დაადგა თეთრგვარდიელებთან ბრძოლის გზას) მოხდენილი გამოთქმით „თავისუფალი იყო მამათა პარტიულ ცოდვებისაგან", ეს ახალგაზრდობა, რომელიც ჯერ კიდევ 18-19 წლებში გაიგზავნა საზღვარგარეთ. ყველაზე უფრო ნაკლებ იყო მოწამლული საქართველოს სოციალ - დემოკრატიის შემდგომი გახრწნის სხამით. მის ცნობიერებაში ხალაც კიდევ ჩამარხული იყო დიდი რევოლიუციის იდეალები, ჯერ კიდევ შეუბილწავი 19—21 წლების მხეცური შოვინიზმით.

1923 წელს, ჯერ ბერლინში, შემდეგ გერმანიის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში, აგრეთვე ვენაში, ჩეხო-სლოვაკიაში და დაბოლოს საფრანგეთში ეწყობა სტუდენტთა წრეები განსაზღვრულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პლატფორმით.

თუ ამ წრეების დადებითი პროგრამა ჯერ კიდევ არ არის სავსებით გარკვეული თვით ხსენებულ წრეებისათვის, სამაგიეროთ ერთში მათ აქვთ გარკვეული და ყველასათვის საერთო პოზიცია: **ემიგრაციასთან იდეოლოგიური და ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტა ერთხელ და სამუდამოთ და გამონახვა გზებისა საბჭოთა საქართველოსაკენ.**

მოძრაობა თანდათან ფართოვდებოდა. 1923 წლის ბოლოს ყველგან, სადაც ქართველ ემიგრანტებს შორის იყო ახალგაზრდობა, დაარსდა საბჭოთა ჯგუფები, რომლებმაც 1923 წლის ბოლოს ბერლინში მოაწყვეს თავისი ყრილობა, რომელზედაც ორგანიზაციულად და იდეურად ჩამოყალიბდა ახალი მოძრაობა.

მოძრაობის პროგრამათ დასახულ იქნა შემდეგი დადგენილებები: კავშირის საბოლოოდ გაწყვეტა ემიგრაციასთან მისთვის გადამწყვეტი ბრძოლის გამოცხადება და უყოყმანოდ ცნობა საბჭოთა რევოლიუციის საქართველოში და რევოლიუციის მიერ წამოყენებულ მთავრობის და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ წყობილების.

ყრილობის გადაწყვეტილება ახალ მოძრაობის წინაშე სახავდა **ტაქტიკურ ხაზს**, მაგრამ ამავე დროს არ ცდილობდა მის **პრინციპიალურ - იდეურ დასაბუთებას.**

ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს არა მარტო მისი ორგანიზატორების პოლიტიკური გამოუცდელობა, არამედ კიდევ უფრო მეტად ის, რომ თვით ყრილობის მონაწილეთათვის გაურკვეველი იყო მათი მუშაობის **დადებითი პროგრამა და იმ იდეურ მოტივების სხვადასხვაობა**, რომლებმაც თვითეული მათგანი მიიყვანა ამ ტაქტიკურ დასკვნამდე.

უკეთ რომ ვსთქვათ — მოძრაობა ჯერ მეტად ნორჩი იყო იმისათვის, რომ მას ჰქონოდა ჩამოყალიბებული იდეოლოგია. მისთვის საჭირო იყო საკუთარი ხაზის გამორკვევა და იდეურ სხვადასხვაობისა და სიჭრელიდან საერთო პრინციპიალური ხაზის შემუშავება.

თავიდანვე დაისახა **ორი ტენდენცია** ერთი—რომლის წარმომადგენელი იყო უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფი,—სოციალისტური, მეორე ნაციონალური, რომელსაც ემხრობოდა უმრავლესობა.

პირველი ტენდენციის წარმომადგენლები იყვნენ სტუდენტები „ახალგაზრდა მარქსისტების" ჯგუფიდან. გამოდიოდენ რა მათთვის ნაცნობ მარქსისტულ მსოფლმხედველობიდან ისინი ნამდვილ მდგომარეობასთან გაცნობის შემდეგ აკეთებდენ უშუალო კომუნისტურ დასკვნებს; ამ ტენდენციამ, რომელსაც შემდეგში მხარი დაუჭირეს სოციალ-დემოკრატ მუშებმა, **შექმნა ახალი მოძრაობის კომუნისტური ფრთა.**

მეორე—ნაციონალურ ფრთას, უნდა გაევლო თავისი გზა და ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამორკვეული თავისი იდეოლოგიური პლატფორმა.

მისი ბელადი და მისი მისწრაფებების გამომხატველი გახდა გრიგოლ ვეშაპელი.

დაწყებულმა მოძრაობამ დიდი ნერვიულობა და შიში გამოიწვია ემიგრაციის ბელადებში, ხოლო მოძრაობის წარმატებამ—სრული პანიკა.

მიმართეს ზეგავლენის ყოველგვარ ზომებს: „დასნეულებულ" რაიონებში „რჩევა-დარიგებებისათვის" გაემგზავრენ თვით „ბელადები"; განდგომილებს მოუსპეს სუბსიდია და სამუშაო ე. ი. უკანასკნელი ლუკმა; სასწრაფოდ დაარსეს ემიგრანტების ჟურნალი, რომელსაც „მეამბოხე ახალგაზრდობა უნდა დაემორჩილებია მენშევიზმის იდეურ ხელმძღვანელობისათვის; საგანგებო რაზმელების დახმარებით გააძლიერეს უსაზიზღრესი ცილისწამების და პოლიციასთან დაბეზღების კამპანია, და დაბოლოს, რამიშვილის მითითებით ესროლეს ახალი მოძრაობის მომხრე ერთ-ერთ სტუდენტს—ყანდარელს.

როგორც მოსალოდნელი იყო მიღებულმა ზომებმა საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო; მცირერიცხოვან ახალგაზრდობის გაბედულმა ბრძოლამ გამხეცებულ ემიგრაციის წინააღმდეგ, ახალგაზრდობისათვის განსაკუთრებით მძიმე პირობებში, მიიზიდა ყველა იმ ჯანსაღი და ცოცხალი ელემენტების ყურადღება, რომელიც ჯერ კიდევ იყო დარჩენილი ემიგრაციაში, იზრდებოდა ახალგაზრდობის რიგები და თანდათან უფრო გაბედული ხდებოდა მათი ბრძოლა.

1924 წლის აგვისტოში მომხდარ მენშევიკების უაზრო ავანტიურის შემდეგ ახალი მოძრაობა კიდევ უფრო ფართე ხასიათს ღებულობს.

აჯანყებამ გარკვეულად დასვა საკითხი: შუა პოზიციები აღარ დარჩა—საჭირო იყო ან „მთავრობის" ან „საბჭოების" მხარეზე გადასვლა.

უნდა ვიცოდეთ, თუ როგორი პირობები იყო იმ დროს შექმნილი ევროპაში ბურჟუაზიული პრესის მიერ, რომ დავაფასოთ იმათი გაბედულობა, ვინც გამოდიოდა ჟორდანიას და მისი ავანტიურის წინააღმდეგ.

აგვისტოს აჯანყებით იმედგაცრუებულმა ევროპის ბურჟუაზიამ და სოციალისტებმა მთელ მსოფლიოში ასტეხეს განგაში გაკოტრებული მენშევიზმის დასაცავად და მოუწოდებდენ ჯვაროსნული ომისაკენ კომუნისტების წინააღმდეგ.

ყოველგვარ ძალადობას საბჭოების მომხრეთა მიმართ აღტაცებით ეგებებოდა გაბოროტებული და შიშით შეპყრობილი მეშჩანობა.

ამ გამწვავებულ პირობებში, როცა ორგანიზაციულად შეკავშირებული ახალგაზრდობა უდიდესი მამაცობით იცავდა თავის პოზიციებს, იმ სიძულვილისა და გაბოროტების აზბობოქრებულ ზღვაში, რომლის გაძლიერებასაც ხელს უწყობდა ბურჟუაზიული ხელისუფლება და პრესა, თეთრგვარდიელების ცენტრში—პარიზში გაისმა ბურჟუაზიულ საქართველოს ერთ-ერთი „ბელადის", ვეშაპელის ხმა, რომელიც არა მარტო მოუწოდებდა ემიგრაციის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლის გაგრძელებისაკენ, არამედ იდეურადაც ასაბუთებდა ამ ბრძოლას.

ეს პლატფორმა მან ბერლინის ქართული (საბჭოთა) კოლონიის სხდომაზე შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

„ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის, როგორც ყველაზე უფრო ძლიერი მეზობლის ორიენტაცია უფრო რეალურია ქართველი ხალხისათვის სტრატეგიული თვალსაზრისით. საბჭოთა რუსეთი კი საქართველოსათვის წარმოადგენს საუკეთესო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფორმას, ვინაიდან საბჭოთა საკავშირო კონსტიტუცია საქართველოს, როგორც კავშირის სხვა ეროვნულ რესპუბლიკებს, ანიჭებს თანასწორ უფლებებს დიდ რუსეთთან ერთად. რაც შეეხება საკუთარ რუსეთისა და მისი მმართველი პარტიის ინტერნაციონალურ ხასიათს,—ის მცირერიცხოვან ქართველი ხალხის რესპუბლიკისათვის წარმოადგენს უკეთეს გარანტიას, ვიდრე ჟენევის ერთა ლიგა ან ამსტერდამის ინტერნაციონალი, ვინაიდან ეს ინტერნაციონალური სახე საქართველოს აძლევს ორ თანამედროვე მსოფლიო ფაქტორის (პროლეტარიატის სოციალური განთავისუფლებისა და კოლონიალურ ხალხების ეროვნული განთავისუფლების) პროტექციებს და საქართველოს უთმობს საპატიო პოსტს ამ ფაქტორების ავანგარდში, აზიის შესავალ კარებში".

ვეშაპელის ამ პირვანდელ პლატფორმას არსებითად ჯერ კიდევ ბურჟუაზიული და ნაციონალისტური მსოფლმხედველობის ბეჭედი აზის, აქ ავტორი მთლიანად იმ ძველი იდეების გავლენის ქვეშ იმყოფება, რომლებთანაც მან გასწყვიტა კავშირი ორიენტაციით („რუსეთის, როგორც ყველაზე უფრო ძლიერ მეზობლის ორიენტაცია"), მაგრამ რომელთაგან გავლენას ის სავსებით განიცდიდა; მას არ აინტერესებს საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივი ხასიათი, ამას ავტორისათვის აქვს ღირებულება, როგორც ძალას, რომელიც ყველაზე მეტად უზრუნველჰყოფს „მცირერიცხოვან ქართველი ხალხის რესპუბლიკას".

მისი ფორმულა განყენებულად დიპლომატიურია, თითქოს ხელუხლებელი რჩება ძველი დემოკრატიული საქართველო და მის გვერდით საბჭოთა რუსეთი და აი, სხვადასხვა ნაციონალისტური ხასიათის მოსაზრებებით ავტორი ირჩევს საბჭოთა რუსეთის ორიენტაციას.

გრიგოლ ვეშაპელი თავის პლატფორმაში რჩება „პატარა ერების" ნაციონალისტური ბურჟუაზიის იმ ნაწილის გამომხატველი, რომელმაც, დაჰკარგა რა ევროპის რეალური დახმარების იმედი, ფიქრობდა, რომ მომენტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ჯერ-ჯერობით საკუთარი ეროვნული რესპუბლიკის „განმტკიცება" და ლეგალურ ფარგლებში მისი უფლებების გაფართოებისათვის ბრძოლის წარმოება.

ვეშაპელის გამოსვლისა და მის მიერ გაზეთ „ახალი საქართველო"-ს გამოცემის შემდეგ მოძრაობა ღებულობს იდეურ ორგანიზაციულ ხასიათს.

დღემდე ახალი იდეოლოგიის მატარებელი იყვნენ „სტუდენტთა კავშირები" და თითო ოროლა მუშა და ინტელიგენტი,—ეხლა კი მოძრაობა ფართოვდება და სოციალურად ღრმავდება. მცირერიცხოვან, მაგრამ გავლენიან კომუნისტურ ფრთის აქტიური მუშაობით, სტუდენტთა კავშირები თავს აღწევენ ნაციონალურ კარჩაკეტილობას, იწვევენ ამ.-კავკასიის (საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ) სტუდენტთა ორგანიზაციების გაერთიანებელ ყრილობას და პირველად ქმნიან საზღვარგარეთ, ამიერ-კავკასიის სტუდენტთა (სომხები, აზერბეიჯანელები, ქართველები, რუსები, გერმანელი კოლონისტები და სხვ.) საერთო კავშირს.

შემდეგ ამ მოძრაობას ემხრობიან არა სტუდენტური ინტელიგენციაც, სამხედრო პირები და სხვა ემიგრანტები.

ამ ახალი ფენების შესაკავშირებლად საჭირო ხდება ახალი ორგანიზაციის მოწყობა; „სტუდენტთა კავშირის" ნაცვლად იქმნება ყველასათვის მისაღები ახალი ფორმა—„საბჭოთა კოლონია", რომელიც ხდება დაწყებული ბრძოლის დასაყრდენ პუნქტად.

ამავე დროს იწყება **სოციალ-დემოკრატ მუშების მასიურად ჩამოცილება ემიგრაციისაგან**; ამ შემთხვევაში გამოსავალ წერტილს წარმოადგენდა არა ვეშაპელის ნაციონალისტური კონცეპცია, არამედ კლასობრივი. ემიგრაციას ჩამოშორებულ მუშათა ჯგუფები დაუყოვნებლივ არკვევენ თავის გზას კომუნიზმისაკენ.

სტუდენტობა ეხლა უკანა პლანზე სდგება და ბრძოლას უმთავრესად აწარმოებენ მუშები და საბჭოთა კოლონიები, სადაც მთავარ ძალას მუშები შეადგენენ.

ამისდა მიხედვით საბჭოთა ცენტრი გერმანიისა და ჩეხო-სლოვაკიის სტუდენტთა რაიონებიდან გადატანილ იქნა საფრანგეთში, სადაც სცხოვრობდნენ ის მუშები, რომელთაც კავშირი გასწყვიტეს ემიგრაციასთან.

ბრძოლის პირველი ეტაპი განვლილია. ამ ეტაპზე ჩვენ ვხედავთ ვეშაპელს, როგორც **ახალი ჯგუფის იდეოლოგს, მის ბელადსა და მისი შეხედულებების გამომხატველს**; მართალია, თავიდანვე მის წინააღმდეგ, თავისავე ბანაკში, იბრძოდა კომუნისტური ოპოზიცია, მაგრამ უმრავლესობა, რამდენადაც მაშინ სტუდენტობა მთავარ როლს თამაშობდა, მის იდეოლოგიას, მის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პლატფორმას იზიარებდა. მაგრამ სტუდენტთა კავშირების შემდგომი ევოლიუცია, ეროვნული კარჩაკეტილობიდან ინტერნაციონალურ თანამშრომლობისაკენ და საერთოდ სტუდენტთა კავშირების გადასვლა კომუნისტების ზეგავლენით ორგანიზაციისა და ბრძოლის უფრო მაღალ ფორმებზე ხდება ვეშაპელის ხელმძღვანელობის გარეშე, ის ეხლა ამ ამბებს ხელმძღვანელობას კი არ უწევს, როგორც წინად, არამედ მისდევს მათ.

მუშების გამოსვლა თითქოს სავსებით ჩრდილავს მას, მთავარ ძალად ბრძოლაში ხდება ახალ გზაზე დამდგარი მუშა, რომელიც, რათქმა უნდა უარს ამბობს, იბრძოლოს ვეშაპელის ნაციონალისტური დროშის ქვეშ, თუნდაც, რომ ამ დროშაზე საბჭოთა ლოზუნგები ეწეროს.

მუშების გამოსვლა ბრძოლას უკიდურესად ამწვავებს. მენშევიკებს კარგად ესმით, რომ მუშათა კადრების დაკარგვით, ისინი სამუდამოდ უცხონი ხდებიან საქართველოსათვის.

მუშების შენარჩუნებისათვის ბრძოლა პირდაპირ გააფთრებით სწარმოებდა; საფრანგეთის პოლიცია თავის მხრივ ჟორდანიას „მთავრობის" უაღრესად აქტიური მოკავშირე გახდა.

ყოველ მერყევ მუშას დაუყოვნებლივ ქუჩაში ჰყრიდნენ ულუკმა-პუროდ; პოლიცია ემუქრებოდა ასეთი მუშას გაძევებით და ამით მენშევიკებისათვის „ბრძოლის ველს" ასუფთავებდა; მუშებთან მივიდა თვით ი. წერეთელი თავისი „მემარცხენე, რუსოფილური" პლატფორმით იმ იმედით, რომ პარტიაში გაეჩერებია მუშები თუნდაც „ოპოზიციის" როლში; ყველაზე უფრო გავლენიან და გაბედულ მუშებზე საგანგებო რაზმის წევრები ქუჩებში თავდასხმას აწყობდნენ, რასაც მოსდევდა ცემა-ტყეპა და დაჭრა-დასახიჩრება. 1926 წლის 10 აგვისტოს გაიმართა ემიგრანტებისაგან ჩამოშორებული მუშების პირველი კრება; მას თავს დაესხა რამიშვილის შეიარაღებული ბანდა, რომელმაც საფრანგეთის პოლიციასთან ერთად გარეკა კრება და ცემა-ტყეპით სისხლი ადინა მის მონაწილეებს; დაიწყო სისტემატიური ტერორის მზადება მოძრაობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ბრძოლის ამ ახალმა საფეხურმა ვეშაპელის შეგნებაში აშკარა გარდატეხა გამოიწვია.

პირველ ყოვლისა, მისთვის სრულიად ცხადი გახდა, რომ ვერც ბურჟუაზია, ვერც ბურჟუაზიული ინტელიგენცია ვერ იბრძოლებენ მისი ფაქიზი (რასაკვირველია, უტოპიური) ნაციონალური იდეალისათვის; მისთვის სრულიად ნათელი შეიქნა, რომ ქართველი ბურჟუაზია მზად არის მოაოხროს და დაარბიოს საქართველო, რამდენადაც იგი მუშათა და გლეხთა რესპუბლიკაა, ხოლო საფრანგეთის ბურჟუაზია მხარს უჭერს ვეშაპელის მტრებს, რისხვად ატყდება მის მეგობრებს—„პატრიოტებს" და გზას იკაფავს ბაქოს ნავთისა და სხვა საუნჯეებისაკენ, თუნდაც ამ გზის გასაკაფავად საჭირო შეიქმნას, რომ ნანგრევებად იქცეს საქართველო და ცეცხლის ალში გახვიოს იგი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვეშაპელი იბრძოდა მუშებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული; **მან „იპოვა" ის სოციალური კლასი**, რომელიც ყოველგვარი გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთად-ერთი მატარებელია; მან უკვე დაინახა ეროვნული პრობლემის სოციალური საფუძვლები და ხალხთა თავისუფლების კავშირი პროლეტარიატის გამარჯვებასთან.

ამ მომენტიდან გრიგოლ ვეშაპელმა დაიწყო თავისი პირვანდელი თვალსაზრისის გადათვალიერება და კომუნისტურად განწყობილი მუშების, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, პოლიტიკური **„თანამგზავრი"** გახდა. კომუნიზმს მას ჯერ კიდევ აშორებდა ნაციონალური მიდგომა მუშათა დიდი რევოლიუციისადმი*).

მუშათა მოღვაწეებთან ერთად ვეშაპელი ჩვეულებრივი ჯიუტობითა და გაბედულებით განაგრძობდა ბრძოლას ახალ პოზიციებზე.

მუშათა კადრების დაკარგვამ, ვეშაპელის გაზეთის „ახალი საქართველოს" ახალმა პოლიტიკურმა ხაზმა, რომელიც მოძრაობის გეზს კომუნიზმისაკენ მიმართავდა, თეთრგვარდიელები გაალმასა და გააფთრა.

რამიშვილსა და მის ბანდას კიდევ შეეძლოთ ერთგვარი წონასწორობა შეენარჩუნებიათ მანამდე, ვიდრე ვეშაპელი არსებითად ისევ ნაციონალისტი იყო, თუმცა „სხვა ორიენტაციისა", მაგრამ როდესაც იგი ფაქტიურად ჩადგა გაბოლშევიკების გზაზე შემდგარი მუშების რიგში და მათ ახმარებდა თავის ნიჭიერ კალამს, დაუცხრომელ ენერგიას, დიდ პატიოსნებას და არაჩვეულებრივ გაბედულებას, მაშინ თეთრგვარდიელთა ხროვა შეიპყრო დაბრმავებულმა ბოროტებამ და პირუტყვულმა გააფთრებამ.

ვეშაპელის ბედი გადაწყვეტილი იყო, რამიშვილმა დაიწყო მზადება მკვლელობისათვის.

ამას ყველა გრძნობდა.

თვითონ ვეშაპელმა იცოდა ეს. როგორც დევნილი ნადირი გადადიოდა ის ბინიდან ბინაზე, ფარავდა თავის კვალს და ამავე დროს გაურბოდა საფრანგეთის პოლიციას, რომელმაც გადასწყვიტა დახმარებოდა მენშევიკებს და გაეძევებია მათი ყველაზე უფრო შეურიგებელი მტერი.

ის თითქმის მარტოდ მარტო იყო ამ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლაში.

ამ დროისთვის საფრანგეთის პოლიციამ **გააძევა საფრანგეთის საზღვრებიდან არა მარტო ხელმძღვანელები საბჭოთა კოლონიისა, არამედ მისი უბრალო წევრებიც კი.**

ვეშაპელს ერთი წუთითაც კი არ დაუგდია კალამი, ერთი საათითაც კი არ დაუტოვებია მოწინავე პოზიცია; ისევ კიდევ მეტი ენერგიით ებრძოდა მტერს ულმობელად. უკომპრომისოდ, შეუსვენებლად.

მკვლელობის წინ დღით მეგობრები ურჩევდნენ მას არ გამოჩენილიყო სასამართლოს დარბაზში, სადაც ირჩეოდა 10 აგვისტოს მომხდარ თავდასხმის საქმე: აშკარა იყო, რომ თეთრგვარდიელები ამზადებდნენ მის მკვლელობას და აუცილებლად გამოიყენებდნენ მის გამოჩენას საჯარო ადგილზე.

მაგრამ ვეშაპელის დაჯერება შეუძლებელი იყო.

„სიკვდილის დამწამებენო" — ამბობდა ის ყველა რჩევის საპასუხოდ.

„მე ვალდებული ვარ ვიყო იქ, რაკი სხვები ან გააძევეს ან შეაშინეს".

საბედისწერო დღეს ის წავიდა თავის „პოსტზე" და დაიღუპა **როგორც რევოლიუციონერი და მედგარი მებრძოლი.**

„მე ეს ვიცოდიო" მოასწრო მან ეთქვა თავის ცოლისათვის, როდესაც უკანიდან მიპარული საზიზღარი მკვლელის მიერ ნასროლმა სამმა ტყვიამ განგმირა მისი სხეული.

ბოროტმოქმედება იმდენად საზიზღარი იყო, რომ საფრანგეთის სასამართლოს პროკურორიც კი იძულებული გახდა აღიარებინა ეს: „არავითარ არ შეიძლება ამ ბოროტმოქმედების გამართლება — სთქვა მან. ის არა თუ წინასწარგანზრახული იყო, **ის ჩაიდინა არამზადამ და მხდალმა**, ვინაიდან რევოლვერი ისეთ კაცს ესროლეს, რომელსაც არ ჰქონდა საშუალება თავი დაეცვა"-ო.

მაგრამ ფრანგი ბურჟუები — ნაფიცი მსაჯულები სხვა აზრის იყვნენ. მათ გაამართლეს მკვლელი, რომელმაც არსებითად ის შეასრულა, რასაც თვითეული ამ მოსამართლეთაგანი სიამოვნებით ჩაიდენს ყოველი კომუნისტის მიმართ.

სოციალისტები ბევრად უფრო საზიზღრად მოიქცნენ, ვიდრე პარიზელი მედუქნეები, ამ „მუშათა ბელადებმა" პირველ დღიდანვე გამოააშკარავეს თავისი საზიზღარი სახე. ჯერ კიდევ 10 აგვისტოს თავდასხმის შემდეგ, როდესაც მუშა სოციალ - დემოკრატებმა დეპეშით მიმართეს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობას, შემდეგ კი მეორე ინტერნაციონალის მარსელის კონგრესის პრეზიდიუმს და სთხოვეს მათ დახმარება, — მათ პასუხიც ვერ მიიღეს; ეს მუშები კი მაშინ ხომ სოციალ - დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ და სცხოვრობდნენ საფრანგეთში, მისი „დემოკრატიული" კანონების მფარველობის ქვეშ.

იმავე სოციალისტებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ლიგას" თითიც კი არ გაანძრიეს იმის გამო, რომ მათი თვალისწინ მოჰკლეს ვეშაპელი, რომელიც ამავე ლიგის ქართული სექციის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

მაგრამ სამაგიეროდ ბატონი რენოდელები გამოცხადდენ სასამართლოში და დიდი მჭევრმეტყველებით იცავდნენ „არამზადას და მხდალს", რომელსაც ზიზღით შეაქცია ზურგი საფრანგეთის სასამართლოს გამტყუნებელმა პროკურორმაც კი.

ვეშაპელის სისხლში ხელები აქვთ გასვრილი სოციალისტებს, არა მარტო იმიტომ, რომ ის ქურდულად მოჰკლეს ქართველმა სოციალისტებმა, არამედ იმიტომაც, რომ საფრანგეთის **სოციალისტებს საშუალება ჰქონდათ არ დაეშვათ ეს მკვლელობა** (ვინაიდან ისინი გაფრთხილებული იყვნენ განსვენებულის მეგობრების მიერ), **მაგრამ ისინი არა თუ ასე არ მოიქცენ**, არამედ ყოველი ზომა მიიღეს მკვლელის გასანთავისუფლებლად და კიდევაც მოახერხეს ეს. მაგრამ სამაგიეროდ საფრანგეთის პროლეტარიატმა არ დაივიწყა ერთ-ერთი მებრძოლი, რომელიც დაიღუპა მუშათა ბარიკადაზე; 20 ათასი კაცისაგან შემდგარმა მუშათა მასამ დასაფლავების მეორე დღეს დაშვებული დროშებით გაიარა მონმარტის სასაფლაოზე ვეშაპელის ახალი საფლავის წინ; საფრანგეთის მუშებმა ეს ნეშთი მიიღეს თავის წამებულ მებრძოლთა რიცხვში და ამით თითქოს განახორციელეს განსვენებულის უკანასკნელი სურვილი შესულიყო მუშათა პარტიის რევოლიუციონურ რიგებში.

გრიგოლ ვეშაპელის სახელი დარჩება ქართველი ინტელიგენციის ისტორიაში არა მარტო როგორც გამოჩენილი კაცის სახელი, არამედ აგრეთვე როგორც სახელი ისეთი კაცის, რომელმაც ერთერთმა პირველმა დაუსახა **სწორი გზები ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც დარჩა ნაციონალიზმის ბანაკში**; მისი ბობოქარი ცხოვრება და ვაჟკაცური სიკვდილი სახავს იმ ეტაპებს ,რომლებიც უნდა გაიაროს ყოველმა პატიოსანმა ინტელიგენტმა ნაციონალურ რომანტიზმიდან პროლეტარულ ბრძოლის მკაცრ სიმართლისაკენ.

ს. ფირუმოვი.

---

*) სისწორის დასაცავად უნდა ითქვას, რომ ოფიცრების ნაწილი, პოლონეთის კონტრდაზვერვასთან „ანტიმიური" კავშირის მეოხებით მოწყობილ იქნა პოლონეთის არმიის აღმოსავლეთის გარნიზონების სამსახურში, ალბათ დივერსიული ბანდების მოსაწყობად საბჭოთა კავშირის საზღვარის იქეთ.

*) ცოტა ხანს შემდეგ ვეშაპელმა წარსულის ეს ნაშთიც დასძლია და საჭირო ნაბიჯები გადასდგა კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად.

ახალი გლეხკომები

გლეხკომების გადარჩევის კამპანია საქართველოში დაიწყო გასული წლის ნოემბერში და უნდა დათავრებულიყო 1928 წ. 1 იანვრამდე. აგრამ მკაცრი და სუსხიანი ზამთრის გამო ბევრ მაზრებში გადარჩევა გადადებულ იქნა. ამჟამად გლეხკომების გადარჩევა დამთავრებულია ყველგან, ორი მაზრის გამოკლებით (დუშეთის და სიღნაღის), და ჩვენ შეგვიძლია ჯამი გაუკეთოთ ამ გადარჩევის შედეგებს.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს ამ კამპანიის სასურველად ჩატარების საქმეს დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული როგორც საბჭოთა, ისე პარტიული ორგანოების მხრით, რამაც საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებია ადგილებზე დიდი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, როგორიცაა: სოფლის ღარიბ მოსახლეობის, საშუალო გლეხების, ქალების და მოჯამაგირეების დაინტერესება გლეხკომების საქმიანობით და მათი ჩაბმა ამ ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში.

ჩატარებულ არჩევნების მეორე დადებითი მხარე არის საარჩევნო კამპანიის დაახლოვება ამომრჩეველთან, რისთვისაც საარჩევნო პუნქტების რიცხვი წინას გამრავლებული იქნა. ამან ხელი შეუწყო გლეხობის ფართო მასის მონაწილეობას არჩევნებში.

ადგილზე შემჩნეული იყო გლეხობის აქტივობის ზრდა და მათ მიერ გლეხკომების იდეის შეთვისება, რაც გამოიხატებოდა გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებ. წევრების საქმიან გამოსვლებში და კრიტიკაში. ამავე დროს ისინი მჭიდროთ შეკავშირებული გამოდიოდენ სოფლის კულაკების წინააღმდეგ. გადარჩევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ჩვენ შევსძელით გლეხთა კომიტეტების შემადგენლობის გაუმჯობესება.

9. მაზრაში კომიტეტებში არჩეულია 2.831 კაცი, აქედან ღარიბები 58 პროც. საშუალო გლეხობა 36 პროც და ინტელიგენცია 6 პროც. ასარჩევი კანდიდატები პირველად წამოყენებული იქნენ ღარიბთა კრებებზე, შემდეგ კი მათი სიები იხილებოდა საერთო კრებებზე; დასახელებული კანდიდატები მთლიანად გადიოდენ გლეხკომებში.

კრებებზე წამოყენებულ იქნა მრავალი საგულისხმო წინადადება მომავალ მუშაობის შესახებ, მაგალითად, მითითებანი, რომლებიც ეხებიან სოფლად წისქვილების, აგურქარხნების და სხვა ისეთ წამოწყებათა დაარსებას, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მოსახლეობისათვის. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საკითხი სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენის შესახებ; გლეხები ავალებდენ არჩეულ კომიტეტებს დროზე მიეღოთ ზომები ამ იარაღების შესაძენად.

სამაზრო ყრილობებზე დელეგატები დიდ ყურადღებას აქცევდენ თესვის კამპანიის ჩატარებას და ღარიბეს მოსახლეობისათვის შრომითი დახმარების საკითხს. ყველგან ისმებოდა სპეციალური მოხსენებები თესვის კამპანიაზე და გლეხკომების ამოცანებზე ამ კამპანიის ჩატარების საქმეში.

გადარჩევის კამპანია გამოყენებულ იქნა სოფლის მოსახლეობის ფართო მასის გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებში ჩასაბმელად. ამ მხრივ მან მოგვცა დადებითი შედეგი. საანგარიშო მოხსენებების შემდეგ გლეხები დიდი ხალისით ეწერებოდენ გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებების წევრებად და მათ შემოჰქონდათ საწევრო გადასახადი. მაგ. ახალციხის მაზრაში საანგარიშო მოხსენებების ჩატარების შემდეგ მოსახლეობის (ხმის უფლების მქონე) თითქმის მთელი 100 პროც. გახდა გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებების წევრებად. ქუთაისის მაზრაში წევრთა რიცხვი 20.000-დან გაიზარდა 35.500-მდე.

კრებებსა და ყრილობებზე გლეხები აღნიშნავდენ, რომ წელს თავიანთ მუშაობაში გლეხკომებს დიდი მიღწევები აქვთ და მათი მუშაობა მთლიანად დამოკიდებულია გლეხკომების პრაქტიკულ საქმიანობაში თვით წევრების აქტიურ მონაწილეობაზე.

თუ ამ კამპანიას შევადარებთ წინეთ ჩატარებულ გადარჩევებს, ჩვენ დავინახავთ, რომ წელს მის ჩატარებას ჰქონდა უფრო საქმიანი ხასიათი და გლეხობამ უფრო მეტი ინტერესი გამოიჩინა ამ ორგანიზაციების მუშაობისადმი.

პ. ხომერიკი.

საბჭ. და სავაჭრო მუშაკთა საქალაქო კონფერენცია

ამხ. ბ. დოლიძის მოხსენება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ

გუშინწინ, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში, შესდგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ბნდრო დოლიძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელისუფლების და პარტიის მთავარი ამოცანა ამჟამად მდგომარეობს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია,—აი, ის მთავარი ამოცანა, რომელიც სდგას ჩვენი პარტიის, ხელისუფლების და საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა სალი კრიტიკა. სალი კრიტიკით ჩვენ დავსძლევთ ყოველგვარ ბიუროკრატიულ გადახრას და სალი თვითკრიტიკის საშუალებით გამოვარკვევთ ყოველგვარ შეცდომებს.

მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხშირია შემთხვევა, როცა პარტია და საბჭოთა ხელისუფლება იძლევა დავალებებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს დავალებები არ ტარდება ცხოვრებაში. ბიუროკრატიულ გადახრას ჩვენს სახელმწიფოებრივ აპარატში დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ეხლა გამომუშავებული აქვს გეგმა, რომელიც შეიცავს 30 სხვადასხვა დავალებას.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაცხოველების მიზნით ინსპექციამ გააღრმავა საჩივართა ბიუროების მუშაობა.

მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია სპეციალურ მსაჯულთა ინსტიტუტის დაარსება წარმოებებსა და დაწესებულებებში, რომლებიც დაეხმარებიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულებს ამა თუ იმ დაწესებულების გამოკვლევაში.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში დიდ როლს თამაშობს პრესა. ამ მიზნით ადგილობრივ გაზეთებთან არსებობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი, რომელიც სპეციალურად ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებისადმი არის მიძღვნილი.

დასასრულ, მომხსენებელს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გასაცხოველებლად საჭიროდ მიაჩნია დაარსებულ იქნას ყველა ქალაქების და მსხვილი თემების საბჭოებთან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები, და აგრეთვე მჭიდრო კავშირი იქნას დამყარებული პროფკავშირებთან. პროფესიონალურ კავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. ამ მიზნისათვის საჭიროა, რომ თავისი მუშაობა გააღრმავონ ეკონომიურმა კომისიებმა, საწარმოო თათბირებმა და წარმოებათა საკონტროლო კომისიებმა.

ამხ. დოლიძის მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. აკოპოვი, რომელმაც მრავალი ფაქტები მოიყვანა ბიუროკრატიული გადახრის შესახებ და დაწვრილებით გაეცნო ის ღონისძიებები, რომელიც საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირმა უნდა გაატაროს ცხოვრებაში.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

კამათში გამოსული ორატორები ეხებოდენ პროტექციონიზმს, მოქრთამეობის საკითხს, ეკონომიურ თათბირების მუშაობას და სხვა.

ამიერ-კავკასიის ცაკში

გამორიცხვა

ა. ქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, გამორიცხული არიან ა. ქ. ცაკის წევრობიდან და კანდიდატობიდან ა. ქ. ცაკის წევრი ი. კოლუაშვილი და კანდიდატები რ. საგრაზბეკიანი და გაივორონსკი.

იუსტიციის მუშაკთა თათბირი

ა. ქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისართა და უზენაეს სასამართლოების თავმჯდომარეთა მესამე თათბირი მოწვეულია 20 მაისს. თათბირზე განხილული იქნება სოფლათ სასამართლოს ორგანოების მოწყობის საკითხი. განხილული იქნება აგრეთვე სასამართლოს ორგანოების რეორგანიზაციის შედეგები.

ინვალიდები

ა. ქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკანურ ცენტრ. აღმ. კომიტეტებს შეიმუშაონ და გამოსცენ ცირკულიარი ინვალიდების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასახლების მოსაწესრიგებლად.

შვილათ აყვანის წესები

ა. ქ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ცენტრ. აღმ. კომიტეტებს ქორწინების, ოჯახის და მეურვეობის შესახებ არსებულ კანონების კოდექსში შეიტანონ მუხლები, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომის მიერ საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომ ბავშვის შვილათ აყვანის წესები.

შვილათ აყვანის ყოველი ცალკე შემთხვევა დადასტურებული უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის ცაკის მიერ.

კონტრაბანდისტების გადასახლება

ა. ქ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ცენტრ. აღმ. კომ. გამოსცენ დადგენილება, რომლის ძალითაც ავტონომიურ რესპუბლიკების ცენ. აღმ. კომ., სამაზრო აღმასკომებს და ქალაქის საბჭოებს ნება მიეცე მათ გამოიტანონ დადგენილება საზღვრის მახლობელ რაიონიდან იმ მოქალაქეთა გადმოსახლების შესახებ, რომლებიც შემჩნეული იქნენ კონტრაბანდისტობაში. ასეთი დადგენილება დამტკიცებული უნდა იქნეს სათანადო ცაკის მიერ.

მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობა

ა. ქ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა აზერბეიჯანის და საქართველოს ცენტრ. აღმ. კომ. შექმნან მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის რესპუბლიკანური კომისიები.

გერმანელ კომუნისტთა კოლექტივი

გერმანიიდან საქართველოში ჩამოვიდა გერმანელი კომუნისტები რიცხვით 7 კაცი, რომლებსაც განზრახვა აქვთ საქართველოში დარჩენ საცხოვრებლად და აწარმოონ საჩვენებელი მეურნეობა.

ამ მიზნით მათმა წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა მიწადმოქმედების კომისარიატს საჭირო რაოდენობის მიწის დათმობის შესახებ.

გერმანელ კომუნისტების კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ამ მიწებზე მოაწყოს სანიმუშო მეურნეობა, პირველ რიგში მეფრინველეობა და მეფუტკრეობა.

კოლექტივი მიწების დათმობას თხოულობს ისეთ რაიონში, სადაც ხშირი ტყეა, ვინაიდან კოლექტივი ფიქრობს მეფრინველეობის საქმე აწარმოოს ახალი სისტემით.

კოლექტივის წარმომადგენლის გადმოცემით, მეფრინველეობის საქმის ახალ სისტემით წარმოება გამოიხატება შემდეგში: ფრინველების კვება ზაფხულობით იწარმოებს მხოლოდ ტყეში ბალახეულობით, რისთვისაც ფრინველების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მოხდება სპეციალური გალიებით და სხვ.

ტყესთან ახლო მეურნეობის მოწყობა კოლექტივს ესაჭიროება აგრეთვე მეფუტკრეობის სანიმუშო მეურნეობისათვის.

მიწადმოქმედების კომისარიატის მესაქონლეობის განყოფილების დახმარებით კოლექტივმა მეურნეობის მოსაწყობად აირჩია 8 ჰექტარი მიწა ბაკურიანის რაიონში ციხისჯვარის ახლო.

კოლექტივის უახლოესი ამოცანაა ჯერჯერობით მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის სანიმუშო მეურნეობის მოწყობის გარდა საკურორტო ადგილებს—ლიბანს, ბაკურიანს, ცემს, წაღვერს და სხ. კვერცხი, თაფლი და ქათმები მიაწოდოს დაკლებულ ფასებში.

ამ კოლექტივისათვის აღნიშნულ რაიონში მიწის დათმობის საკითხს ამ დღეებში განიხილავს მიწადმოქ. კომისარიატის კოლეგია.

სამრეწველო აღმშენებლობა

ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში

რამოდენიმე დღის წინად ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. ავაქოვის მეთაურობით ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში გაემგზავრა კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა დათვალიერებია ორივე მაზრაში დაწყებული ახალი წარმოებების მშენებლობა და ბუნებრივ სიმდიდრეთა დასამუშავებელი რაიონები.

კომისიამ პირველად დაათვალიერა ქალ. ახალციხის წარმოებები—ახალი ჰიდრო-ელსადგური, ხილის საშრობი ქარხნის მშენებლობა და სხვა ადგილობრივი წარმოებები. ახალციხის ჰიდრო-ელსადგური მუშაობს 1923 წლიდან. კომისიამ სცნო, რომ სადგური უნაკლოთ მუშაობს და არავითარი დაბრკოლება მის მუშაობაში მოსალოდნელი არ არის. ხილის საშრობ ქარხნის აღმშენებლობასთან გაცნობის შემდეგ კომისიამ საჭიროდ სცნო მიღებულ იქნეს ზომები, რომ შესაძლებელი გახდეს ქარხნის აღმშენებლობის დაჩქარება.

შემდეგ კომისია გაემგზავრა ქისათიბის რაიონში, სადაც სწარმოებს ე. წ. ინფუზორიული მიწის დამუშავება. ამჟამად ს. მ. უ. ს. და სამთო მრეწველობის ტრესტის წინაშე დასმულია საკითხი ინფუზორიტის გადმოზიდვის შესახებ. აღნიშნული მიწის მადანი, მიუხედავად იმისა, რომ მასზე დიდი მოთხოვნილებაა, მაინც ვერ იგზავნება ბაზარზე საკმაო რაოდენობით, რასაც აბრკოლებს აუგზოობა. სამთო ტრესტს შემუშავებული ჰქონდა გეგმა ინფუზორიტის წყლის საშუალებით გადმოზიდვის შესახებ. მადნების ადგილებიდან ახალციხის გზატკეცილამდე გაკეთებული უნდა ყოფილიყო დიდი ღარი, რომელზედაც გამოუშვებდენ მდინარის წყალს, მხოლოდ წყალს თან გამოატანდენ ინფუზორიტს. კომისიამ ადგილების დათვალიერების შემდეგ მიზანშეწონილად სცნო ინფუზორიტის გადმოზიდვა წყლის საშუალებით, რადგანაც ეს ჯერ-ერთი, უფრო იაფი დაჯდება და მეორეც თვით მადნის ღირსებაც წყალში მისი გარეცხვის შემდეგ გაუმჯობესდება.

ახალქალაქის მაზრაში კომისია გაეცნო ახალ ქალაქის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის საქმეს და სოფ. ბეჟანოში პროდუქტების გადამმუშავებელ ქარხნის აღმშენებლობას.

დაბრუნებისას კომისია გაეცნო ბორჯომის სატკეპი ქარხნის მუშაობას, სადაც ამ დღეებში შემოღებულ იქნება ორ წყებათ მუშაობა.

კომისიის წევრების აზრით, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში სამრეწველო წამოწყებათა აგება ყველგან დიდის წარმატებით მიმდინარეობს.

105.000 მანეთის ქინაქინის შემოზიდვა

გასული წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ქინა-ქინის დიდ კრიზისს, რამაც მალარიის რაიონებში გამოიწვია ავადმყოფობის გამწვავება. 1927 წლის განმავლობაში სულ მალარიასთან ბრძოლას მოხმარდა 1.100 კილოგრამი ქინა-ქინა.

წელს, რესპუბლიკის სამალარიო რაიონების უზრუნველსაყოფად ქინაქინით წინდაწინვე მიღებულ იქნა შესაფერი ზომები და ამჟამად უკვე მიღებულია ლიცენზია საქართველოსათვის 105.000 მანეთის ქინა-ქინის შესასყიდათ საზღვარგარედ.

ჯანსახკომის ფარმაცევტიულ განყოფილებაში ქინა-ქინის მომარაგების შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობეს:

— ჩვეულებრივად საქართველოსთვის ყოველწლიურად საჭიროა 6.000 კილო ქინა-ქინა. გასული წლის განმავლობაში სულ დარიგებულ იქნა 1100 კილო, რაც საკმარისი არ იყო და ამან გამოიწვია ქინა-ქინის კრიზისი. წელს კი გერმანიაში, სპეციალურად საქართველოსათვის შეკვეთილია 105.000 მან. ანუ 3.500 კილო ქინა-ქინა. გარდა ამ რაოდენობისა, გასული წლის ნარჩენებიდან წელს უკვე მიეღეთ 1.300 კილო და დამატებით, შევიძინეთ 100 კილო. ქინა-ქინის მთელი მარაგი განაწილებულია მაზრებს შორის, ისე რომ გაზაფხულის განმავლობაში მთელი რესპუბლიკა სავსებით უზრუნველყოფილია აღნიშნული წამლით.

ქინა-ქინის დანარჩენ პარტიებს მივიღებთ თანდათანობით ზაფხულის განმავლობაში.

ხელოვნება

კამერული თეატრი

„ჟიროფლე-ჟიროფლია“

მოქმედება სწარმოებს ესპანეთში. დონ ბოლერო ათხოვებს ორ თავის ტყუპ ქალს ჟიროფლესა და ჟიროფლიას და თავის ცოლის ავრორას ხელმძღვანელობით ემზადება საქორწინო სადილისათვის. მოდის ჟიროფლეს საქმრო მარასკინი. მეორე საქმროს მებრძოლ მავრ მურზუკს აგვიანდება, მარასკინი უარზეა დაუცადოს მურზუკს, თუმცა მშობლებს ძლიერ უნდათ ერთი სადილით ორი ქორწილი გადაიხადონ. მაგრამ ამაოთ. მარასკინს მიჰყავს ცოლად ჟიროფლე. უბედურება თავს ესხმის მათ ოჯახს: საშინელმა პირატებმა“ მოიტაცეს მურზუკის საცოლე ჟიროფლია. მთელი ოჯახი პანიკამ მოიცო: ყველას ეშინია სასტიკი მურზუკის. გამოსავალი იპოვეს: ჟიროფლეს ძლიერ ჰგავს ჟიროფლიას: მურზუკს შესთავაზეს მარასკინის ცოლი, მურზუკი დაკმაყოფილდა; მარასკინი ჯერ გაკვირვებაშია, ის თითქოს თანხმდება ასეთ ტაქტიკურ კომბინაციაზე, მაგრამ შემდეგ კი თხოულობს თავის ცოლს უკანვე. მოსალოდნელია სკანდალი. მაგრამ ბედნიერ შემთხვევამ იხსნა ისინი სკანდალისაგან; ადმირალ მატამაროსმა დაამარცხა პირატები და დაუბრუნა ჟიროფლია თავის მშობლებს და მკაცრ მავრს კი თავისი საცოლე.

ამ დადგმაში (ა. ტაიროვის) ყურადღებას იპყრობს სცენის მორთულობის გასაოცარი სიმარტივე. სცენაზე მხოლოდ ერთი კედელია, რომელიც გამოყენებულია ოთახებათ, პირატების სადგომათ და მურზუკის სამოგზაურო ხიდათ. ღირსება ამ სიმარტივესი იმაშია, რომ თეატრული ილლუზია აქ სავსებით შენარჩუნებულია. კოსტიუმები — გ. იაკულოვის ესკიზებით — მეტის მეტად დამახასიათებელი და სტილიურია. ღირსება ამ ოპერეტის იმაშია, რომ მასში არც პორნოგრაფიასა და არც ვულგარულ ჟესტებს ადგილი არ აქვს: ოპერეტა თავიდან ბოლომდის ადვილი მოსასმენია (წინააღმდეგ „სიროკო“-სი): ის იწვევს გულწრფელ სიცილს მაყურებელში: აქტიორები აქ მღერიან, ცეკვავენ, აკრობატულ ვარჯიშობას აწარმოებენ: მთელი სცენა გასულდგმულებულია ცოცხალი მოძრაობით: პირატების აკრობატული ტრიუკები, მავრების ნახტომები, პირუეტები და მრ. სხვა — აი შინაარსი ამ მოძრაობისა; ყველა ეს გასაოცარ რიტმიულ თანხმობაშია მოცემული, რის გამოც მთლიანათ მოძრაობისაგან იქმნება მუსიკალური სიმფონიის შთაბეჭდილება.

ამ დადგმას იმ მხრივ აქვს გამართლება, რომ ის იწვევს მაყურებელში ჯანსაღ სიცილს. ღრმა ემოციებთან ერთად, მაყურებელი სიცილშიაც ჰგრძნობს საჭიროებას: სიცილი ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია მაყურებლის აღზრდის. მას აქვს არა მარტო ესთეტიური, არამედ უაღრესად ღრმა ბიოლოგიური მნიშვნელობაც. ყოველ სიცილს გამართლება აქვს, თუ მას, რასაკვირველია, არა აქვს ვულგარული მოტივაცია. „ჟიროფლე-ჟიროფლიაში“ სიცილის სიწმინდე ბოლომდის არის დაცული, ამიტომაც სავსებით მართალი იყო ა. ლუნაჩარსკი, რომელსაც განაცხადა, რომ „არა თუ არ შეიძლება პურიტანულათ მოვეპყრათ „ჟიროფლე-ჟიროფლიას“ მიმართ, არამედ პირიქით სავსებით ყოველმხრივ უნდა მივესალმოთ მას, როგორც ჯანსაღ, კომიკურ სპექტაკლს“.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე „პურიტანიზმი“ რელიგიოზური ასკეტიზმის მეორე გამოცემაა.

შ. დ.

სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში

კონსერვატორიის სიმებიან კვარტეტის 1-ლი საჩვენებელი. საღამო

სიმებიან ჯგუფში უმთავრეს დასაკრავ ინსტრუმენტებად ჩაითვლება სამნაირ სიდიდის ქაიერები: ვიოლინო, დაბალი ვიოლინო ანუ ალტი და ვიოლონჩელო. ეს ინსტრუმენტები დანაწილებულია ოთხ ხმად ისე, რომ პირველი და მეორე ხმა ეკუთვნის ორ ვიოლინოს, მესამე ალტს, ბანი კი ვიოლონჩელს. ეს ინსტრუმენტები შეადგენენ ოთხხმოვან ჯგუფს, რომელსაც ეწოდება სიმებიანი კვარტეტი. ვინაიდან კვარტეტში შესულ ინსტრუმენტებისათვის ყოველგვარ ტექნიკურ სიძნელეთა დაძლევა უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ინსტრუმენტებისათვის და მეორე მხრივ ყოველნაირი მუსიკალური თხზულება ოთხ ხმად შეკრულებული სტოვებს სრულიად მთლიან შთაბეჭდილებას, კვარტეტისათვის თავიდანვე არსებობდა სპეციალური მუსიკალური ლიტერატურა, რომელიც უფრო გავრცელდა და გამშვენიერდა მუსიკის კლასიკური ხანაში. ამ ლიტერატურის გამოყენება საქართველოში არ შეეძლოთ, ვინაიდან ჩამორჩენილი ვიყავით ამ დარგში მეზობლებიდან. საბჭოთა რუსეთში და საბჭოთა სომხეთში არსებობენ შემდგარი კარგ მუსიკოსებისაგან კვარტეტები.

ამიტომ ა. წ. 3 მაისს შემდგარი საჩვენებელი საღამო ფრიად მნიშვნელოვანია ქართული მუსიკის ისტორიაში, ის ჩაითვლება პირველი ქართული კვარტეტის დაარსების დღეთ.

კვარტეტის შემადგენლობა ასეთია: პირველი და მეორე ვიოლინო—შოტაშვილი და ძიძიშვილი, ალტი—იოშვილი, ვიოლონჩელი—თაქთაქიშვილი. ტექნიკური და საერთო მუსიკალური განვითარება, რომელიც გვაჩვენეს ამ მუსიკოსებმა, ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ქართულ კვარტეტის მხატვრული მომავალი უეჭველია, თუ სახალხო განათლების კომისარიატი მიაქცევს ამ კვარტეტს ჯეროვან ყურადღებას.

კვარტეტის პირველი გამოსვლის პროგრამა შეიცავდა ორ განყოფილებას, რომელთა შორის მეორე მოგვეჩვენა უფრო უკეთესად დამუშავებულად, ვიდრე პირველი. ასეთი უთანასწორობა ადვილად აიხსნება იმ გარემოებით, რომ კვარტეტი მუშაობს მხოლოდ სამი თვეა, და მუსიკოსების მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა ინდივიდუალურ თვისებათა შეგუებისათვის—ეს ვადა საკმარისად ვერ ჩაითვლება. კომპოზიტორ დ. არაყიშვილის პრელიუდია და ფუგა, რომელთა შორის ფუგა არის ფრიად ოსტატურად და საინტერესოდ დამუშავებული, ტექნიკურად დიდ სიძნელეებს შეიცავენ. აქ დინამიური გაქანების ტალღები უნდა მიმდინარეობდენ ინსტრუმენტებში სხვადასხვანაირად და არ უნდა ხდებოდეს მელოდიურ კვანძებში ერთნაირ ხმოვანების შეგუება. ტექნიკურად კვარტეტმა მშვენივრად დასძლია ამ ნაწარმოების სიძნელეები, მაგრამ ზემოხსენებულ შეგუებას ზოგიერთ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ძალიან კარგად იყო შესრულებული ახალგაზრდა კომპოზიტორ ი. ტუსკიას „ანდანტე“ ქართული მოდულიაციების (ჰარმონიულ წყობათა დამახასიათებელი შეცვლა) გატარებით, „გავოტი“—ნაწყვეტი თანამედროვე მუსიკოსის, ს. პროკოფიევის „კლასიკური“ სიმფონიიდან—თავისი შინაარსით მოგვეჩვენა ამ კომპოზიტორისათვის სუსტ ნაწარმოებათ. მელოდიური ხაზი არავითარ ორიგინალობას არ შეიცავს. კომპოზიტორი ცდილობს მის განახლებას ჰარმონიულ წყობათა მოულოდნელ მოხვეულობით, ეს კი სტოვებს ნაძალადევ ხელოვნების შთაბეჭდილებას. სრულებით სხვა შთაბეჭდილებას სტოვებს თავის შესანიშნავ თემატიურ და ბგერათა მსვლელობის ორიგინალობით, ხმების დანაწილებით და ჰარმონიულ წყობათა მხატვრულ შეზავებით, ტექნიკურად ძნელი და საშიში, კვარტეტი ბლიუმენფელდისა, აშენებული მე-4 ბგერის მაჟორის წყობაზე. მშვენიერი შთაბეჭდილება, რომელსაც სტოვებს ქართული კვარტეტი როგორც ამ ნაწარმოების, ისე კლასიკოსის ჰაიდნის მეორე ბგერის მაჟორის წყობაზე აშენებული კვარტეტის შესრულებით—საკმარისია იმის მტკიცებისათვის, რომ კვარტეტის შემადგენლობას მომავალი აქვს. თავის ხელმძღვანელთან შეზრდილობისთან ერთად—კვარტეტს აღნიშნულ თხზულებათა დამზადებისათვის ფრიად მცირე დრო, მეტად ნაყოფიერად გამოუყენებია.

კოტე მეღვინეთ უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

სათეატრო თათბირი

განსახკომის სახელოვნო დაწესებულებათა მთავარმმართველობა ორშაბათს, 7 მაისს, საღამოს 7 საათზე ხელოვნების სასახლეში იწვევს სათეატრო თათბირს.

თათბირის დღის წესრიგშია: ამხ. ს. მამულიას მოხსენება—ჩვენი სათეატრო პოლიტიკა, ს. ამაღლობელი— თეატრალური კრიტიკა, შ. დადუჩავა—თანამედროვე დრამატურგიის პრობლემები, ფირალიშვილი—საკლუბო სათეატრო მუშაობა. ს. თოხაძე—თეატრის საორგანიზაციო და ადმინისტრატიული საკითხები.

დელეგატებს ბილეთების მიღება შეუძლიათ ხელოვნების განყოფილებაში.

◆ პროფკავშირის წევრებისათვის დაკლებულ ფასებში დღეს დილით კამერულ თეატრში წარმოდგენილი იქნება: „სიროკო“: საღამოს—„დღე და ღამე“.

◆ ფიზარევას სავარგებლოდ დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ოკეანეს იქით“.

◆ საბავშვო დილა. მუშათა თეატრში დღეს გაიმართება საბავშვო დილა წარმოდგენა-კონცერტით.

◆ კომკავშირელ მწერალთა წრეში. დღეს, საღ. 6 საათზე, (ხელოვნების სასახლეში პროლ. მწერ. ასოციაც. ოთახში) შესდგება კომკ. მწერ. წრის მორიგი ლიტერატურული სხდომა. დღის წესრიგშია: მასალების განხილვა ლიტ. ფურცლისათვის.

ქრონიკა

ა. ქ. პროფკავშირთა ყრილობა

ორშაბათს, 7 მაისს, საღამოს საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა მეოთხე ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს მოხსენება, ა. ქ. პროფსაბჭოს და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებები (მომხსენებლები ამხ. იაკუბოვი და ბაგირბეკოვი), ა. ქ. შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება (ამხ. იაშვილი), სოციალური დაზღვევა ამიერ-კავკასიაში (ამხ. ბანოვიჩი), მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში (ამხ. ბუკრეევი), სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები ამიერ-კავკასიაში (ამხ. ელიავა) და ა. ქ. პროფსაბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საექსკურსიო სემინარი

საქართველოს საექსკურსიო - ტურისტული ბიურო, საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან ერთად აწყობს საექსკურსიო სემინარს პროფკავშირის წევრთათვის. სემინარი მოამზადებს ექსკურსიების ხელმძღვანელთ, რომელნიც თავიანთ წარმოება-დაწესებულებებში მოაწყობენ ექსკურსიებს. სემინარში იმეცადინებს ორი ჯგუფი—რუსული და ქართული. თითოეულ ჯგუფში იმეცადინებს ორმოც-ორმოცი კაცი. მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 8 მაისიდან საქ. პროფსაბჭოს ახალ დარბაზში.

წყალტუბო

1 მაისს წყალტუბოში გაიხსნა საკურორტო სეზონი.

წყალტუბო შარშანდელთან შედარებით წელს უკეთესად მოწყობილია. კურორტზე მოწყობილია ტალახის ახალი აბაზანები, გახსნილია ახალი კოოპერატიული სასადილო, კინო და ახალი სასტუმრო.

შეკეთებულია გზატკეცილი ქუთაისიდან წყალტუბომდე. მიმოსვლა სწარმოებს ავტომობილებით.

სისხლის სამართლის კურსები

10 მაისიდან ცენტრალურ სისხლის სამართლის მილიციასთან გაიხსნება სისხლის სამართლის ტექნიკის შემსწავლელი კურსები—თბილისის სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელთა გადასამზადებლად.

მაძიებელთა მომზადება

ამას წინათ ცენტრალურ სისხლის სამართლის მილიციასთან გაიხსნა დაქტილოსკოპიური (დაქტილოსკოპია არის მოძღვრება თითების ანაბეჭდების საშუალებით ბოროტმოქმედების გამოცნობის შესახებ) მოკლევადიანი კურსები.

გუშინ მოხდა კურსების მსმენელთა გამოშვება.

კურსები დაამთავრა: გრიგოლ ჰინჭარაძემ (ქუთაისი), არშაკ სარქისოვმა (ბორჩალო), ვლადიმერ ხუციშვილმა (დუშეთი), თეოფილე თოდრაძემ (ოზურგეთი), კონსტანტინე გაბილიამ (აფხაზეთი), ვალიკო ელენტმა (სიღნაღი), მამიკონ მურადოვმა (ახალციხე), ნიკოლოზ კაველაძემ (შორაპანი), მიხეილ მარქაროვმა (თელავი), ბორის გაზუნიამ (სენაკი), თედორე ჩილაძემ (გორი) და გიორგი შავდიამ (სენაკი).

ექსკურსია ლისის ტბაზე

საქ. საექსკურსიო-ტურისტული ბიურო დღეს, 6 მაისს, აწყობს მორიგ ექსკურსიას ლისის ტბაზე. ექსკურსანტებს ხელმძღვანელობას გაუწევს საქ. საექსკურსიო ტურისტული ბიუროს გამგე ამხ. გ. გოთიაძე. ექსკურსიებში მონაწილეობას მიიღებს 50 კაცამდე. ექსკურსიები უნდა შეიკრიბონ დილის 8 საათზე განათლების სახ. კომისარიატის შენობის წინ.

კირის ქარხანა

ქუთაისიდან მიღებული ცნობით, დამთავრდა მოწამეთის კირის ქარხნის აგება. ქარხნის საზეიმო გახსნა მოხდა 1-ლ მაისს.

ქარხნის აგება დაჯდა 300.000 მანეთი. ქარხანა ყოველწლიურად გადაამუშავებს 800.000 ფუთ კირს.

თბ. აღმასკომში

◆ გარეუბნებში წყალსადენის გასაყვანათ წყალსადენის სამმართველომ ლითონ-ტრესტს შეუკვეთა 10.000 მან. მილები.

◆ მიწათმოწყობა თბილისის მაზრაში უკვე დაიწყო. მაზრაში მიწათმოწყობის ჩასატარებლად თბილისის აღმასკომი წელს დახარჯავს 50 ათას მანეთს.

◆ ნიაღვრებისაგან ქალაქის დასაცავად აღმასკომმა გადასდო 11 ათასი მანეთი.

◆ წითელი ტყე. სატყეო სექცია კოჯორსა და კიკეთში შეუდგა წითელი ჯიშის ტყის გაშენებას.

◆ მანგლისის კეთილმოწყობა. მანგლისის ყველა აგარაკებში წელს გაყვანილი იქნება წყალსადენი და ელექტრონი.

მიწსახკომში

◆ აგრონომიული წრეები. [illegible] აგრონომიულ ორგანიზაციებს დაევალათ თავიანთ რაიონებში მოაწყონ გლეხთა აგრონომიული წრეები.

◆ მესაქონლეობის საქმის გასაფართოებლად მიწსახკომმა გადასწყვიტა მთელ საქართველოში მოაწყოს საქონლის სანიმუშო მოვლა-კვება.

◆ მევენახეთა არტელები. თელავის მაზრაში დაარსდა მევენახეთა არტელები „რქა-წითელი“ და „კაცხნარი“.

◆ საჩვენებელი მეურნეობა. მიწსახკომმა გადასწყვიტა თემებში მოაწყოს ადგილობრივ გავრცელებულ მეურნეობის საჩვენებელი ნაკვეთები.

◆ მიწათმოქმედების კომისართა თათბირი. საქ. მიწათმოქ. კომისარიატის ცნობით, მიწათმოქ. კომისართა საკავშირო თათბირი, რომელიც დანიშნული იყო 15 მაისს ხარკოვში გადაიდო შემოდგომამდე.

პროფკავშირებში

◆ სესხი. ჭიათურის მუშათა კოოპერატივს სამთომადნო კავშირმა მუშაობის გასაფართოებლად გადაუგზავნა 10.000 გრძელვადიანი სესხის სახით.

◆ მწყემსთა შორის. კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად მიწა-ტყის მუშაკთა კავშირმა მაზრებში მიავლინა ინსტრუქტორები.

◆ დელეგატთა ინსტიტუტი. პროფსაბჭომ შეუდგა წარმოებებში დელეგატთა ახალი ინსტიტუტის მოწყობას.

საქ. უნივერსიტეტში

◆ თანახმად რექტორატის დადგენილებისა ა. წ. 10 მაისიდან 10 ივნისამდე ჩატარდება ყველა სტუდენტების რეგისტრაცია საბარათო წიგნზე გადასვლის გამო, რისთვისაც ყოველი სტუდენტი მოვალეა პირადათ გამოცხადდეს ფაკულტეტში და მისცეს აღრიცხვისათვის საჭირო ცნობები, სტუდენტები, რომლებიც არ გაივლიან რეგისტრაციას აღნიშნულ ვადებში, მექანიკურად გამოირიცხებიან უნივერსიტეტიდან.

„მნათობი“ № 4

გამოვიდა და იყიდება ჟურნალ „მნათობი“-ს მორიგი № 4. ჟურნალის ეს ნომერი მთლიანად მიძღვნილია მაქსიმ გორკისადმი.

ჟურნალში მოთავსებულია მ. გორკის შემდეგი მხატვრული ნაწარმოები: არტამონოვების საქმე (თარგ. ლ. ქიაჩელის), ქარიშხალი (თარგ. ნ. ზომლეთელის), ფერია (თარგ. ვ. რუხაძის), წიგნიდან „მოგონებანი“ (თარგ. დ. შენგელაიასი). [illegible] „გორკი“ (ლექსი), ვ. ბახტაძე—კრიტიკული შენიშვნები: მ. გორკი. გრიგოლ რობაქიძე—გორკის თეალი, ს. ამაღლობელი—მაქსიმ გორკი ადამიანის ძიებაში. ვ. რუხაძე—მაქსიმ გორკი, გიორგი ლეონიძე—ივანე მაჩაბელი (გაგრძელება), ფილიპე მახარაძე—ქართული მწერლები და კულტურული რევოლიუცია; ქართველი მწერლები—მეორე ყრილობის შესახებ; ბიბლიოგრაფია.

შემთხვევები

ქურდობა

გუშინ, დღისით გაქურდეს მე-18 შრომის სკოლა (მელიქიშვილის ქუჩა № 2); წაიღეს 500 მანეთის ნივთები.—გარდა ამისა, გუშინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 6 შემთხვევას.

საქონლის ქურდები

მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მოპარვისათვის თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა: სოლეკი მახმედ-ოღლი, მეიდ მამედ-ღალანჩი-ოღლი, გიულ ადიგოზალ-ოღლი და ბაირამ მამედი-ოღლი.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა: მორდეხ ისაკისძე ხაიმაშვილი, იოსებ სტეფანისძე ძიგურაშვილი, რომან გიგოლსძე ავარამაძე, ალექსანდრე ესტატესძე თარხნიშვილი, ჰაიკ ეგორისძე მანუკოვი, ისმაილ პოლოსისძე ოსიპოვი და ვლადიმერ ვასილისძე ნიკოლაძე.

ხსენებულ პირებს ბრალდებათ ბინების და მაღაზიების გაქურდვა.

1905 წელში დაბადებულთა სამთვიანი შეკრება

15 მაისიდან იწყება 1905 წელში დაბადებულთა სამთვიანი შეკრება ტერიტორიალურ ნაწილებში.

ამის გამო, საქ. პროფკავშირთა საბჭომ საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა ცირკულიარით, რომელშიაც ნათქვამია:

სამხედრო ნაწილების შედგენის ტერიტორიალური სისტემა არის საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი და მიღწევა, რომელიც საშუალებას აძლევს მშრომელთ მოკლე დროში მათთვის ჩვეულებრივ პირობებში შეიძინონ საჭირო სამხედრო ცოდნა, რათა დაიცვან საბჭოების ქვეყანა იმ თავდასხმისაგან, რომელსაც სისტემატიურად ამზადებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები.

აღნიშნულ შეკრების წარმატებით ჩატარების მიზნით, საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებს გამოიყენონ თავიანთი მიმდინარე საერთო კრებები ტერიტორიალური სისტემის პრაქტიკული მნიშვნელობისა, ამოცანებისა და მიზნების განსამარტავად და მაქსიმალურად შეუწყონ ხელი სამხედრო უწყებას ტერიტორიალური შეკრების ჩასატარებელ მუშაობაში.

კერძოდ, საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებს ევალებათ აღრიცხვაზე აიყვანონ მათ მიერ გაერთიანებული 1905 წელში დაბადებული ყველა მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც ჩარიცხული არიან ტერიტორიალურ ნაწილებში და მიიღონ ზომები მათი თავის დროზე გამოცხადებისათვის ტერიტორიალურ შეკრებაზე.

„ზაკსოიუზის“ რწმუნებულთა ყრილობა

მესამე სხდომა

4 მაისის საღამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი ამხ. ბუკრეევის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 26 დელეგატმა.

საბოლოო სიტყვების შემდეგ, ყრილობამ ზოგადად შეაფასა „ზაკსოიუზი“-ს გამგეობის და სარევიზიო კომისიის საქმიანობა 1925—26 და 1926—27 წლის პერიოდში და იგი დამაკმაყოფილებლად სცნო, გამგეობის მიერ აღებული მუშაობის გეზი ცნობილ იქნა სწორად.

დეტალურ რეზოლიუციის შესამუშავებლად ყრილობამ აირჩია სპეციალური კომისია ოცი კაცის შემადგენლობით.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა „ზაკსოიუზი“-ს გამგეობის წევრის ამხ. გ. პიჩიკიანის მოხსენება ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის საპაიო კაპიტალის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ 1924—25 წელს მიექცა ყურადღება ა.-კ. სამომხმარებლო კოპერაციაში საკუთარ თანხების სიმცირეს და საჭიროდ იქნა ცნობილი მათი გაძლიერება საპაიო თანხების გადიდების გზით.

ამის გამო „ზაკსოიუზი“-ს გამგეობამ წამოაყენა საკითხი საპაიო გადასახადის გადიდების შესახებ, მაგრამ მას კოოპერატიული ორგანიზაციები მაშინ არ გამოეხმაურენ და ეს [illegible].

მომხსენებელი აღნიშნავს, თუ როგორია მდგომარეობა საპაიო გადასახადის მხრივ ცალკე კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

ირკვევა, რომ სასოფლო ორგანიზაციებში 1926 წ. 1 იანვრისათვის საშუალო საპაიო გამოსაღები თითოეულ წევრზე უდრიდა 3 მ. 39 კაპ., 1927 წ. 1 იანვრისათვის — 3 მან. 85 კაპ. და 1928 წ. პირველ იანვრისათვის—4 მ. 14 კაპ.

სამაზრო-საქალაქო ქსელში ეს გამოსაღები 1926 წლისათვის უდრიდა 2 მან. 87 კაპ., 1927 წ.—3 მ. 88 კ. და 1928 წ.—4 მ. 27 კაპ.

ცენტრალური მუშათა კოოპერატივებში—1928 წლის 1 იანვრისათვის საშუალო საპაიო გამოსაღები თითოეულ წევრზე გაიზარდა 6 მ. 98 კ.

სოფლის კოოპერატივების საკუთარ თანხებში 1927 წელს საპაიო თანხები შეადგენდენ ერთ მეოთხედს, სამაზრო ქალაქებში—16 პროც. და ცენტრალურ მუშათა კოოპერატივებში—19—20 პროცენტს.

მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია საპაიო თანხის გადიდება 10 მანეთამდე—სოფლის კოოპერატივებში, 15 მანეთამდე სამაზრო ქალაქებში და 20 მანეთამდე ცენტრ. მუშათა კოოპერატივებში.

შემდეგ ყრილობა იხილავს „ზაკსოიუზი“-ს წესდებას და შეაქვს მასში ზოგიერთი ცვლილებები.

ყრილობამ „ზაკსოიუზი“-ს წევრებად დაამტკიცა: ბაქოს ცენტრალური მუშათა კოოპერატივი, თბილისის მუშკოოპი, ერევნის მუშკოოპი და კასპის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოება.

დასასრულ, ყრილობამ მოისმინა „ზაკსოიუზი“-ს ინსტრუქტორ კარატოვის ინფორმაციული მოხსენება ხუთწლიან გეგმების შედგენის წესის და მეთოდის შესახებ.

საქ. მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური გამგეობა
და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიურო
იუწყება, რომ ბეჭდვითი სიტყვის დღის გამო
საქართვ. მბეჭდავთა კავშირის ახალ მუშათა კლუბში
6 მაისს, საღამოს 6 საათზე შესდგება
ამხ. ფილიპე მახარაძის
მოხსენება
ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ

მოხსენებაზე მოწვეულია დასახელებულ კავშირის აქტივი, ბეჭდვითი სიტყვის ყველა მუშაკნი, მუშკორები, სამხკორები და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის
ბიუროს მდივანი გილუშიანი

როგორ უნდა სწარმოებდეს მხატვრული მუშაობა სოფლად

როგორია მხატვრული მუშაობის მდგომარეობა სოფლად და რა ნაკლი ახასიათებს მას! ასეთია ერთი იმ საკითხთაგანი, რომელსაც უნდა გასცეს პასუხი განათლების სახალხო კომისარიატთან მხატვრული მუშაობის შესახებ შეკრებილმა თათბირმა.

მთავარ ნაკლს ამ დარგში წარმოადგენს ის, რომ ხშირათ არ ესმით ხელოვნების მნიშვნელობა და ამოცანები სოფლად და ზოგჯერ აბუჩადაც აქვთ აგდებული ეს საკითხი. ამასთან ერთად ისიც, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირის ორგანიზაციები არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევენ მხატვრულ მუშაობას. უნდა ითქვას რომ ამაში საკმაო დანაშაული მიუძღვის ცენტრსაც, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ამ მუშაობას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ პოლიტგანათლების ბიუჯეტში არაა გათვალისწინებული ერთი კაპეიკიც მხატვრულ მუშაობისათვის და ერთად-ერთი მუშაკი ამ დარგში თითქოს არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფება (ამავე დროს კი რ. ს. ფ. ს. რ-ში უკვე 4 წელიწადია რაც არსებობს პოლენოვის სახელობის „ხელოვნების სახლი სოფლად“, სამაზრო პოლიტგანებს ჰყავთ სამხატვრო ინსტრუქტორები, განზრახულია ასეთები იყოლიონ თემებშიაც, 4 წელიწადია გამოდის ჟურნალი „დერევენსკი ტეატრ“-ი და სხ.).

საქართველოს მხოლოდ ორ თეატრზე—აკადემიურ და საოპერო თეატრზე (რომლებიც ყოველთვის არ აკმაყოფილებენ მუშათა მასების მოთხოვნილებას), რომლებსაც წელიწადში დაახლოვებით 300.000 კაცი ნახულობს, იხარჯება 600.000 მან., ხოლო სოფლის თეატრზე, რომელიც ავად თუ კარგად (რა თქმა უნდა მეტწილად ავად) წელიწადში 500—600 ათასი მაყურებლის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები ერთ კაპეიკსაც არ ხარჯავენ.

სოფლის მხატვრული მუშაობის (განსაკუთრებით თეატრალური მუშაობის) სავალალო ნივთიერი მდგომარეობის გამო, ასეთი სურათი გვაქვს: სცენას არავითარი მოწყობილობა არ გააჩნია, არაა დეკორაციები, მაგალითად, ტყის დეკორაციების ნაცვლად სცენაზე დგამენ ნამდვილ ხეებს, კოსტიუმებს დაეძებენ სოფელში ანდა „მახიობები“ „ნატურალურ კოსტიუმით“ გამოდიან, გრიმისათვის (წვერ-ულვაშისათვის) ხმარობენ ძუას ან ჩვარს და სახეზე სადურგლო წებოთი იწებებენ, პუდრის მაგიერ ხმარობენ ცარცს, სალებავების მაგიერ—აგურს და სხ. რა თქმა უნდა, ასეთი სამწუხარო მდგომარეობა, ნაწილობრივ აიხსნება იმ გარემოებით, რომ ადგილობრივი მუშაკები ვერ იჩენენ საკმაო აქტივობას და ინიციატივას, თავის მუშაობას უყურებენ „კაზიონურად“, არა აქვთ საკმაო მხატვრული გამოცდილება, ცოტას მუშაობენ თავის თავზე, საკუთარი გამოცდილების გაღრმავება — გაფართოებაზე.

ვინაიდან სამაზრო და ადგილობრივი ორგანოები თითქმის არავითარ ხელმძღვანელობას და დახმარებას არ უწევენ მხატვრულ მუშაობას, ამიტომ ეს მუშაობა მეტად სუსტადაა განვითარებული. ყველაზე უფრო გავრცელებულია თეატრალურ - დრამატიული მუშაობა. სხვა ფორმებს — მომღერალთა გუნდებს, მუსიკალურ-საორკესტრო და სახვით-სალიტერატურო მუშაობას თითქმის არა აქვს ადგილი. ამავე დროს კი ჩვენში დიდი შესაძლებლობაა ხელოვნების ყველა ამ სახეების განსავითარებლად. მაგალითად ავიღოთ მომღერალთა გუნდების მოწყობის საქმე. სოფელში მომღერლების გამონახვა ყოველთვის შეიძლება, რადგან ჩვენში სიმღერა დიდათაა გავრცელებული, ხოლო ახალი, რევოლიუციონური სიმღერები სოფელს აუცილებლად ესაჭიროება. ჩვენ პროლეტმწერლებს დღემდე არ შეუწუხებიათ თავი შესაფერ სასიმღერო რეპერტუარის შესაქმნელად, თუნდაც პოპულიარულ ხალხურ სიმღერების მიბაძვით. არც კომკავშირს უზრუნია ამის შესახებ. ამავე დროს მოსკოვის კომკავშირლებმა უკვე მეთერთმეტეჯერ გამოსცეს „სიმღერების კრებული სოფლისათვის“. ხშირად ჩვენს სოფელში ვრცელდება ყოვლად უმსგავსო სიმღერები, როგორიცაა, მაგალითად, „ხიმონიკა გოცაძე“, „ორი ქოთანი ვიყიდე“ და სხვა.

სათანადო პარტიულ - საბჭოთა კონტროლისა და ხელმძღვანელობის უქონლობის გამო იქმნება პოლიტიკურ - იდეოლოგიურ გადამახინჯების შესაძლებლობა. მომღერალთა გუნდებსა და დრამატიულ წრეებს ხშირად აწყობენ ამ საქმის „მოყვარულნი“ ადგილობრივ პოლიტ-საგანმანათლებლო ცენტრის, სოფლის სამკითხველოსა და პარტიულ - კომკავშირის უჯრედის ხელმძღვანელობის გარეშე. ამ წრეებსა და გუნდებს ხელმძღვანელობას უწევენ მღვდლებიც, ბობოლა გლეხობისა და აზნაურების შვილები, მენშევიკური და ნაციონალისტური ელემენტები, რომლებიც ცდილობენ „თავისი“ საქმის გაკეთებას „კულტურულ ფრონტზე“. ქალაქებიდან ბევრმა უმუშევარმა მეწვრილმა მიაშურა სოფელს და იქ ეწევა „კულტურულ მუშაობას“. რადგან სოფლისათვის გამოსადეგი პიესები ძალიან ცოტაა მოიპოვება, ამიტომ დანაკლისს ავსებს ადგილობრივი შემოქმედება. ამ შემთხვევაში ფართო ასპარეზი ეშლება ანტი-საბჭოთა ელემენტების იდეოლოგიურ მუშაობას. სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს სრული ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ, მაგრამ ზოგიერთი ფაქტები გვაკარნახებს, რომ ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. მაგალითად სიღნაღის, ლეჩხუმის და დუშეთის მაზრებში სდგამენ სარწმუნოებრივ-მისტიური ხასიათის პიესებს, როგორიც სხვადასხვა ავტორების (მაგ. თაგუნას) წინად გამოცემულ, ისე ადგილობრივ ნაწარმოებს.

ისეთი ადგილობრივი პიესები, რომლებიც გამოხატავდენ გლეხების ყოფა-ცხოვრებას, განწყობილებას და მოთხოვნილებებს, ჩვენ არ მოგვეპოვება, ვინაიდან ადგილობრივი პიესების ავტორები მეტ წილად გამოსულია წვრილ-ბურჟუაზიულ-მეშჩანურ - აზნაურულ წრიდან, რომლებიც არ იცნობენ და არც სურთ იცნობდენ თანამედროვე საბჭოთა სოფელს, ამ „არტისტებისთვის“ წარმოდგენა არის დროის ტარება და ხშირად ფულის შოვნის საშუალება, ისინი არ ფიქრობენ და არც შეუძლიათ დაეხმარონ გლეხებს იმ საკითხების გარკვევაში, რომლებიც მათ აღელვებს.

მხატვრული და, უმთავრესად დრამატიული მუშაობის შემდეგმ ნაკლს წარმოადგენს: ა) სოფლისათვის გამოსადეგ პიესების დიდი სიმცირე. არსებული პიესები იდეოლოგიურად მიუღებელი და მავნებელია, ომის წინა დროის გამოცემანი, როგორიც, მაგალითად—„ადვოკატი მელაძე“, „ტომოთეს ლეკვი“—საძაგელი, სულელური და მეშჩანურია ან და ტექნიკურად გამოუსადეგი სოფლის სცენისათვის.

ბ) არაა საკმაო მომზადება. (მეტად ხშირი დადგმები—მუხრანელთა სარეკორდო ციფრი —9 დადგმა კვირაში). სუსტი მომზადება—თამაში 2—3 რეპეტიციის შემდეგ და სუფლიორის ისეთი ყვირილი, რომელიც მთელ დარბაზს ესმის,—ჩვეულებრივი მოვლენაა, ყოველივე ეს პიესას აძლევს ხალტურის ხასიათს, რასაც მაყურებლის გრძნობის პირდაპირი შეურაცხყოფაა. ასეთი ხალტურა გლეხობაში, რომლებსაც ცოტად თუ ბევრად განვითარებული აქვს მხატვრული და კულტურული მოთხოვნილებები, ბოიკოტს იწვევს.

გ) აღებულია ცალმხრივი ორიენტაცია ახალგაზრდობაზე—დაუკმაყოფილებელი რჩება, როგორც მოზარდი მოსახლეობის, ისე ბავშვების მოთხოვნილებები, განსაკუთრებით გლეხი-ქალები ძალიან ცოტაა ჩაბმული თვით წრეების მუშაობაში.

დ) არაა სოფლად საკმაოდ კვალიფიცირებული ხელმძღვანელები მხატვრული მუშაობის დარგში.

ე) მხატვრული მუშაობა მოწყვეტილია დანარჩენ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას.

არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამხატვრო წრეები და მათ შორის დრამწრეც წარმოადგენს აქტიურ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს არა საკუთარი სიამოვნებისათვის, არამედ მთელი სოფლისათვის, ის იმავე მიმართულებით მუშაობს, რა მიმართულებითაც მოქმედებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გზა სამხატვრო წრიდან მიდის სოფლის სამკითხველოსაკენ და საზოგადოებრივ მუშაობისაკენ, სამხატვრო წრეების ხელმძღვანელები, სამწუხაროდ ხშირად ივიწყებენ, რომ მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრს წარმოადგენს სოფლის სამკითხველო, და სამკითხველოების გამგეებს ყოველთვის არ შეწევთ ძალა „დაიმორჩილონ“ სეპარატისტები.

ვ) სრულიად არაა მეთოდიური ლიტერატურა (მხატვრული მუშაობის ამოცანებისა და ფორმების შესახებ, პრაქტიკული ხასიათის რჩევები, თუ როგორ უნდა მოეწყოს წარმოდგენები სოფლად, როგორ უნდა მოეწყოს სცენა, დეკორაციები, როგორ უნდა შესრულდეს თამაში და სხ.).

ზ) არ ხდება მუშაობის აღრიცხვა და ადგილებს არა აქვთ გამოცდილება. თუ რაიმე კეთდება მხატვრული მუშაობის დარგში, ის რჩება აღურიცხავად, იშვიათად მოხდება ამ მუშაობის ანგარიში გაზეთის ფურცლებზე, ცენტრის განკარგულება ხომ თითქმის არასოდეს არ აღწევს სოფლამდე, კიდევ მეტი—თემები და რაიონები ერთმანეთს არ უზიარებენ თავის გამოცდილებას, მით უფრო მაზრები.

ყველა ზემოჩამოთვლილი უარყოფით მხარეების გამო მხატვრული მუშაობა ძალიან ცოტათი აკმაყოფილებს გლეხებს და ისინი უკმაყოფილონი არიან ქალაქითა და ხელისუფლებით: როცა დელეგატ-გლეხებს ოქტომბრის ათი წლის თავზე აჩვენეს ქალაქის დადგმები, ისინი ამბობდნენ: „დიდი მადლობელი ვართ იმისათვის, რაც გვაჩვენეთ, მაგრამ როდის გვექნება ჩვენ სოფელში რაიმე ამის მსგავსი“...

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიაქცია ყურადღება მხატვრულ მუშაობის მძიმე მდგომარეობას სოფლად და დასახა მთელი რიგი ღონისძიებები. ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა შესცვალონ თავისი გულგრილი დამოკიდებულება მხატვრულ მუშაობისადმი, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მნიშვნელოვან დარგისადმი, სერიოზულად უნდა შეისწავლონ ეს საკითხები, გაეცნონ ამ მუშაობის მეთოდებს, ამოცანებსა და მდგომარეობას და მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა გაუწიონ მას. მხატვრული ზეგავლენისა და აღზრდის იარაღი შეიძლება ჩვენს წინააღმდეგ შემობრუნდეს, ნაციონალიზმის გავლენის საფრთხე ჩვენში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე რუსეთში, ეს გარემოება ჩვენგან მით თხოვს მხატვრული მუშაობის ფხიზელ პარტიულ კონტროლსა და ხელმძღვანელობას, ვინაიდან ამ დარგში (განსაკუთრებით სოფლად) ყველაზე უფრო იოლია კონტრ-რევოლიუციონური იდეოლოგიის შეუმჩნევლად შეპარვა. მეორე მხრით, პარტიულ-საბჭოთა ყურადღების გაძლიერებამ გამოიხატულება უნდა ჰპოვოს მატერიალური დახმარების სახითაც. სოფლის სცენის ზემოაღნიშნული მდგომარეობა, დაუშვებელია სათემო და სამაზრო ბიუჯეტებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხარჯები სცენის მოსაწყობად, მხატვრული ლიტერატურის, პიესების შესაძენად, სამხატვრო დარგის მუშაკთა გადასამზადებლად და პროფესიონალებიდან შემდგარ სამაზრო (ან შეთანხმებით რამდენიმე მაზრის ერთად) მოძრავ თეატრალურ დასების შესაქმნელად.

ზოგიერთ მაზრებში, რომელთაც შედარებით ღონიერი ბიუჯეტი აქვთ (მაგალითად, სიღნაღი, გორი, ქუთაისი) დაქირავებულ უნდა იქნეს ერთი სამხატვრო ინსტრუქტორი.

სოფლის მხატვრული მუშაობის დაბალი ღირსება უმთავრესად აიხსნება იმით, რომ სამხატვრო წრეების ხელმძღვანელებს არა აქვთ საკმაო კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება. მაგალითად, დრამწრეების ბევრ ხელმძღვანელს არ უნახავს ქალაქის საუკეთესო დადგმები და მაშასადამე მან არ იცის რით იხელმძღვანელოს და რას მიბაძოს. მხატვრული საქმის მუშაკთა მომზადება და გადამზადება სოფლად—გადაუდებელი ამოცანაა. საჭიროა მაზრებში მოეწყოს სამხატვრო დარგის მუშაკთა ორკვირიანი და თვიანი კურსები-თათბირები, სადაც მათ მიაწვდიან ახალ მასალას, მისცემენ მეთოდიურ მითითებებს და სხ. ასეთი თათბირის მოწვევა საჭიროა რესპუბლიკანური მასშტაბითაც (სანიმუშო-საჩვენებელ სოფლის სამკითხველოების მუშაკთა თათბირი); მომავალ ახალი მუშაკების შერჩევა უნდა მოხდეს შემდეგი დაწესებულებებიდან:

ა) სამხატვრო სასწავლებლებიდან, ბ) პედაგოგიურ ტექნიკუმებიდან და ცხრაწლედებიდან პედაგოგიური განხრით, სადაც გადიან პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის კურსს და ეცნობიან სოფლის მხატვრული მუშაობის საკითხებს, გ) წითელარმიელთა კლუბის სამხატვრო წრეებიდან. შევებული წითელ არმიელები და მეთაურთა შემადგენლობა დიდ სამსახურს გაუწევენ სოფლის მხატვრული მუშაობის გამოცოცხლებას და იდეოლოგიურად გამოსწორებას. დ) ამ საქმეში გამოყენებულ უნდა იქნენ ურიცხვი ჯგუფების მოწაფეები (განსაკუთრებით კომკავშირელები), რომლებიც ზაფხულობით ბრუნდებიან სოფელში და დიდი სიცოცხლე შეაქვთ იქ—აწყობენ დრამ. წრეებს (რომლებიც ხანდახან მხოლოდ „ხუზენობით“ მუშაობენ) და სხ. ე) საჭიროა აგრეთვე შევებულებაში წასულთა გამოყენებაც, რომლებსაც შეუძლიათ დახმარების გაწევა დრამატიულ, სასიმღერო და სხვა წრეების მოწყობაში.

მაგრამ მუშაკების მომზადებისა და გადამზადების პრობლემა დაკავშირებულია სამხატვრო მუშაობის მეთოდიური ცენტრის დაარსების საკითხთან და სათანადო მეთოდიური ლიტერატურის შექმნის და გამოცემის საკითხთან. საჭიროა შეიქმნას პოლენოვსკის მაგვარი „სოფლის ხელოვნების სახლი“, ამ სახლთან უნდა არსებობდეს სახელოსნოები, სადაც უნდა დამზადდეს სოფლის სცენისათვის საჭირო სასტანდარტო ნივთები: კოსტიუმები, გრიმები, რეკვიზიტი, ბუტაფორიები, დეკორაციები და სხვ. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ან პროფ. თოიძის სტუდია ან სამხატვრო აკადემია (რომელიც ისე, როგორც კონსერვატორია, ჯერ-ჯერობით არაფერს აკეთებს ქალაქისათვის და მით უფრო სოფლისათვის) და ამ სტუდიასთან ან აკადემიასთან შეიქმნას სათანადო „სოფლად სამხატვრო მუშაობის კაბინეტი“ (პირველ ხანებში). აუცილებელია აგრეთვე სოფლისათვის პიესების სისტემატიურად გამოცემასთან ერთად (არა მარტო სოფლის თემაზე) სოფელს მივაწოდოთ ლიტერატურა სოფლად სამხატვრო მუშაობის პრაქტიკული საკითხების შესახებ, მაგ. სამხატვრო მუშაობა ზაფხულში, მომღერალთა გუნდის, მუსიკალური წრეების მუშაობა, როგორ უნდა გაიმართოს წარმოდგენა სოფლად, როგორ უნდა მოეწყოს სცენა, როგორ უნდა იქნას გამოყენებული დეკორაციები, ბუტაფორია, გრიმი, როგორ უნდა განაწილდეს როლები და სხ.

ქალაქის თეატრები (მაგ. აკადემიური) დღემდე სრულებით არ ემსახურებოდენ სოფლის თეატრებს; ჩვენ გვაქვს ოდესის თეატრების საუცხოვო მაგალითი, რომლებმაც მოაწყვეს სპეციალური დადგმა და მახლობელი სოფლებიდან ჩამოიყვანეს მუშაკები, აჩვენეს მათ როგორც წარმოდგენა, ისე სცენის ტექნიკური მოწყობილობა, პიესის გაფორმება, და შემდეგ სისტემატიური მიმოწერა ჰქონდათ ამ მუშაკებთან. აი, სწორედ ეს არის ქალაქის ამხანაგური დახმარება სოფლისადმი. კარგი იქნება ქალაქის თეატრებმა (კერძოდ მუშათა და საკლუბო თეატრებმა) აიღონ შეფობა სოფლის დრამატიულ წრეებზე და სისტემატიურად დაეხმარონ მათ, ხელი შეუწყონ მათი მუშაობის გაუმჯობესებას როგორც ტექნიკურად, ისე შინაარსით.

ყოველ მაზრაში უნდა შეიქმნას დასაყრდენი წერტილები — ბაზები, სამაგალითო-საჩვენებელ ქოხ-სამკითხველოებთან სამაგალითოდ უნდა მოეწყოს სცენა, უნდა შეიქმნას სამაგალითო დრამატიული წრე, უნდა გაჩაღდეს მუშაობა სოფლის მხატვრული შემოქმედების ყოველ დარგში (მომღერალთა გუნდი, მუსიკალურ-სალიტერატურო წრე, კინო და სხ.), რაიც ეხლა ძალიან მოიკოჭლებს ყველგან. ეს ბაზა მაზრებისათვის უნდა გადაიქცეს ერთგვარ ლაბორატორიად, საცდელ-საჩვენებელ (სამხატვრო) პუნქტად (ამგვარ ბაზებს უშუალო ან უახლოეს ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ცენტრი როგორც საორგანიზაციო, ისე მეთოდიურ-მატერიალური მხრივ).

„სამხატვრო მუშაობა სოფლად წარმოებულ უნდა იქნას განსაზღვრული გეგმით; ამასთანავე გათვალისწინებულ უნდა იქნას სეზონები, რევოლიუციონური კალენდარი და ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების პირობები, რათა პასუხი გაეცეს ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად საჭირბოროტო კითხვებს.

სამხატვრო მუშაობა სოფლად უნდა ისახავდეს განსაზღვრულ ამოცანებს, რომლებიც დამყარებული უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებათა და სამკითხველოების წინაშე მდგომი საერთო ამოცანების გათვალისწინებაზე; პირველ რიგში დასახულ უნდა იქნას შემდეგი ამოცანები: ა) მუშაობა ცნობათა მიწოდების დარგში, ბ) წრეები ქოხ-სამკითხველოებში, გ) მუშაობა ქალებსა და მოჯამაგირეთა შორის, დ) მუშაობა ავიაქიმ-ბაგენისა, კოოპერატიული პროპაგანდის და სხ. დარგში.

სამხატვრო მუშაობა სოფლად,—როგორც გვიჩვენებს გამოცდილება,—უმთავრესად სწარმოებს დრამატიული წრის საშუალებით. აუცილებელია პირველ რიგში დავამუშაოთ ამ სახის მუშაობის მეთოდიკა.

მაგრამ დრამატიული წრეების გარდა ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მომღერალთა გუნდის, მუსიკალური და სახვითი წრეების ქსელის განვითარებასა და გაფართოებას.

მომღერალთა წრის მუშაობა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული დანარჩენი წრეების მუშაობასთან. მომღერალთა გუნდის მუშაობა უმთავრესად უნდა გამოიხატოს შემდეგში: გუნდმა უნდა შეასრულოს რევოლიუციონური და სახალხო სიმღერები, მონაწილეობა უნდა მიიღოს რევოლიუციონურ და გლეხთა საერთო დღესასწაულებში, ცოცხალ გაზეთში, ინსცენიროვკებში და აგრეთვე საღამოებსა და სეირნობებში.

სახვითი წრის მუშაობა უნდა გამოიხატოს შემდეგში: სახვითი წრემ უნდა მორთოს სამკითხველო, მხატვრული სახე უნდა მისცეს კუთხეებს, მუშაობა უნდა აწარმოოს კედლის გაზეთში, უნდა დაამზადოს წარწერები, პლაკატები, ლოზუნგები, დიაგრამები მოხსენებებისა, გამოფენებისა და დღესასწაულებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მხატვრულად მორთვას.

სამხატვრო გამოცდილების შეძენა წრის წევრთა მიერ უნდა სწარმოებდეს ქოხ-სამკითხველოს მუშაობის პრაქტიკის ნიადაგზე. ამ ტექნიკური მუშაობამ ხელი არ უნდა შეუშალოს წრის წევრთა შემოქმედების გამოაშკარავებას. სახვითი წრის მუშაობა შეძლებისდაგვარად უნდა შეიჭრას სოფლის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაშიაც.

რამდენადაც იზრდება სოფლის მხატვრული მოთხოვნილებანი, იმდენად აუცილებელია გაუმჯობესებულ და გაღრმავებულ იქნას სამხატვრო მუშაობის შესრულება წრეების მიერ.

სამხატვრო წრეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საერთო-სახალხო დღესასწაულების მოწყობას და ჩატარებას, და უმთავრესად იმ დღესასწაულებს, რომელთაც აქვთ ტენდენცია შეეზარდონ, შეეგუონ სოფლის ახალ ყოფა-ცხოვრებას (ტყის დღე, პირველი ხნულის დღესასწაული, მოსავლის დღესასწაული და სხ.) აუცილებელია, რომ სამხატვრო წრეებმა სამკითხველოების ხელმძღვანელობით იკისრონ ამ მასიური დღესასწაულების ჩატარება. მასიური მანიფესტაციები, რომლებიც აუცილებლად ტარდება ჩვენს უმთავრეს რევოლიუციონურ დღესასწაულებში, სოფლად შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სათანადო ობიექტური პირობები.

ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა სამხატვრო წრეებისა და მათი წევრების (კომკავშირელებთან ერთად) მუშაობაში არის მუშაობა ახალი, წითელი, გონიერი გასართობების ჩასატარებლად. ძველი გასართობები, საღამოობით შეკრება, რომლებიც ხშირად თავდება ხულიგნური გამოსვლებით და რომელთაც საერთო არაფერი აქვთ პოლიტგანათლების ამოცანებთან, ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ იზიდავს სოფლის ახალგაზრდობას და ხშირად აფერხებს სამკითხველოების მუშაობას.

სამხატვრო წრეები აუცილებლად უნდა იქნას ჩაბმული სოფლის ახალი ჩვეულებების და ყოფა-ცხოვრების მოვლენათა ჩამოყალიბების საქმეში (წითელი ქორწინება, ახალშობილთა გაცილება, შევბ. წით. არმიელთა შეხვედრა და სხ.) ახალი სამხატვ. ფორმით უნდა იქნას განდევნილი ძველი ჩვეულებანი იქ, სადაც ამ ჩვეულებებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი. ახალქალაქის გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ სადაც წრეები საკმაო ინიციატივას იჩენენ ყოფა-ცხოვრების ახალი ფორმების მხატვრულად ჩამოყალიბების საქმეში,—იქ გლეხობა ზურგს აქცევს ეკლესიას და მღვდლებს (ქორწინება, დაკრძალვა სამოქალაქო წესით).

სამხატვრო მუშაობას ჩვენ საკმაოდ ვერ ვიყენებთ სარწმუნოებრივ-საეკლესიო დღესასწაულებთან ბრძოლაში, რომლებიც გამოდატაკებულია გლეხობისათვის და ამავე დროს ხშირად თავდება ჩხუბით, ცემა-ტყეპით და მკვლელობითაც. ალავერდის შარშანდელმა მაგალითმა გვიჩვენა, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს ჩვენი პოლიტიკური და ანტირელიგიური პროპაგანდისათვის საეკლესიო დღესასწაულების დროს, როცა ამ დღესასწაულებზე იკრიბება აუარებელი გლეხობა. საჭიროა მხოლოდ სამხატვრო მუშაობის ყველა ფორმებისა და მეთოდების გამოყენება—კინო, რადიო, წარმოდგენები, კარნავალი, მომღერალთა გუნდი და მუსიკალური წრე.

სოფელს აუცილებლად ესაჭიროება ახალი რევოლიუციონური სიმღერები, რომლებიც მოუწოდებენ ახალი ცხოვრებისა, მშენებლობისა და ბრძოლისაკენ. ჩვენ გვაქვს სიმღერები, რომლებიც ხალხმა შექმნა ფეოდალიზმის ეპოქაში და რომლებიც შეეხება გმირებს და ღმერთებს. ეს სიმღერები ჩვენთვის მოძველებულია. ჩვენ გვესაჭიროება ახალი, ჩვენი მიღწევებისა და ნაკლოვანებების, ჩვენი ამოცანების გამაშუქებელი სიმღერები, რომლებიც შეეხება ელექტროფიკაციას, ტრაქტორს, კოლექტიურ შრომას, მუშათა და გლეხთა კავშირს, მომავალს—სოციალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას, სიმღერები, რომლებიც მოუწოდებენ ჩვენი საერთაშორისო მოვალეობების შესრულებისაკენ, სიმღერები, რომლებიც ამაგრებენ ინტერნაციონალურ სოლიდარობას, ხატავენ ახალ ქალს—საზოგადო მოღვაწეს, სიმღერები, რომლებიც სასტიკად ჰკიცხავენ ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას, მეშჩანობას, ინდივიდუალიზმს და სხ. საუცხოვო მაგალითი მოგვცეს ბორჩალოელმა ამხანაგებმა, რომლებმაც შეაგროვეს მოხეტიალე მომღერალი-აშუღები და მისცეს მათ ახალი სოციალური შეკვეთა—სიმღერები თანამედროვე თემაზე. აშუღებმა, რომლებიც წინეთ მღეროდნენ გმირებისა და ღმერთების შესახებ, ეხლა შექმნეს მშვენიერი სიმღერები ტრაქტორისა, ლენინის [illegible], სწავლისა, ახალი ქალის შესახებ, და ეს წითელი, მკვირცხლი, გამამხნევებელი, გამახალისებელი სიმღერები მიაწვდენ გლეხთა მასებს.

ვ. იმედაძე

სასამართლო

თავგასული მილიციელი

გიორგი ფასეიშვილის „მოღვაწეობა“ მეორე სამილიციო უბნის უფროს მილიციელის თანამდებობაზე უკვე ამას წინად გავაცანით ჩვენს მკითხველებს.

მან ა.-წ. 24 თებერვალს ყოვლად უმიზეზოდ დააპატიმრა ალმასკომის საგადასახადო სექციის გამგის მოადგილე ამხ. ა. ვადაჭკორია, რომელიც გვიან ვაჭრობის ნებართვას უსინჯავდა ღვინის სარდაფის პატრონს. მილიციელი ფასეიშვილი, რომელიც „ბახუსის“ გავლენის ქვეშ იყო, გამოექომაგა სარდაფის პატრონს. და ვადაჭკორია დაპატიმრებული წაიყვანა კომისარიატში, სადაც შეუყენა ოქმი და საპატიმრო ოთახში ჰყავდა მეორე დღემდე.

საინტერესოა, როგორ იმართლებდა თავს ფასეიშვილი სასამართლოში.

— რატომ დააპატიმრეთ ვადაჭკორია და რამდენად კანონიერი იყო მისი დაპატიმრება,— ეკითხება სასამართლოს თავმჯდომარე.

— იმიტომ დავაპატიმრე, რომ მისი მოწმობა ვადაგასული იყო.

— მერე რა, რომ ვადა გასული იყო! ჩემი მოწმობაც ვადა გასულია. მაშ, მეც დაპატიმრებული უნდა ვიყო ეხლა, თქვენის აზრით? —ეუბნება თავმჯდომარე (დარბაზში სიცილია). როცა სხვა საბუთებიც აღმოაჩნდა ვადაჭკორიას, რომ ის თანამდებობის პირია,—რატომ შემდეგ მაინც არ გაანთავისუფლე?

— შემდეგ გვიანი იყო. უკვე შეტანილი გვქონდა საპატიმრო წიგნაკში,—უპასუხებს ბრალდებული.

ისე გამოდის, რომ ვისაც საპატიმრო წიგნში წასწერს ფასეიშვილი, გათავდა მისი საქმე.

სასამართლომ გამოაქვს განაჩენი.

გიორგი ფასეიშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით, სასტიკი იზოლიაციით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მთელი რიგი შემამსუბუქებელი გარემოებები და სასჯელი შეუცვალა პირობით. გამოსაცდელი ვადით მსჯავრდადებულს დაენიშნა ორი წელი.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ა. კალანდაძე, სახალხო მსაჯულები: ვ. ჩხეიძე და მელაშვილი.

ქალის გატაცება

ზამთრობით რაჭველი გლეხები ხშირად სტოვებენ თავის ოჯახს და სამუშაოს საძებრად მიდიან სხვა კუთხეებში.

ოჯახში რჩებიან მარტო ქალები. ნესტორ ლებანიძის ოჯახშიაც მარტო ქალები იყვნენ დარჩენილი. ნესტორი სამუშაოდ იყო წასული.

ამბავი ხდება სოფელ კვაშხიეთში (რაჭის მაზრა, ზვარეთის თემი).

თებერვლის ღამე იყო, ნესტორ ლებანიძის ოჯახში უკვე ჩამქრალი იყო სინათლე. ქალებს ჯერ კიდევ არ ეძინათ.

ფანჯრის მინაზე გამოკრთა კაცის ლანდი. ქალები შიშმა აიტანა. კარი გაიღო და სახლში შევიდა ილიკო რთველაძე.

ილიკო რთველაძეს უნდოდა ლებანიძის გასათხოვარი ქალის ქრისტინეს ცოლად შერთვა, მაგრამ უარი მიიღო როგორც ქალისაგან, ისე ჭირისუფლებისაგან.

რთველაძემ წინადადება მისცა ქრისტინეს გაჰყოლოდა გარეთ, ქალმა კივილი მორთო. ამ დროს სახლში შეცვივდნენ პირახვეული მამაკაცები იარაღებით.

სამმა მათგანმა გაიტაცა ქრისტინე, ხოლო ორმა თავისივე სახლში ჩაკეტა ქრისტინეს და და რძალი.

— არ ახმაურდეთ, თორემ სროლას ავტეხთ, დაემუქრენ თავდამსხმელები და გაქრენ.

გამტაცებლებმა ქრისტინე მიიყვანეს სოფლის ბოლოს, სადაც ცხენები ჰყავდათ დატოვებული.

როგორც კი პირს გაინთავისუფლებდა, ქალი ცივი ხმით იკივლებდა, მაგრამ თავდამსხმელები მაშინვე ჩააჩუმებდენ პირზე ხელის დაფარებით.

ბევრჯერ მოინდომეს ქრისტინეს ცხენზე შესმა, მაგრამ ქალი მამაცად იბრძოდა და იგერიებდა კაცების იერიშებს.

ჩავარდა „სასიძო“ საგონებელში. კიდევ თუ დიდხანს გასტანა ბრძოლამ, ქალის მეზობლები წამოეწევიან და შავს დღეს დააყენებენ.

უკვე მოისმის ჩოჩქოლი. ეს ქალის მეზობლების ხმაა: საქმე წახდა. ალყას შემოარტყამენ: „სასიძომ“ მიიტანა იერიში ქალზე, უნდა მოახერხოს გაუპატიურება.

— სახელს მაინც გაუტეხ, შემდეგ იქნებ მომათხოვონ,—გადაულაპარაკა ამხანაგებს რთველაძემ.

სასიძომ ყველაფერი შემოახია ტანზე ქალს, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწია. წამოეშველენ ამხანაგები, რომლებმაც ხელები და ფეხები შეუკრეს ქალს, ქალი უკვე ვეღარ ახერხებს წინააღმდეგობას.

მაგრამ სწორედ ამ დროს მეზობლებმა დასცეს ყიჟინა.

— არ გაუშვათ, ეგ წუწკები, ესროლეთ არ დაზოგოთ!—ისმის აღშფოთებულ მეზობლების ხმები.

შეშინდენ „გმირები“. ამჯობინეს გაქცევა. ძინმორეულმა „სასიძომაც“ მიატოვა ქალი და მოუსვა. ქალის სახელის გატეხას ამჯობინა თავი გადაერჩინა გატეხისაგან:

თავდამსხმელები იმავე ღამეს შეიპყრეს.

საქმე გაარჩია რაჭის მაზრის სასამართლომ.

ილიკო რთველაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 თვით, მის ოთხ ამხანაგს ოთხ-ოთხი თვით.

ვერ.

საექსკურსიო-ტურისტულ ბიუროში

მიმდინარე საექსკურსიო სეზონის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაწყებულია. ამჟამად სწარმოებს ექსკურსანტების ჩაწერა სხვადასხვა მარშრუტებზე. იმ მიზნით, რათა ექსკურსანტებს გაუადვილდეს მიმოსვლა, საექსკურსიო-ტურისტული ბიურო თვითონ იმუშავებს საექსკურსიო მარშრუტებს, რომლის მონაწილენი ბიუროს მიერ უზრუნველყოფილნი იქნებიან სამგზავრო საშუალებებით, ბინით, კვებით და პედაგოგიური ხელმძღვანელობით.

ექსკურსიები მოწყობილი იქნება შემდეგი მარშრუტით: თბილისიდან—საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც ექსკურსანტები გაეცნობიან კავკასიონის ქედის ბუნების სილამაზეს, ყაზბეგის თოვლიან მწვერვალს და დაუვლიან მის ყინვარებს. გარდა ამისა, ექსკურსანტები გაეცნობიან მოხევე და მთიულ გლეხების ყოფა-ცხოვრებასა და მეურნეობას.

მეორე მარშრუტი იქნება თბილისიდან—ბორჯომში და მის მიდამოებში, სადაც დათვალიერებული იქნება ბორჯომის მხარის ღირსშესანიშნავი ადგილები, კურორტები, სანატორიები, დასასვენებელი სახლები და სხ.

მესამე მარშრუტი იქნება ბათომში და მის მიდამოებში. აქ ექსკურსანტები გაეცნობიან აჭარისტანის მრეწველობა-მეურნეობას, დაათვალიერებენ ბათომის ნავთსადგურს და გაეცნობიან იმ ძვირფას სუბტროპიკულ კულტურებს, რომელიც ხარობს ზღვის ნაპირებზე, სახელდობრ: ბამბუკი, მანდარინა, ჩაი და სხვ.

მეოთხე მარშრუტი აჭარისტანის გარდა შეიცავს აფხაზეთის მეურნეობისა, ყოფა-ცხოვრებისა და ბუნების სილამაზეთა გაცნობას.

აღნიშნულ მარშრუტებზე უფრო დიდი და ხანგრძლივია მარშრუტი: საქართველოს სამხედრო გზა, ჩრდილო-ოსეთი (კავკავი), მამისონის უღელტეხილით გადასვლა რაჭაში—შოვში და ონში. ამ მარშრუტით ექსკურსანტები ორჯერ გადალახავენ კავკასიონის ქედს, გაეცნობიან ყაზბეგის ყინვარებს, ჩრდილო-ოსეთში ნახავენ ულამაზეს ცეისის ყინვარს და საერთოდ გაეცნობიან მთიელთა ყოფა-ცხოვრებას.

აღნიშნულ მარშრუტებით მოგზაურობა თითო კაცისათვის ეღირება 15 მანეთიდან 85 მანეთამდე და გაგრძელდება 6—16 დღე.

ყველა ეს ექსკურსიები დაიწყება 15 ივნისიდან და გასტანს 15 ენკენისთვემდე.

რკინისგზეზე

შემთხვევები პირველ კვარტალში

მიმდინარე 1927—28 წლის პირველ კვარტალში ა.-კ. რკინის გზებზე ადგილი ჰქონდა 232 შემთხვევას. გასულ სამეურნეო წლის ამავე პერიოდთან შედარებით შემთხვევათა რიცხვი გაიზარდა 60-ით. მიუხედავად შემთხვევების რიცხვობრივი ზრდისა, მათგან მიყენებული ზარალი აღნიშნულ პერიოდში შემცირდა 69.350 მანეთით. (გასული წლის პირველ კვარტალში ზარალი უდრიდა 330.421 მან., ა. წ. პირველ კვარტალში კი—260571 მანეთს).

შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი რიცხვი გაიზარდა უმთავრესად მოძრავ შემადგენლობის ლიანდაგიდან გადავარდნის და დაჯახების ხარჯზე.

ყველაზე ხშირად შემთხვევების ადგილი ჰქონდა სადგ. ერევანში, განჯაში, თბილისში, ბათომში, ევლახში, ლენინაკანში და ბაქო-მეორეში.

ამ სადგურების მუშაობის გასაუმჯობესებლად მიღებულია ზომები.

შვიდწლედი ნავთლუღში

ნავთლუღში მცხოვრებ რკინისგზელების თხოვნით ა.-კ. რკინისგზების გამგეობამ წინადადება მისცა სალიანდაგო განყოფილებას შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა ნავთლუღის რკინის გზის სკოლის შენობის გასაფართოებლად.

განზრახულია ნავთლუღის ოთხ-წლედის გადაკეთება შვიდწლედად.

ღერძი გატყდა, ცისტერნა დაიმტვრა

4 მაისს, ღამით სადგ. კალაგერანში საბარგო მატარებლის სვლის დროს ერთ-ერთ ცისტერნას გაუტყდა ღერძი. ცისტერნა დაიმტვრა და მაზუთი დაიღვარა.

მოძრაობა შეწყდა.

შემთხვევის ადგილზე გაგზავნილმა დამხმარე მატარებელმა მოძრაობა აღადგინა.

ფიზკულტურა

შეჯიბრება ფეხბურთში

პირველი კატეგორიის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრი პირველობაზე დასასრულს უახლოვდება.

დღეს გაიმართება სამი კალენდარული შეჯიბრი.

დღის 1 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობენ „დინამო—მეორე“ და „საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი“.

ნაშუადღევის 3 საათზე „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება შეჯიბრი „დინამო-პირველსა“ და „არსენალის“ შორის. საღამოს 5 საათზე კი თამაშობენ „გემო-კვების მუშაკები“ და „საბჭოთა მუშაკები“.

ბრძოლა წყალდიდობასთან

ნიაღვარი ბორჯომის ხეობაში

ბორჯომიდან წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო სამეულს დეპეშით ატყობინებენ, რომ 4 მაისს ნაშუადღევს ბორჯომის ხეობაში მოვიდა დიდი წვიმა, რომელიც შემდეგ ნიაღვარად გადაიქცა, რამაც გამოიწვია მდინარეების ადიდება. მდ. მტკვარში წყლის დონემ ერთბაშად აიწია 210 სანტიმეტრამდე.

5 მაისს ნაშუადღევს წვიმამ გადაიღო.

მტკვარის დონე თბილისში

გუშინ შუადღისას მტკვრის დონე თბილისში უდრიდა 268 სანტიმეტრს, ნაცვლად წინა დღის 272 სანტიმეტრისა. 6 მაისისათვის მოელიან მტკვრის ადიდებას ბორჯომის ხეობაში მოსული ნიაღვრის გამო.

წყალდიდობა აფხაზეთში

წყალდიდობასთან მებრძოლ სამეულს აფხაზეთიდან დეპეშით ატყობინებენ: სოფ. ვარჩა საფრთხეშია. მდ. ბაბუშერი ადიდდა და ბევრგან გადავიდა ნაპირებიდან. სწარმოებს სასწრაფო მუშაობა ახალი ჯებირების ასაგებად.

ბორჩალოს მაზრაში

წყალდიდობასთან მებრძოლი ცენტრალური საგანგებო კომისიამ მიიღო ცნობები, რომ უკანასკნელ დღეებში ბორჩალოს მაზრაში მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოები ყველგან დასრულდა. მთავარი სამუშაოები სწარმოებდა მაზრის რიგ სხვადასხვა რაიონში. აგებულია მთელი რიგი ახალი ჯებირები და გათხრილია არხები მდინარეებიდან ზედმეტი წყლის გადასაშვებად.

რაჭის მაზრაში

მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოები, რაჭის სამაზრო სამეულის ცნობით, ყველგან დასრულებულია. დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო სამუშაოების შესრულება მდ. ჯრიბულოზე.

ლიტოგრაფიული ქვების დამუშავება

სამთო მრეწველობის ტრესტმა გადასწყვიტა მომავალ ზაფხულზე დაიწყოს ლიტოგრაფიული ქვის ახალი ბუდობების დამუშავება თიანეთის რაიონში. წინასწარი გამოკვლევებით და ჩამოტანილი ნიმუშების გამოცდით გამოირკვა, რომ თიანეთის ლიტოგრაფიული ქვა ხარისხით და გამძლეობით ბევრად სჯობის დღემდე საბჭოთა კავშირში ცნობილ ლიტოგრაფიულ ქვების ყველა ჯიშებს.

ქიმიურმა ანალიზებმა და გამოცდამ გამოარკვია აგრეთვე, რომ თიანეთის ლიტოგრაფიული ქვა ხარისხით უთანასწორდება მსოფლიოში ცნობილ ზოლინგოფენის ქვებს. ამის გამო სამთო მრეწველობის ტრესტს გადაწყვეტილი აქვს თიანეთის რაიონში გახსნას ქვის დასამუშავებელი ახალი კარიერები, სადაც პირველ ხანებში ქვების ამოღება იწარმოებს პრიმიტიული წესით.

7 მაისს თიანეთის ლიტოგრაფიული ქვების ბუდობების დასათვალიერებლად და ახალი სამუშაოთა ადგილების ამოსარჩევად თბილისიდან მიემგზავრება სპეციალისტთა კომისია გეოლოგ კ. გაბუნიას მეთაურობით.

ბიბლიოგრაფია

მაქსიმ გორკი

„მოთხრობები“—სახელგამი. გვ. 181— ფასი 60 კაპ. 1928 წ.

მაქსიმ გორკი უდიდესი ლიტერატურული ფიგურაა, რომელმაც თავისი შემოქმედებით მთელი ეპოქა შექმნა. მისი შემოქმედების გზები ხალხის დაბალ ფენებიდან გამოდის. არც ერთ რუს მწერალს რუსეთის ცხოვრების „ფსკერი“ ისე არ აუსახავს, როგორც ეს შესძლო გორკიმ. ყველაზე უფრო ძლიერად გორკის აქვს დაჭერილი სპეციფიური ხაზები რუსეთის წვრილ ბურჟუაზიულ ფენებისა და ამიტომაა, რომ გორკის მიღება, ნიშნავს განამტკიცო რწმენა დაბალი ფენების შემოქმედების ძალებისადმი.

მაგრამ, გორკის შემოქმედება დღეს ჩვენთვის ძვირფასია იმითაც, რომ იგი უმეტესად უნისონში სცემდა რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებას. თუ რუსეთის ლიტერატურის კორიფეები, მხოლოდ გრძნობდენ მოახლოვებას იმ სოციალური დრამისა, რომელიც გაშალა ამ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, გორკის შემოქმედება ამ დრამის ჭეშმარიტი განსახიერებაა.

თუ წინად ფიქრობდენ, რომ ლამაზ ფორმებში გრძნობა და აზრის ასახვის უნარი, ეს მხოლოდ კუთვნილებაა ბურჟუაზიის და მას მუშათა კლასი მოკლებულია, გორკიმ თავისი შემოქმედებით და თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ გრძნობა სილამაზისადმი არსებობს პროლეტარიატშიც, რომელიც მთელი სიმწვავით გრძნობს „თავის კოლექტიურ დრამას და დრამას თავის ერთეულთა“.

გორკიმ პირველად გამოსთქვა რწმენა, რომ „პროლეტარიატს შეუძლია თავისი მხატვრული ლიტერატურის შექმნა, როგორც მან შექმნა უდიდესი შრომით და უდიდეს მსხვერპლით თავისი ყოველდღიური პრესა“, რომელიც წარმოადგენს მუშათა კლასის ბრძოლის ერთ-ერთ მკვეთრ იარაღს.

მართალია, გორკი ვერ ჩაითვლება ნამდვილ პროლეტარულ მწერლად, ვინაიდან მისი შემოქმედება, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავდა კ. ვოროვსკი, ჩამოყალიბდა გარკვეულ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში, როდესაც პროლეტარული ლიტერატურა ჯერ კიდევ არ არსებობდა. მაგრამ მიუხედავად ამისა სოციალისტური შემეცნების მთავარი ელემენტები გორკის შემოქმედებაში უეჭველად მოცემულია. ეს არის სიძულვილი ბურჟუაზიულ სამყაროსადმი, კულტი შრომისა და გონების, აგრეთვე იდეა კოლექტივისა. სიძლიერისა, როგორც ცხოვრების ძირითადი რეგულიატორის (ფრიჩე).

სახელგამის მიერ გამოცემულ მოთხრობათა კრებულში, მოთავსებულია გორკის ცნობილი „გრიგალის სიმღერა“, რომელიც დაწერილია 1901 წ. და წარმოადგენს რევოლიუციონური ეპოქის ჰიმნს. ეს უკვე სიმპტომი იყო იმისა, რომ რევოლიუციონური პროლეტარიატი გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე და მას უკვე ჰყავდა თავის გრძნობათა მესაიდუმლე. დანარჩენი მოთხრობები, ეკუთვნიან „მოგონებათა“ ციკლს და ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, როგორც მაგალ. „მეკანონე“ და „პირველი სიყვარული“.

უნდა აღინიშნოს რომ თარგმანი შესრულებულია მძიმე და ძველი ქართულით, რაიც უეჭველად უნდა იქნეს თავიდან აცილებული მაქსიმ გორკის ნაწარმოებთა შემდეგი გამოცემის დროს ქართულ ენაზე.

დ. დ—ძე.

რადიო გადაცემა

კვირა, 6 მაისი

დღეს, 6 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილის 12 საათზე—საბავშვო კონცერტი.

საღამოს 6 საათიდან პიონერების გამოსვლა და პიონერთა გაზეთი—ოსურ და რუსულ ენებზე.

საუბარი აგრონომიაზე—ქართულ ენაზე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა—მოხსენება ქართულ ენაზე.

ჯანსახკომის საკურორტო სამმართველოს მოხსენება—რუსულ ენაზე.

ტექნიკური კონსულტაცია.

ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ორშაბათი, 7 მაისი

ვენახების დაცვა მავნებლებისაგან—ქართულ ენაზე.

როგორ მიმდინარეობს თესვის კამპანია—ქართულ ენაზე.

სკოლა და კულტურული რევოლიუცია—მოხსენება სომხურ ენაზე.

ბრძოლა ბუზებთან და მწერებთან, როგორც ავათმყოფობის გამავრცელებლებთან—მოხსენება სომხურ ენაზე.

კომკავშირის გაზეთი რუსულ ენაზე და მუსიკალურ წრის გამოსვლა.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, 7 მაისს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ::

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: იოსებ მერაბიანი, გრიქურ კარაპეტოვი, ივან კუკურჩიძე, მნაცაკან ერიციანი, მიხეილ ივანოვი, არუთინ ნარიმანიანცი, არსენ სტეპანოვი, ზანდუხტი ასლანოვა, მაკარ იტეპანიანი, ხაჩატურ ავეტისიანი, ვერა ადამოვიჩი, ამბაკ ოგანესოვი, ამოს მიგრიანცი, გიგნეს ფეტოსიანი, ნიკოლოზ აბუმოვი, გიორგი კუტიანოვი, ნოსირიო აზაროვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: მარგარიტა ნაზარეტიანი, ზინაიდა შაპირონი, თამარ ალმოევა, იდა ალექსანდროვა.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: მამია სვანიძე, ოლღა ვიზგალინა, გასპაროვი, მარიამ მელნიკოვა, მარიამ პეტროსიანი, ვარვარა თუფუღლიანი.; ტატიანა ბოგდანოვა, კლავდია გლატკინა, ტულა გეორქოვი, ლიდია გუბინოვა, ანუშ პეტროსიანი მიხეილ კოვალევსკი, გიორგი კარაგეზოვი, სარქის პოღოსიანცი, არამ მანჯიანცი.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: მოსე დათიკაშვილი, ალექსი ხუციშვილი, სოკრატი სანაძე, შალვა ამაშუკელი, შალვა ბალიაშვილი, ლონგაძე შალვა, აკოფოვი ამოს, მორდეხ დათიკაშვილი, ოვანეს სიმონიანცი, ვლადიმერ ნოვიკოვი, ვლადიმერ ჩიკვაიძე, ოგანეზ ელიზბაროვი, კონსტანტინე ტებრაჯიანი, დავით ხაჩატუროვი, ნიკოლოზ ტყემალაძე, ანდრონიკ ხაზაროვი, ანდრონიკ მანუკიანი და არტაშეს არუთინოვი.

რკ. გზელთა მეშვიდე სექციიდან: ალექსანდრე გვაზავა, ქსენია ლომინა, ელენე კულიშ, ზაქარია კუპატაშვილი, ნიკოლოზ ხეთაგური, გიორგი ესტატე, იასონ ადამაშვილი, ალექსი არუთინოვი, ეგნატე თედეევი, ალექსი კუპრავა, ვლადიმერ ბერიძე, არტემ გძელიშვილი, ნიკოლოზ ყანჩაველი, მ. მურადოვი და დიმიტრი მჭედლიძე.

ამასთანავე თბილისის შრომის ბირჟამ ქ. ქუთაისიდან მიიღო მოთხოვნილება სამთო მადნო ინჟინერზე ჯამაგ. 250 მ. მსურველები უნდა გამოცხადდენ შრომის ბირჟაში ამხ. ჟუღენთან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

მდინარე რიონზე ბორნების გადაკეთებისა და მათი მოვლის წესის შესახებ

რადგანაც მდინარე რიონზე ნაოსნობა დაწყებულია და საჭიროა, რომ ნავჭურჭლებმა დაუბრკოლებლად გაიარონ ის ადგილები, სადაც ბორნებია მოწყობილი (ამჟამად ბორნები მოწყობილია შემდეგ დასახლებულ ადგილებში: სავგოლიაში, საჯოჰაკიძეოში, იუვანეში, ჭეშონში, ეწერში კოდორში, კარის უბანში, ორპირში და სამტრედიაში). საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტსა და საბჭოს, რომელიც კი ბორნის უშუალო ექსპლოატაციას ეწევა, აგრეთვე იმ ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც ბორანს ამუშავებს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან და საბჭოსთან დადებული ხელშეკრულების ძალით, მოაწყონ 1928 წლის მაისის 1-მდე ბორნის ტროსის მდინარის ფსკერამდე ჩაშვება

2. შემოღებულ იქნეს წინა მუხლში აღნიშნული ბორნების მოვლის შემდეგი წესი:

ა) ბორნის ტროსი, როდესაც ბორანი არ მოქმედობს, დაშვებული უნდა იყოს და,

ბ) ნავჭურჭლის გავლამდე ბორნის ასამოძრავებლად აწეული ბორნის ტროსი, გემიდან საყვირით სიგნალის მიცემისათანავე, ჩაშვებულ უნდა იქნეს უკიდურეს სიღრმემდე.

3. ზედამხედველობა იმისათვის, რომ ბორანი სათანადო მდგომარეობაში იყოს და ისინი, ვისაც ბორანი აქვს, ამა დადგენილებას ზედმიწევნით ასრულებდნენ, დაეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 224 მუხლისამებრ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ს. ჟუღელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
სტეფანოვი.

1928 წ. აპრილის 18.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების დროებითი ბიურო იწვევს საზ-ბის წევრთ. (რომლებიც თბილისში იმყოფებიან) საერთო კრებას სამშაბათს, 8 მაისს, საღამოს 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში.

მოწვეულია შემდეგი ამხანაგები: ცხაკაია მიხა, მახარაძე ფ., ტოროშელიძე მ., ფირცხალავა ან., ქლენტი თ., ნაზარეტიანი, სტურუა ვანო, ლეჟავა შამშე, ბოლქვაძე ვანო, სტურუა გიორგი, ჩიხაბლაშვილი მამია, ელიავა შალვა, ლომიძე სერ., კუპრაიძე გ., კვარაცხელია მ., ფილია მ., სტეპანოვი ალ., ამირაღლოვი ნ., კვინტრაძე ვ., გელაშვილი იოს., ბაქრაძე სტ., მეგრელიშვილი ს., კორეტკოვი ი., რთველაძე გ., ჩხეიძე გ., თარხანოვი გრ., აივაზოვი ნ., ხომერიკი კ.; იოვიძე ისმაილ, გოგიბერიძე ვ., ქადარავა კ., ბიბინეიშვილი ბ., ჩხენკელი კ., იტრიეევი ვ., ნასარიძე დავ., ხაბაშვილი პარ., კარაპეტოვი ი., დვალი პიმენ, კობახიძე აკაკი, გოგოშიძე ფ., ლეჟავა ელისაბედ, სოკოლინსკაია ელ., დიმიტრიევი ვ., ცინცაძე კონსტანტინე, ვაშაკიძე ვალ., ავალიანი-შარიაევა ეკ., ცინცაძე სეფე, მიქაძე კატო, ცინცაძე ლადიმე, ცინცაძე ასალო, ათაბეგოვი არ., ჩოდრიშვილი მიხ., დოლიძე ანდრო და სუხიშვილი ლადო.

ორშაბათს, 7 მაისს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 101) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის მორიგი სხდომა.

მიმღები კომისიის წევრთა თავის დროზე გამოცხადება აუცილებელია.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება თხოულობს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ორშაბათს, 7 მაისს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) ამხ. კვირიკაძესთან.

ნოე ისოების ძე ქინქარაძე, პავლე პოლიკარპეს ძე გრიგურაშვილი, მიხეილ ალექსანდრეს ძე სანაკაევი, ალექსანდრე იაგორის ძე ხერხეულიძე, დავით მიხეილის ძე ცეხელაშვილი, კონსტანტინე გიორგის ძე ბორ-რამენსკი, აკაკი თედორეს ძე კაჭახიძე, ლაზარე ისაკის ძე ფიშერი, ვასილ კონსტანტინეს ძე ანთიძე, მუშეგ კამაზის ძე ალაგარდიანი, მიხეილ ძიხილისძე ხრისტოლოუბოვი, ალექსანდრე იოსების ძე დუდუჩავა, სერგო ივანეს ძე ამილახვარი, ალექსანდრე ალიას ძე გაჩიდარონი, პავლე პავლეს ძე დერმიჩევი, ნიკოლოზ ივანეს ძე კალიტოზოვი, ალექსანდრე გიორგის ძე ჯაფარიძე, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ჩხეტია, სიმონ ალექსანდრეს ძე ბირიუკოვი, ვლადიმერ მოსეს ძე აბრამიანი, იოსებ ივანეს ძე ესაკია, ქრისტეფორე ავეტის ძე სერონიანი, ვარლამ ერმალოზის ძე ერქომაიშვილი, გიორგი ქრისტეფორეს ძე ბაბაევი, შალვა სოლომონის ძე ლეჟავა, ბაგრატ გიორგის ძე იუზბაშევი, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ჯალიაშვილი, ალოიზ ალოიზის ძე რონზანი, ალექსანდრე ივანეს ძე დუმბაძე, აკაკი მაქსიმეს ძე ქაჰყონია, კონსტანტინე პავლეს ძე ანდრიაძე, ათანასე ნიკოლოზის ძე ბუკრეევი, ვაგან ნიკოლოზის ძე მუსაელიანი, კირილე ბეგიას ძე ჩართიშვილი, იბრაგიმ მამედ-ტაგი ოღლი შაგიევი, ცალგიი მიხეილის ძე ზელენკი, მოსე ექვთიმეს ძე მარკმანი, დავით ივანეს ძე ვაშაკიძე, გრიგოლ თედორეს ძე თარხანოვი, ელ. ყალანდაძე, იოსებ იაკობის ძე ანშილევიჩი და შალვა სოლომონის ძე ჩხეიძე.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. საკოვთან:

ნიკოლოზ კვანტალიანი, კონსტანტინე გაბუნია, სიმონ გრიგოლია, ალექსანდრე ცქიტიშვილი მიხეილ კილოსანი, ნიკოლოზ კონოვალოვი, ჰოვანეს ხაჩიკიანი, ადამ მარიამიძე ვლადიმერ ჩერნილოვსკი, ალექსანდრე ცინცაძე, ალექსანდრე სტარიკევი, მათე კალოშვილი, კონსტანტინე კარაპაშვილი, ვიხაპ ალიევი, ნიკოლოზ გუსტირი, ბაგრატ გრიქუროვი, ალექსანდრე სკანცევი, ისმაილ უსეინოვი, შალვა ცერაძე, მუსტაფა-ზადე-მამედ-ოღლი, გაიკ კასპარიანი, გრიგოლ გუმბარიძე, სოსუნ აბასოვი, ერმოლოზ რეელი, ლონგინოზ კალანდაძიშვილი, გრიგოლ ჩანტლაძე, ალექსანდრე თავდგირიძე, იოსებ ელენტი, აბრამ ხაჩატუროვი, გერმანე მათიკაშვილი, მიხეილ ანტონიანი, გიორგი თალაკვაძე, იასონ ხურციალავა, გიორგი იარალოვი, ალექსანდრე სტარჩევი, ვლადიმერ ვიშლიანსკი, რუბენ კოზერიძე, რუბენ ბალდასაროვი მამედ ალი ალიევი, ივანე ბირიულინი, მიხეილ პარტიანსკი, მაქსიმე კალაძე, ალექსანდრე ხერხეულიძე, კონსტანტინე აივაზიანი, პლატონ ქელიძე, ნიკოლოზ პიოლოვი, ვასილ პოლიანსკი, მიხეილ ჩხეიძე, ნიკოლოზ კიზირია, დიმიტრი დვალიძე, ალექსანდრე გაიდაროვი და აკაკი კაჭახიძე.

—:—

ორშაბათს, 7 მაისს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 23, მეორე სართული, ოთახი № 10) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ პარტიაში მისაღები შემდეგი ამხანაგები:

1-ლი (ლენინის) რაიონიდან: სერგო გიორგისძე დაჟითაშვილი, ბარნაბ მიხეილისძე ასათიანი, ანდრია სოლომონისძე ბიბილეიშვილი, ვასილ ივანესძე უშკოვი და ქეთევან ტარასის ასული ძიგრაშვილი.

მე-2-რე (არსენალის) რაიონიდან: ბადალ არუთინისძე არუთინოვი, სარქის მიხეილისძე კირაკოზოვი, ლიუდვიგ ოსიპისძე კოკოანცკი, არკადი ნონისძე ალანოვი, ნოდარ კონსტანტინესძე ამაშუკელი, ნიკოლოზ ლაზარესძე ლიჩელი, სურენ აკოპისძე პეტროსიანი, გრიგოლ მურადოვი, მაქსიმე აკაკისძე ხვარცკია, ივანე ფილატისძე იზვარინი, ივანე ანტონისძე მამიევი, ივანე ელიზბარისძე როგოვა, ვიქტორ მუსტაფასძე ადლეიბა, ვლადიმერ ვასილისძე ჟუკოვი, თედორე მაქსიმესძე კოზაკოვი, ისლამ ხასანისძე ძნელიძე, პავლე ტიმოთესძე უელტიშევი, გრიგოლ ბართლომესძე რაკოვიჩი, ათანასე ერემიასძე ბურაკოვი, ვასილ ვასილისძე როსტენკო, მიხეილ ივანესძე რუბლევი, კონსტანტინე კ. თარქია, მიხეილ ივანესძე ვოლოვიკი, იაგორ თედორესძე აქსიუტინი, ვასილ სიმონისძე ჯოხაძე, შალვა ალექსანდრესძე შარმიაშვილი, ბარბალე სიმონის ასული კოკელაშვილი, იოსებ ფარნაოზისძე ქელბაქიანი და ნატალია ვართანის ასული ბარამიძე.

მე-3-მე (ავლაბარ-ხარფუხის) რაიონიდან: ალიზადე საკინა ფატალი კიზი, სარქის ნიკოლოზისძე სარუხანოვი, გიორგი ივანესძე ხახვიაშვილი, ზაქარია ბეგლარისძე კაკალოვი, რუბენ დავითისძე ვართანოვი, ს. კიკოლაშვილი, აბრამ ზაქარიასძე ბადალოვი და გიორგი ზაქარიასძე გალუსტოვი.

მე-4-ხე (ქალაქის) რაიონიდან: შალვა დიმიტრისძე ბზიკაძე, ნიკოლოზ ზაქარიასძე ივანოვი, ელიზბარ პეტრესძე ელიზბარიშვილი, პლატონ ელიზბარისძე ჩიქოვანი, პავლე ლეონარდისძე ნაკონეჩნი, იონა თადეოზისძე ბოჭორიშვილი, ზაურბეკ ბიბოევისძე ხაჩატუროვი, ანტონ ანდრიასძე შანტურია, გალინა სპირიდონის ასული დალაქიშვილი, გიორგი ნიკოლოზისძე გოგლიძე, არტაშეს სტეფანესძე მოსიანი, გიორგი სიმონისძე გუგუნავა, აკაკი ნესტორისძე ახობაძე, გრიგოლ იოსებისძე ჩიქოვანი, ვლადიმერ მაქსიმისძე დობროლეჟინი, იაკობ ივანესძე გოლოვახინი, ერიკა ალექსანდრეს ასული საყვარელიძე, რუბენ კონოევისძე ლალაიანცი, მიხეილ ივანესძე ტაბიძე, გრიგოლ დიმიტრისძე კაკუბერი, ვლადისლავა ვლადისლავის ასული ბეჭთაბეკოვა, ანტონ ოსიპისძე პოტოსიანი, ილია იაკობისძე მელიქაძე, ანა სერგოს ასული ბარსიდოვა, ივანე გიორგისძე ხორნაული, მელიტონ ნიკოლოზისძე პაკელიანი, აგეტიკ ადამისძე კეიანი, გიორგი ნიკოლოზისძე ლალაევი და გიორგი კარგოვისძე შახნაზაროვი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ დღეს, 6 მაისს, დღის 1 საათზე, ხელოვნების სასახლიდან დიდუბის პანთეონში გადაასვენებენ ტრაგიკულად გარდაცვლილი საზოგადო მოღვაწის

გრიგოლ ვეშაპელის

ნეშტს.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიურო ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ ცნობილ ჟურნალისტის, ტრაგიკულად დაღუპულ

გრიგოლ ვეშაპელის

დაკრძალვა მოხდება პანთეონში 6 მაისს.

სამუდამოთ გლოვით მოცულნი უბედური მშობლები გიორგი და ელისაბედ ვეშაპელი შვილებით: ნინო, მიხეილ, თინათინ, რძლით და შვილისშვილებით აუწყებენ ნათესავთ და საზოგადოებას, რომ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

გრიგოლ ვეშაპელის

ნეშტის დაკრძალვა მოხდება 6 მაისს, კვირას, დიდუბის პანთეონში. გამოსვენება დღის პირველ საათზე, ხელოვნთა სასახლიდან. უ.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ნინო სამსონის ასული ვეშაპელისა აუწყებს ნათესავთ და საზოგადოებას, რომ თვისთვის დაუვიწყარი ტრაგიკულად დაღუპულ ქმრის

გრიგოლ ვეშაპელის

დაკრძალვა მოხდება 6 მაისს, კვირას, დიდუბის პანთეონში. გამოსვენება დღის პირველ საათზე, ხელოვანთა სასახლიდან. უ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ მაისის 2-ს გარდაიცვალა მხცოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ხოშლელი (რომანოზ ფანცხავა)

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, ბინაზე, საშა წულუკიძის (ყ. კრუზენშტერნის) ქუჩა № 8. დაკრძალვა მოხდება ა. წ. 8 მაისს, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. გამოსვენება ბინიდან დღის 3 საათზე. ნ. 1 43

მეუღლე ანეტა როსტომის ასული, შვილებით: ტასო, დათიკო, ნინა და რუსუდანათი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 2 მაისს, ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავა
(ხოშლელი)

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, საშა წულუკიძის ქ. № 8 (ყოფ. კრუზენშტერნის). დაკრძალვა მოხდება ა. წ. 8 მაისს, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. გამოსვენება ბინიდან დღის 3 საათზე. ნ. 1043

ტასო რომანოზ ფანცხავას ასული და მეუღლე მისი ანდრო სამსონის-ძე დუმბაძე შვილებით მედეი და დევიკოთი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 2 მაისს, ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

რომანოზ სპირიდონის-ძე ფანცხავა (ხოშლელი)

ნ. 1043

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ფედოსი თედორეს ასული, შვილები: ქსენია, ვალოდია, საშა, თამარა და შურა, სიძე ამბერკი ივანეს-ძე ქანთარია და შვილისშვილი პატარა ოთარი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პავლე გაბრიელის-ძე დუნდუას

ხსოვნის აღსანიშნავად ა. წ. 7 მაისს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ქ. სამტრედიაში, ილორის სასაფლაოზე. 2278

ღრმად დამწუხრებული მშობლები დარისპანი და თებრონე, ძმები კოლია და ნოე, დები ნინა და ლიუბა, სიძე ალექსანდრე ძიძიგური, დისშვილები თალიკო და შუქურა აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

კიმოთე დარისპანის-ძე შავლაყაძე

დაკრძალვა 6 მაისს, სოფ. კუხში. დ.

ღრმათ დამწუხრებული შვილები: კოლია, დათიკო, გოგუცა სიხარულიძისა, რძლები: ლიზა, ელპიტი, აგრაფინა, ვერა, სიძე ვიქტორ სიხარულიძე, ოლღა შანიძისა, გიორგი, მარიამი, თამარა, ნატაშა დოლიძეები, მიროშა მარგველაშვილი, სარდიონ ჯიბლაძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელ

ნიკოლოზ გიორგის-ძე დოლიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება საგურამოს ქ. № 20, 8 მაისს, საღამოს 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. გ.

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა კატო, ძმები არტემ, იაკიმე და ერმილე, გამზრდელები ბარბალე და ესმა გაგუები, ბიძა მიხეილ გრიგოლია მეუღლით ივლიტათი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა-წ. 5 მაისს გარდაიცვალა ქ. ტფილისში მათთვის ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი

ისაკი პეტრეს ძე გოჯგუა

გამოსვენება ორშაბათს 7 მაისს დღის 4 საათზე ქალაქის 2 საავადმყოფოდან (ყოფილი ალექსანდროვის) სადგურში, დაკრძალვა სოფ. ზანაში სენაკის მაზრა. (შ)

აპოლო
არფასტო
სოლეი
პროლეტარი ავლაბარი
ოდეონი
დარბაზი

სახკინმრეწვის კინოები

მხატვრული სურათი „ბორა“
დადგმა—კ. მარჯანიშვილის. ოპერატორი—ს. ზაბოზლაევი
მთ. როლებ: ნატა ვაჩნაძე, მერაბიშვილი, იმედაშვილი, იმერელი.
საქართველოს სახკინმრეწვის გამოშვება.
ორშაბათიდან დადგმის მეორე კვირა

ელენეს გატაცება და ტროიას დაცემა 1 და 2 სერია ერთად

ვილიამ ხარტ სურათში „მომღერალი ჯიმი“

ანონსი: ამ დღეებში უცხოეთის ორიგინალური კომედია „ორი ქმრის ცოლი“ 0—4

საქ. სახკინმრეწვის ნაწარმოები 1928 წ. სეზონი
რეჟისორმა
ლევ პუშმა
დაამთავრა დადგმა
მხატვრული სურათის
„ბოშური სისხლი“
ნ. 1048

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტთა საყურადღებოთ

თანახმად რექტორატის დადგენილებისა, ა.-წ. 10 მაისიდან 10 ივნისამდე ჩატარდება ყველა სტუდენტების რეგისტრაცია საბარათო წესზე გადასვლის გამო, რისთვისაც ყოველი სტუდენტი მოვალეა პირადათ გამოცხადდეს ფაკულტეტში და მისცეს აღრიცხვისათვის საჭირო ცნობები. სტუდენტები, რომლებიც არ გაივლიან რეგისტრაციას აღნიშნულ ვადებში, მექანიკურად გამოირიცხებიან უნივერსიტეტიდან.

ნ. 1049 საქმეთა მმართველობა.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე.

ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული და მეცნიერულ-პუბლიცისტური ჟურნალი
მნათობი
ნ. 1050

სია გაზ. „კომუნისტის“ იმ ხელისმომწერლებისა, ლებიც არ იღებენ გაზეთ „კომუნისტს“ სწორი მისამართების უქონლობის გამო

№№ რიგზე	ხელის მომწერის სახელი და გვარი		ხელის მომწერის მოცემული მისამართი
1.	კისაშვილი		აბულაძის ქუჩა № 15.
2.	ჯარიძე		ქსნის ქუჩა № 1.
3.	კობეხერიძე	მუშათა სასახლე	საბურთალო, სახლი დეკანოზიშვილი
4.	კარგარეთელი		ბაქოს ქუჩა № 17.
5.	საჯაია		გორის შესახ. № 2.
6.	ქარიაული		რუსთაველის ქ. № 3.
7.	მესხიძე		თამარის და რევაზოვის ქ. კუთხე
8.	კახიანი გრიგოლ		სანსოვის ქ. № 17.

ზემოთაღნიშნულ ხელისმომწერლებს გაზეთ „კომუნისტის“ ექსპედიცია სთხოვს დაჩქარებით გვაცნობონ თავიანთი სწორი მისამართები.

მისამ.: კამოს (ყ. დიდი მთავრის) № 68, ტელ. 5—43. 0—1

მოითხოვეთ ყველგან
1. პასტერიზაცია ქმნილი სამკურნალო ყურძნის წვენი
2. კარდანახი №38 პორტვეინის ტიპის
3. კარდანახი № 42 მადერის ტიპის.
სამეურნეო მამულთა ტრესტი
მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისა.
2—1 ნ. 1022

გამოვიდა № 4 შინაარსი: მაქსიმ გორკი (სარედაქციო წერილი) მხატვრული ლიტერატურა: მ. გორკი არტამონოვების საქმე (თარგმანი ლ. ქიაჩელის), მ. გორკი—ქარიშხალი (თარგმ. ნ. ზომლეთელის), მ. გორკი—ფერია (თარგმანი ვ. რუხაძის), მ. გორკი—წიგნიდან „მოგონებანი“ (თარგმ. დ. შენგელაიასი), ვ. ჟურული—გორკი (ლექსი).

კრიტიკა-მეცნიერება-პუბლიცისტიკა: ვ. ბახტაძე—კრიტიკული შენიშვნები: მ. გორკი; გრიგოლ რობაქიძე—გორკის თვალი; ს. ამილახვარი—მაქსიმ გორკი ადამიანის ძიებაში; ვ. ხუროძე—მაქსიმ გორკი; გიორგი ლეონიძე—ივანე მაჩაბელი (გაგრძელება); ფ. მ ხარაძე—ქართველი მწერლები და კულტურული რევოლიუცია; ქართველი მწერლები მეორე ყრილობის შესახებ (გრ. რობაქიძე, ალ. აბაშელი, ლეო ქიაჩელი დ. შენგელაია) ბიბლიოგრაფია.

ჟურნალი შეიცავს 196 გვერდს, დართული აქვს მ. გორკის სურათი და ღირს 1 მ. 50 კ.

ჟურნალი დაუ იგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან

ხელის მოწერა გრძელდება

საქართველოს ფინსახკომი აცხადებს

მოქალაქეთა საყურადღებოთ,

რომ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების გადაუხდელობის გამო მოხდება ლიკვიდაცია საკომისიო მაღაზიის „უნივერსალი“-სა, რომელიც ეკუთვნის მოქ. **გომერს ა რიხს** და მდებარეობს ქ. ტფილისში, კომინტერნის ქუჩაზე № 3.

ამის გამო ყველა იმ პირებს, რომელთაც მიბარებული აქვთ ზემოაღნიშნულ მაღაზიაში თავის ნივთები საკომისიოდ გასასყიდლად, წინადადება ეძლევათ ა.-წ. 1-ლ ივნისამდე წარმოუდგინონ გადასახადების ამკრეფ სექციას (ყოფ. ხაზინის შენობა, ოთახი № 17) მათი უფლების დამამტკიცებელი საბუთები ნივთების უკან მისაღებად. ნივთებს, რომელნიც ა.-წ. 1-ლ ივნისამდე არ იქნებიან მოთხოვნილი, ფინსახკომი ჩასთვლის საკომისიო მაღაზიის ყოფილ მეპატრონეთა საკუთრებად.

ყალბი საბუთების წარმოდგენა ნივთებზე საკუთრების უფლების დასამტკიცებლად გამოიწვევს დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას სისხლის სამართლის წესით.

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარი მგალობლიშვილი.
ნ.1047 საგადასახადო სამმართ. უფროსი ბეჟიროვაშვილი.

ქ. ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
პ. ამირანაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 12 მაისს 1928 წელს დღის 10 საათზე გაბუნიას სახლის № 54 ეზოში ქალაქ ქუთაისში აკაკი წერეთლის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გრიგოლ ლევანისძე ენუქიძის ერთ საბარგო ავტომობილს, შეფასებულს 240 მანეთად იასონ სპირიდონის ძე სხვედიანის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, სამ. საპროც. კოდექ. 310 მუხ. დაცვით. ნ. 1045

ექიმი
ქ. ს. ფოც-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიისვენე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები.
ავადმყოფების მიღება დილ. 8ს. დღი 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—76

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სხივოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა.
ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოსაათიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—9

ექიმი
ი. ი. მერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) ირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ქ. ტფილისის მე-2 რაიონ. სასამ რთ. აღმასრულებელი
ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 15 მაისს, 1928 წ. დღის 12 საათზე, სახლში № 4 მუხრანის ქუჩაზედ, სასამართლოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს: ხანჯლებს, ქამრებს, ტანისამოსს და სხვ. შეფასებულს 57 მანეთად. ნ. 1046

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 13 მარტის დადგენილებისა № 12, ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. დიანოსე ილიას ძე შაპირომ შემოიტანა განცხადება მისი გვარის ახალ „რიონელის“ გვარით შეცვლის შესახებ.

საერთო და. სააღმ. ქ | განყ. უფროსი ჯავახიშვილი
მმაჩის ბიუროს გამგე შარაშენიძე
2283

დაიკარგა: ქალაქ. ბათომის ჰუმანიტარული ტ ხნიკუმის ატესტატი მ ცემუ ი 25 წელშ გრიგოლ ანდღულაძის სახელზე, ჩ. გ. 2280

დაიკარგა: პასპორტი, აღმშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 4258 და მოწმობა, გაცემული მაუდი ქარხნის საალმშენებლო ებნიდან ივანე ზაალის ძე ჯანდიერის სახელზე, ჩ. გ. 2281

დაიკარგა: მიწა ტყის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 34027 შალვა ალექსანდრეს ძე ფოცხვერიას სახელზე, ჩ. გ. 2279

დაიკარგა: შორაპნის მაზრის ქ ზესტაფონში არსებულ მეღვინე-მევენახეთა საზოგადოება „იმერეთის“ საწევრო წიგნაკი № 817 ილიკო ბესარიონის ძე მხეიძის სახელზე, ჩ. გ 2282

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68